ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

# სინათლის ფიქრები და წყვდიადის გამოცანები

ფილოსოფიურ-თეოლოგიურ-ოკულტური ძიებანი

ეგზალცისტური კოსმოსოფიის ალოგლეტეგენიური კონცეფცია

2019 წელი

ფოთი

## ფილოსოფიურ-თეოლოგიურ-ოკულტური ძიებანი
## განხილული საკითხები

1. ატლანტური სიბრძნე
2. კოლხეთის იბერიისა და ქალდეის კოსმიური ემისია
3. თეოგენიისა და კოსმოგენიის ურთიერთ მიმართება
4. ჭეშმარიტების ძიების მეთოდიკა
5. აღმოსავლური და დასავლური ფილოსოფია
6. ნეგაციური მსჯელობის არსი
7. პოზიტივისტურ პრედიკატთა ოკულტური ბუნება
8. რასისტენციური მეხსიერებისა და მეტაფიზიკური ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხი
9. კავკასიური ტოპოსი
10. გერმანული და ამერიკული ლიტერატურა
11. კავკასიური კვალი გერმანულ-სკანდინავიურ, ინდურ, ჩინურ, იაპონურ და კორეულ მითოსში
12. წარმოდგენილია ჩემეული ოკულტური სქემები და ფილოსოფიურ იდეათა აღმწერი გეომეტრიული ნახაზები

# კოლხეთის ისტორიულ-მეტაფიზიკური მისია
# I ნაწილის წინათქმა

მსოფლიო ისტორია ერთ დიდ კოლხურ მუხას ჰგავს, რომლის პალეოკავკასიურ ფესვებს მედიტერიანული მდინარეების ატლატიდურ-დემურიულ-არიულ სათავეებთან მივყავართ.

კავკასიური რასა კაცობრიობის მრავალმხრივ პროგრესირების პროცესის წარმმართველი ძალაა, თუმცა რასაკვირველია მსოფლიო ისტორიაში სხვა რასებსაც შეაქვთ არცთუ უმნიშვნელო წვლილი. კოლხური კულტურა გახლავთ სისტემატიზატორი დასავლური აგნოსტიციზმისა და აღმოსავლური ჰიმნოსოფისტიკისა და კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ცივილიზაციის შესწავლის გარეშე მართლაც შეუძლებელია ჩვენი სამყაროს წარსულის, ერთი შეხედვით, გაუვალ ლაბირინთებში გზის გაკვალვა. კოლხეთი-იბერია-ქალდეა ერთგვარი თეოგენიურ-კოსმოგონიური ჰაგია ტრიადაა (წმიდა სამება), რომელთა ფუნქციები თან მკვეთრად გახლდათ გამიჯნული და თან ჰარმონიულად განვითარებადი ბუნებაც ჰქონდათ კეროდ, კოლხეთი ქმნიდა, იბერია ავითარებდა, ხოლო ქალდეა ანმტკიცებდა.

მსოფლიო ისტორიოგრაფიაში არცთუ ვრცლად და ობიექტურად გახლავთ შესწავლილი ქართველური ცივილიზაცია. ეს წიგნი ჩემი აზრით დაეხმარება სხვადასხვა დაინტერესებულ მკითხველს კავკასიის ისტორიისა და ეზოთერული დანიშნულების შესწავლაში.

## კაცობრიობის თეოგენიურ-კოსმოგონიური წარმოშობა

რა არის სამყარო?-თუ არა მათემატიკური ობსტრუქციების შემცველ ფილოსოფიურ სუბსტრაქციათა, აბსტრაქტულ ცნებათა ერთობლიობად გარდაქმნილი ეგზისტენციალური უსასრულობა?

სამყარო შესაძლებელია წარმოვიდგინოთ რეტროსპექტიული (გარეგანი) საზრისების და ინტროსპექტიული (შინაგანი) საწყისების შერწყმის შედეგად. აღნიშნული ფენომენი კოსმიური სუბსტრანაციაა (განზოგადებული არსი). კაცობრიობა ღვთაებრივი სულიერებით გაჟღენთილი უნივერსალური მაკროსოციუმია. ადამიანს აქვს ერთი ჩვევა - fronesis (გონიერება) და გამორჩეული უნარი - nimesis (მსჯელობა). სწორედ გონებისა და მსჯელობის განმსაზღვრელი ობიექტივისტური რეალიების კომბინირებას ძალუძს ადამიანის მოაზროვნე ინდივიდად გარდაქმნა. (ვგულისხმობ სწორ აზროვნებას, ადამიანი ისედაც მოაზროვნედ იბადება). გონება გახლავთ ფილოსოფიური სუბსტანციებისა და მეტაფიზიკური რეალიების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს მსოფლიო გონის მოქმედების პროცესს. გონიერი ადამიანი აბსოლუტურად დაეთანხმება დიდ ფრანგ

მოაზროვნეს რენე დეკარტს - „დენტრას კომო ასი აიპტეს“ - ვაზროვნებთ, მაშასადამე ვარსებობთ“.

ზოგადად, სამყარო შეიქმნა კოსმიური ენერგიისა და თეოსოფიური ობსტრუქციების შერწყმის შედეგად. ჩემი აზრით, აღნიშნულ საწყისთა წყარო - ღვთიური რწმენა, სტოიკური სიბრძნე და ეგზესტენციური ცონდაა.

სამყარო შექმნა ღმერთმა, თუმცა ვერავინ ამბობს და ხსნის, რა არის და ვინ არის ღმერთი? - ჩემი აზრით, ღმერთი მადლისმიერი გონისა და გონისმიერი მადლის გაერთიანების წამმართველი დიდი სუბსტანციაა. სამყარო ჩამოყალიბდა სულიერი საწყისებისა და კოსმიური საზრისების კომბინაციის წყალობით. კოსმოსი - სხვადასხვა გნოსტიკურ ელემენტთა და სოფისტურ ძალმოხილებათა მოძრაობის გასაოცარი არეალია. თეოგენია - ღვთიურ საწყისთა წარმოშობა უკავშირდება ღვთიური მადლის მეტამორფოზთა კოსმიური ციკლის სიბძნისმიერ საფუძველს - თავად უფალსა და მისი ძალისადმი რწმენის სიმტკიცეს, რომელიც აქვს თვით უსულო საგანსაც კი, რადგან იგი უფლის ნებითაა შექმნილი კოსმოსში თეოგენია და კოსმოლოგია ერთიანი სუბსტანციაა, რომლის ძლიერება განსაზღვრავს სამყაროს განვითარების გზას. თუმცა, ჩემი სუბიექტური რწმენით თეოგენია მაღლა დგას კოსმოგონიაზე, რადგან ღვთიური საწყისის - ფიზიკოსთაგან „ჰიგსის ბოზონად“ სახელდებული, საოცრების წარმოშობის გარეშე, კოსმიური გონის ჩამოყალიბების პროცესი ვერ დაიწყებოდა.

თითოეულ ადამიანში სახლობს წმინდა გონი, თუმცა ბევრ ინდივიდს არ ძალუძს დაეუფლოს მისი აღმოჩენისა და სწორად გამოყენების ხელოვნებას. სამყაროს შექმნა განაპირობა უფლის კეთილმა ნებამ და თეოსტრატიული ენერგიის უკიდურესმა მოზღვავებამ. თეოსი - ღვთიური სიბრძნე იშვა თეოზინუსიდან - რწმენიდან. რწმენა - თეოზინუს მაღლა დგას სიბრძნეზე (სოფია), ხოლო სიბრძნე აღემატება ცოდნას (ეპისტემე). რა არის რწმენა? თუ არა აბსტრაქციული ერთგულება სამყაროს მმართველი გონის მიერ შექმნილი კოსმიური მართლწესრიგისადმი. რა არის სიბრძნე? - თუ არა ცნობიერ ინსტიქტებზე დამყარებული ზესწრაფვა ღვთაებრივი ჭეშმარიტების შესაცნობად. რა არის ცოდნა? - თუ არა საზოგადოებრივ - ისტორიული პრაქტიკით დამტკიცებული და ლოგიკურად დადასტურებული სინამდვილის ადექვატური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში აზრების, მსჯელობების და თეორიების სახით (კანტი). მე ცოდნის ამ განმარტებას არ ვეთანხმები. ჩემი აზრით, ცოდნა წარმოადგენს სამყაროში მიმდინარე ოკულტურ და მატერიალისტურ მოვლენათა შესახებ დაგროვილ ცნობისმიერ წყაროთა ოსტატურად შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული მძლავრი ინფორმაციული ნაკადის მყარ ასახვას ადამიანის არა ცნობიერებაში, არამედ მეხსიერებაში. ჩემი აზრით რასისტენციური მეხსიერება აღემატება მეტაფიზიკურ ცნობიერებას. სამყაროს შექმნაში მონაწილეობა მიიღეს ცხრადასელებმა - სერაფიმებმა, ქერუბიმებმა, მოსაყდრენმა, ხელმწიფებანმა, უფლებანმა, მთავრებმა, მთავარანგელოზებმა და ანგელოზებმა (I - რწმენა, II - სიბრძნე, III - სიყვარული, IV - ძალა, V - თავისუფლება, VI - ძლიერება, VII - დედააზრი) მთავარანგელოზებმა - ქრისტეს მხედრობა, ანგელოზებმა ღვთისადმი მარადიული სწრაფვა - მოცემულია ცხრავედასელთა მიერ შექმნილი სუბსტანციური ძალმოსილებანი.

სამყარო - ეს სიტყვა შესაძლებელია განვმარტოთ კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ ენაზე (პროტოქართული) სამ-სამი, ყარო სივრცე, ესეიგი წმინდა სამების ძალით სამგზის სახნავი არეალი. მსოფლიო ჩემი აზრით ასე იშიფრება: მსო-სამარადჟამოდ, სოფ-სიბრძნე, იო - ატლანტური ბოლოსართი - სამარადჟამოდ ბრძოლა სიბრძნისთვის. ის ადამიანი - ადამის მემკვიდრე, მისი მოდგმის წარმომადგენელი.

ამ რთულ საკითხთა განსახილველად მივმართოდ სხვადასხვა ხალხთა მითოსს. „მომოლოს" ქართული მითოსის მიხედვით არსებობს „მორიგე" ღმერთი, რომელსაც ჰყავს ე.გ. ღვთისშვილები - კოპალა (ხევსურეთში ეთაყვანებოდნენ), იახსარი (ფშავში განადიდებდნენ), ბაადური (ხევი), შიბანური (თუშეთი), თერგვაული (ხევი, ხევსურეთი, თუშეთი). ისინი ქართველთა წარმოდგენით იყვნენ ბოროტების მსახურებთან - დევებთან მებრძოლნი და მათგან მოსახლეობის დამცველნი. ღვთისშვილები იცავენ სამყაროს ბოროტებისაგან და ავრცელებენ სიკეთეს. ქრისტიანობის შემოსვლისას მათი რწმენა ახალ რელიგიას შეერწყა და ჩამოყალიბდა უნიკალური კავკასიური მართლმადიდებლობა. ისინი თეოგენალური არსებები იყვნენ და ებრძოდნენ კოსმიური სიბრძნის გაუკუღმართებულად აღმქმნელ ბოროტ არსებებს - დევებს. ქართული მითოსის მიხედვით, ქართველთა მისიაა კაცობრიობისა და სამყაროს დაცვა სუბსტანციურობის მოპოვების დაუოკებელი ჟინით აღსავსე დევებისაგან.

არმენული მითოსის „ადიცა ბანუციუნის" მიხედვით შახარასტრები - ღმერთთა მსახური გმირები კანონზომიერად იღუპებიან მშობლიური ხალხის (არა კაცობრიობის) მტრებთან ბრძოლაში სომხური თხზულება აშხარხაცუიციში სომხური მითოსი ბოროტებასთან ეროვნული და არა პანეროვნული ბრძოლის მქადაგებელ მხატვრულ ესთეტიკურ სისტემად განიხილება.

სპარსული მითოსის მიხედვით (ზოროასტრიზმის), ზოროასტრი - „ზარაჰიუთთუშტრეს" ( ვინც განგვანათლა - კოლხი იყო ჩემი რწმენით) მთავარი ღმერთია - ცეცხლის ღვთაება „ახურა მაზდა" ანუ „ახურამაჰ სამარაჰ მაზდაშ" – „ის ვინც აკეთილშობილებს გონიერთ" ბოროტი ღმერთი არიმანი, რომელსაც ემსახურებიან ეშმაკნი - დევები აეშმა-დეუსი, აესმო-დეუსი. აჰურამაზდას ლაშქარი ებრძვის არიმანის მსახური დევების ჯარს და მუდმივად იმარჯვებს. სპარსული მითოსი ნამდვილად განიცდის კოლხური მისტიკის გავლენას.

ინდური მითოსის მიხედვით, თავდაპირველად გაჩნდა „შარუჰარაპარი" - ღმერთთა დედა რომლისგანაც იშვა ტრიმურტი, შივა, კრიშნა, ვიშნუ. ასევე ქალღმერთები სარასვატი, ჩანდრა, განეშა (ჩინეთში კუანინი, იაპონიაში - კანონი), დურვა, პარვატი, კალი და ა.შ.

ინდური მითოსის მიხედვით სამყარო შეიქმნა ენერგიალურ სივრცეთა გადაკვეთის წყალობით. ინდური ლიტერატურის ძეგლი „მაჰაბჰარატა" აღგვიწერს უცნობი პატრიარქის სამ შვილს - დჰირიტირაშტრას, პანდარას და ვიბურას.
პანდარასგან იშვნენ პანდავები, ინჩოთურობიდოს მიხედვით დჰირიტირაშტრასგან, თაგორის მიხედვით - ვიბურასგან კაურავები - ძალაუფლების უზურპატორები.

კურუკუშტრას ველზე გამართულ ბრძოლაში თხუთმეტმა პანდავმა დაამარცხა ასი კაურავი. სიკეთემ გაიმარჯვა. „რამაიანაში" აღწერილია სიტასა და რამის სიყვარულის

ისტორია, რამას მეგობარი ბრძენი ურჩხული ჰანუმანი, ლაქშმას ბოროტი მეფე - რავანა, კეთილშობილი მეფე - დარაშატი და ა.შ (მათ შორის დედოფალი ინაშარაჰი).

საბოლოოდ, რავანას მიერ მოტაცებულ სიტას რამა გაანთავისუფლებს, სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე (მაჰაბჰარატას VI თავს ჰქვია „ბჰაგავად გიტა" - სიყვარულის თავი, დამატებას - „გარიმანშაში", ეს პოემა დაწერა ვიასამ. „რამაიანა" - ვალმიკმა, „კამიაშასტრა" - ვატსიანა მალანგამ, „ნატიაშასტრას" - კოსმიური ცეკვის - ნატარაჯას სახელმძღვანელოს ავტორი უცნობია.

ინდური პოემა - „სამარანგა სუტრადაჰრაში" მეფე შუბრაჰი სიკეთის მომღვრების - იოგას ხუთი მთავარი კომპონენტის - სამუმანასიას, ნირაგას, ავაშას, პრანაიამას და ჯარახუს - კომბინაციით ამარცხებს ჯადოქარ შუკუს, იგი ასევე იყენებს ტანჯვით 4 გზას - სამუდაია, დუკა, ნიროგა, მაგა, (ანუ დუკა, სამუდაია, ნირაგა, მაგა).

ინდურ მისტიკურ ლიტერატურაში - რიგვედაში, ჯაჰარვავედაში და ათარვავედაში სამყაროს შექმნის საფუძვლად დასახელებულია სიკეთის (რაკშასების) და ბოროტების (იაკშასების) ბრძოლა. სატვა, რაჯასი, ტამასი, - 3 ტიპის (კეთილი - თეთრი ფერი, აქტიური - წითელი, შავი - ბოროტი) ადამიანი. ინდური მითოსი განიცდის დრავიტთა გავლენას.

ჩინური მითოსის მიხედვით, სამყარო შექმნა „ოდიაჩურავარაპუპამ" - ბრძენმა ღმერთმა, რომელმაც სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა სამყაროს მოძრაობის ძალად დასახა. ჩინეთში განიცდიან ინდურ-შრილანკური ისტორიულ-ფილოსოფიურ-კოსმოგონიური ძეგლის-გოპალარაჯავამშავალი (კოლხურად - კოპალას, ღვთიური სიბრძნის გზით) გავლენას. ჩინური მითოსი განიცდის კოლხურ-დრავდული კულტურის გავლენას. (კოლხები და დრავიდები ერთი რასის წარმომადგენელი ხალხებია).

იაპონური მითოსის მიხედვით, პირველი ადამიანები იყვნენ იზინაგი და იზინამი - ღმერთ იძინაგის შვილები. ამ ღმერთისგან იშვნენ მზის ღმერთი - ამატერისუ და ლეგენდარული იმპერატორი - ძიმუ (მოემატა სრულჰყო).

იაპონური რელიგია „შინტოიზმი" 4 წესს აერთიანებს: ჰარაი (განწმენდა), სინსეი (მსხვერპლშეწირვა), ნორიტო (მოკლე ლოცვა), ნაორაი (ზეთით კურთხევა). წმინდა წიგნს ჰქვია - კოძიკი ფურიფუთურუმი. იგი ჩემი ხედვით კარმელუკებმა დაწერეს (ლაო-ძის „დაოდენძინი").

ტიბეტური მითოსის მიხედვით სამყარო შეიქმნა 4 ელემენტის - ბოდჰი (გასხივოსნება), ჯატი (დაბადება), ბჰავა (სიცოცხლე), და ჯარამარანა (სიკვდილი) შერწყმით. სამყაროს განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულეს „ განათლებულ გონად" სახელდებულმა ოსტატებმა - ბოდჰიდჰარებმა და ბოდჰისატვებმა - ქშატიგჰარბამ, ჩინტამანმა, ვაჯრასატმა, ტარამ, მილარეპამ, მიტრეამ, სამანტაბჰადრამ, ამიტაბჰამ, ლოტოსისგან შობილმა პადასამბჰავამ, ავალოკიტეშვარამ, მონჯუშრი კუმარააბჰუტამ, ეშეცოგიალმა - ტაკწანგლაკჰანგის (ვეფხვის ბუნაგი), მონასტრის ლიდერმა და ჩინეთში თეთრი დაგობის ციხის - მაიონგშანგის მფარველმა. ამ შემთხვევაში უნდა დავასახელოთ სიტყვიერი შელოცვა - გულის სუტრა - პრაჯნიაპარამიტა, მაჰავაიროჩანა და ვაჯარასექჰარასუტრები, მანტრები - „აიბ-იუმის" ღვთაებრივი ვიბრაციის ხელოვნება, ტათჰაგატა - „საწყისთა უსასრულო სივრცე" ასევე ტარა-კორეაში ცნობილია თარანი ბოსაცუთ, ჩინეთში თუოლოთ, მილარეპა და მისი მოსწავლეები - რეჩუნგ დორჯე დრაკპა

და გამპოპა, მასწავლებელი მარპა - ლოცავა, შინგონის სკოლა, რომელიც შეისწავლის სამანტაბჰადრას ეზოთერულ ასპექტებს, იაპონელი ბუდისტი პრინცი შოტუკუ. დრავიდული სულიერი ტრადიციები (დარშანები) მიმანსა, ვედანკა, სამკჰია, იოგა, ნიაია, ვაიშეშიკა.

ბუდისტური სექტები: ნიინგმა, კაგიუ, კარმაპა, დვაპკა, კადამპა, გელეკპა. გელუკპას (ყვითელქუდიანთა) სექტის დამაარსებელია ჯეტონგპა (1357-1419) ცნობილია სახელით ლობსანგდრაკპა ან რიპოჩე იამანტაკა, იაპონური ექვივალენტია - დაიტოკუმაჰამუდრა, კორეულად მუნსუ ბოსა.

ასევე მედიტაციური პრაქტიკა ბარდოს მრისხანე ფორმები - ჰაიაბრა,ვაჯრაიალა, ვაჯრაპატი, ჰევაჯრამა, ჰაკალა, პალფენ ლჰასა.

ფოვას მედიტაციური პრაქტიკის ეზოთერულ დანიშნულების ადგილები სუჰარატი, აბჰირატი, გეჰუინკპა, ატაკაგტი, სანკონკგტ პალრი - სპილენძისფერი მთა და ტუშიტა.

ტიბეტურ თეოგენურ-კოსმოგონიურ ხედვებს ასახავს ბუდიზმის წმინდა წიგნი - ტიპიტაკა (სამი ბუდას სივრძნე - წარსული -ბუდადიპანგარა, აწმყო - სინდჰართჰა გაუტამა შაკიამუნი, მომავალი - ბუდა მაიტრეა). იგი იყოფა 3 ნაწილად და 2 დამატებად: სუტაპიტაკა, ვინაიაპიტაკა, აჰიდჰამაპიტაკა და 2 დამატება: დჰამაპადა - ბრძნული აფორიზმების კრებული და ჯატაკა - ბუდას დაბადებათა ციკლი.

ტიბეტური ფილოსოფია ჩემი ხედვით, ქართველური კოსმოცენტრიზმის აღმოსავლური სახეობაა, ჩემი აზრით ხეთების მთავარი ღმერთი არიანა (1000 ღვთაების ქვეყანა) და ურარტუელთა, ბიაინელთა ღმერთი ხალდი კოლხური ღვთაებებია.

ებრაული მითოსი ქალდეური კულტურის ნაწილია. ამ სისტემის მიხედვით არსებობს ერთადერთი ღმერთი - იაჰვე იგივე ადონაი, საბაონი. მათი წმინდა წიგნის თორას (ხუთწიგნეული) მიხედვით ეს რელიგია ეგვიპტური (ეხნადონის რეფორმა) და ქალდეური აზროვნების ნიმუშია. თორას თავებია: ბერეშით, ევდემ, ოდეს, ტაჰეს, შიროჰ. ქალდეური, შემდგომ სემიტთაგან გადამუშავებული წიგნის - თანახის თავებია: ბერეშით, ნოახ, ლეჰლეჰა, ვეერა, ხაეი, სარა, თოლდოტ, ვაეცან, ვაიშლაჰ, მიქეცი, ვაიშაჰ და ვაეჰი. წიგნი დაბადებისა „სეფერ მაასე ბერეშით“ პირდაპირი წიგნი „სეფერ აშარ“, პირველი წიგნი „სეფერ რიშონ“ სამყაროს შესაქმის წიგნი „სეფე ბრიათ ოდამ“. აღნიშნული ლიტერატურა ებრაული ფილოსოფიის წყაროა, შესაბამისად სემიტური კაბალა და ზოგადად ებრაული მისტიციზმი ასკულარულ - ალაროიდული სულიერების ევრო-აზიური რეტროსპექტივის - ქალდეური სიბრძნიდან იღებს სათავეს. ამ აზრთა შემოქმედნი არიან ბიტ-იაკინის, ბიტდაკურის, ბიტშარუქის ქალდეური ტომების ქურუმები.

გერმანულ-სკანდინავიური მითოსის მიხედვით მთავარი ღმერთია ოდინი, ასევე მისი ვაჟი მეხისმფლობელი თორი. პერიოდულად იმართება - „რაგნაროკი“ - ღმერთების ბრძოლა, ძლიერნი იმორჩილებენ სამყაროს.

ბატონი ქვლივიშვილის ასევე ალისტერ კროულისა და ელენე ბლავაცკაიას აზრით ფუთარქად სახელდებული უძველესი რუმები (დამწერლობა) კოლხეთიდან იღებს სათავეს. არსებობს ე.წ. კოსმიური - თვითგანადგურების მისტერიის - მეორე ეტის

პირველი რუნა - ჰაგალაზა (ჩემი აზრით ჰაგია ლაზა - წმინდა ლაზონური სიბრძნის იდეალი). ჰაგალაზა ანადგურებს კონკრეტულ ცივილიზაციას და შემდგომ ეპოქალურ მოთხოვნათა შესაბამისი სახით აღადგენს მას - ფენიქსივით - თან გაცილებით ძლიერს და დიდებულს. ჰაგალაზა აკავშირებს 3 განზომილებას: ელგხეიმს, მუსპელხეიმს და ბნელეთს - ხელხეიმს  დედოფალ ხელის სამფლობელო.

იგი აღგვიწერს ამ სამყაროთა კარიბჭეებთან მდგარ მდედრობითი სქესის (ქალი, ზოგადად, სიცოცხლის და მათ შორის საყაროს დასაბამი) გოლიათებს - ვერნანდი - აწმყო, სკულდი - მომავალი, ურდი - წარსული. აღნიშნული მითოსიც განიცდის ქართველური იდეების მძლავრ გავლენას მაგალითად ოდინმა და მისმა ძმებმა დაამარცხეს ყინულის გოლიათი - იმირი, იგივე აურგელმირი. ასე მისი ნაწილებისგან შექმნეს სამყარო. ჩემი აზრით წარღვნას გადარჩენილი გერმანელი ნოე - ბელგერმირი კოლხი იყო, რადგან წარღვნამდე კოლხეთი მსოფლიოს მტკიცე ჰეგემონი გახლდათ და მოსახლეობის დიდ ნაწილსაც კოლხური გენეტიკა ჰქონდა.

რაც შეეხება ისლამურ მითოსს, მათი ხედვით სამყარო შეიქმნა კავკასიის (მთა კაფკა) ისლამური ესქატოლოგიის თანახმად, ალაჰის სიბრძნით გასხივოსნების შემდეგ, ანუ ზეციური კავკასია, როგორც ბოროტებისა და სიკეთის მიჯნა - თვით სამყაროს შექმნამდე არსებობდა.

არაბები განიცდიან ბერბერი (ბერბერი - ქალდეურად - ბერბერიტ - სასულიერო შემეცნება) 20ხალხის სახით წარმოდგენილი კოლხურ-იბერიულ-ქალდეური აზრისმიერი გულის იდეური ფეთქვის გავლენას. მაგ არაბებმა ანტიქრისტეს სახელი - „მასიჰად-დაჯალ“ - ქალდეურად „მასარაჰარას ად-დაჯალეს“ - ქალდეველთაგან გადმოიღეს. ასევე მათი აზრით ცნობილია ფრაზა - „ალ ყითალფი საბილ ალაჰ“ - ბრძოლა ღმერთის გზაზე ქალდევურად ასე გამოითქმის „ალე ყითელ ფარაჰ საბალას „ისრალაჰ“, ასევე ცნობილი ფაქტია, არაბები მსოფლიოს ყოფდნენ 3 ნაწილად: დარულ ჰერაბ - თმის მხარე, ქალდეურად - დარულ ჰასარაბ, ისლამის მხარე - დარულ ისლამ, ქალდეურად დარულ ალასაჰ ისლამ, ზავის მხარე - დარულ ალ ზაჰირ, ქალდეურად - დარულ ზაჰარასაჰარ ანუ მშვიდობის მხარე.

ქალდეური ტერმინებია: ჯიჰად ად ტალაბ - თავდასხმითი ჯიჰადი, ჯიჰად ად დიფაი თავდაცვითი ჯიჰადი, ჯიჰად ად სიფაი - ჯიჰადი ხმლით, ჰაზავათი (ღაზავათი) საღვთო ომი ქალდეურად - ჰაზანთეს. ქალდეველი იყო და ქალდეურ ანბანს იყენებდა მულიდთა,  ფიდაეთთა, ასასინთა სექტის დამაარსებელი ჰასან იბნ-საბაჰი. ალაჰი კოლხურად აღმოსავლეთს ნიშნავს. ისლამში სიბრძნის ნაკადის, აზრობრივი მდინარების საწყის წერტილად - აღმოსავლეთია მიჩნეული.

ისლამი ქალდეველ ბრძენკაცთა მიერ შექმნილი სარწმუნოებაა, ყურეიშიტების ტომი და ჰაშიმის საგვარეულო (მუჰამადის ტომი და გვარი) ქალდეური გენეტიკის იყვნენ. ისლამური სექტები: სალიქუმ სალაფია, ალავიტები, ვაჰაბიტები, მიმდინარეობები: სუნიზმი და შიიზმი ქალდეას სულიერებას ნაწილობრივ ასახავს. ისლამი ქალდეური კულტურული პროგრესის ახალი საფეხურია. ქრისტიანობა ჩემი აზრით კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ჰუმანური და პროგრესული რელიგიაა. ქრისტიანობის სიმბოლო - ჯვარი 4 ენერგიალური სივრცის სინერგიულ შეერთებას გამოხატავს. დიდი ბიზანტიული

მოაზროვნეების მანგანის აკადემიის წევრების - ქართული გენიის იოანე პეტრიწის მასწავლებლების - პროკლე დიადოხოსის, მიქაელ ფსელოსის და იოანე იტალოსის მიხედვით - ქრისტიანული აზროვნება აღმოცენდა ელინური ქალდეური და იუდეური სიბრძნის ნიადაგზე. იგი აზრს ავითარებს ქართული წარმოშობის მოაზროვნე - იოანე მოსხი თავის ნაშრომში „ლიმონარი“- სამოთხე“. ამ აზრს ემხრობოდა IV საუკუნის მოღვაწე (პირველად ეს აზრი დიტრინიუს-მა გამოთქვა III საუკუნის ბოლოს). ბასილი კესარიელი (ლაზი იყო) თავის ნაშრომში „ფილოკალია“ – „სიკეთის მოყვარეობა“. ასევე გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი, პეტრე სებასტიელი. წმინდა გიორგი კაბადოკიელი, ბიზანტული ლექსიკოგრაფი - სვიდა. (30.000 სიტყვა განმარტა და ედემად დას. საქართველო მიიჩნია) ასევე ექვთიმე ზიგბენი, ნიკიტა ხონიატი, კედრენე, ამარტოლი, სფრანძესი, ლაზაროპულოსი, ლაონიკე ქალკონკონდილე და სხვები. რაც შეეხება რომს, იგი ეტრუსკულ-პელაზგურ-კოლხურ-სამნიტური სახელმწიფო იყო, რომლის მონარქიულობისას შვიდივე მეფეს სხვადასხვა გენეტიკა ჰქონდათ: რომულუსი - ეტრუსკი, ნუმა პომპილიუსი - ეტრუსკი, ტერვენიუს პოსტილიუსი - ლათინი, ანტუს მარციუსი - სამნიტი, პლინიუს სუბტრანიქსი (უდრეკი) - საბინი, სერვიუს ტულიუსი - ლათინი და ტარკვინიუს სუპერპუსი - სამნიტი. ყველანი გენეტიკურად კავკასიელები იყვნენ (კერძოდ კოლხები). მეტიც გაიუს სეკუნდუს ფლავიუსი 6 ათასი წლის პოეტურ ენაზე დაწერილ კანონთა და უმდიდრესი ლიტერატურის შემქმნელ ტურდეტანის იბერებს - რომალების გენეტიკურ ძმებად თვლიდა. იენუშნევსკის თეორიის მიხედვით, ზვიად გამსახურდიას თქმით, თვით კარდახაშტი- კართაგენი ძვ.წ.814 წელს ქალდეველმა ბრძენმა პიგმალიონმა დაარსა. ქრისტიანობამ (არ დაგავიწყდეთ აპოლონიოს როდოსელი პელაზგებს და კოლხებს მონათესავე ხალხებად თვლიდა). მისტიკური ლიტერატურა - ინდიგიტამენტები - ახალ სიმაღლეზე აიყვანა, ლუპერკალიონი - ლუპერკალიევი - მგლის დღესასწაულები (ძვ.წ. 753 წლის 21აპრილს რომის მდინარე ტიბრის პირას აღმართულ 7 ბორცვზე დაფუძნებამდე, პატარაობისას რომულუსსა და რემუსს მგელი კვებავდა) გააუქმა, აკრძალა გლადიატორთა ბარბაროსული შერკინებები, სამუდამოდ წარსულს ჩააბარა ბერძნული თეორია - კოსმოსის ქაოსისგან შობის შესახებ.(ურანოსი, გეა, კრონოსი, ზევსი, ჰადესი, დემეტტრა, აფროდიტე, ჰესპერიოსი, ჰეფესტო, ჰერმესი, ანდრომედა, პოსეიდონი, არესი, დიონისე, აპოლონი დაამარცხა ქრისტემ). ქრისტემ გააერთიანა შუმერული და ეგვიპტური პანთეონი, ანუ მან შუმერული მერთები - ეა, ენლილე, ნანა, ვანარა, ეშერა, ენგური, ენქი, ერეშქიგალი, იშთარი, გათ-უმოდუგი, ემეში, ენტენი, დუმიზი, ანუნაკი და ეგვპტური ღვთაებები: პტახი, თოთი, ოსირისი, ანუბისი, ისიდა, ადონისი, ხორუსი, ტასნეფრენიტი, ზეტი, მაატი, ინეტი, ეგზეგეტიკური მახასიათებლებით დახუნძლულ ჰომილეტიკურ მთიანობად - წმინდა სამებად გააერთიანა (დასახა). ყოველგან და ყოველთვის არსებული დედამიწაზე ჩამოვიდა კაცობრიობის ბაფომეტის ტყვეობისგან გამოსახსნელად, ჯვარს ეცვა და უდიდესი - იორდანეს, თაბორისა და გოლგოთის ქალდეველ ქურუმთაგან ნაწინასწარმეტყველევი მისტერიებიც განსრულდა. განხორციელდა ეზოთერული აქტი - გენეტიკურად დედის გარეშე იშვა ქრისტე ზეცაში და მიწაზე ხორციელი მამის ნაცვლად (ამ მისიის აღსრულება მხოლოდ ღმერთს შეეძლო ან უფრო მეტს - ნახევარ ღმერთს და ნახევარ კაცს).

ქრისტიანობა დასავლური ევროპეიდული რაციონალიზმი, აღმოსავლური დესპოტიზმი და ჩრდილოური დიქტატი კავკასიური ალტრუიზმის გარეშე მონალითურად ფაერთიანების გზით, სრულიად ახალ ზეჰუმანურ სულიერ სხეულებრივ საფეხურზე აღამაღლა. ქრისტიანობამ კი განვითარების ზენიტს ლაზური ქვეყნის - მეგარის მეფის ჰოლასის ვაჟის ბიზასის მიერ დაარსებულ ბიზანტიონის (კონსტანტინეპოლის) გარშემო შეკრულ კოლხურ-ჭანურ-ქალდეურ იმპერიაში მიაღწია, რომლის შემოქმედნიც ელინიზებული ლაზები იყვნენ.

## კოლხეთი, იბერია, ქალდეა

პირადად ჩემი აზრით, კოლხებმა შექმნეს სოციოკულტურული არქეტიპი მსოფლიო ცივილიზაციისა. კოლხეთი გახლავთ უძველესი კულტურული ჰაგიატრიადას - „ატლანტიდა, ჰიპერბორეა, პაციფიდა“ სიბრძნისმიერი ნაკადების თეოსოფიური გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებული უაღრესად მძლავრი აზრისმიერი მდინარების დამცველი ფილოგენესტრალური ჯებირი, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს ეზოთერიზმის მთებსა და მატერიალიზმის ვაკეებს. უძველესი კულტურა გახლავთ ატლანტიდა ***(„აია“ ა-ენერგია იშვა, ი-გარდაიქმნა, ა-პირველად სახეს დაუბრუნდა) -*** თამარ კუჭავა - ასანიშვილის განმარტებით „ათი ალის ქვეყანა“, რომელიც ჩემი ხედვით, არა 10 ბრძენი კაცის (ალის), არამედ სულიერი ინიციაციის 10 გზის შემსწავლელი და მქადაგებელი ცივილიზაციაა. ეს გზებია: ცოდნა, სიბრძნე, რწმენა, სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, სიმამაცე, დიდსულოვნება, ჰუმანიზმი, ესტრენცია(სიკეთისკენ განზოგადებული სწრაფვა).

ატლანტიდური კულტურის გენიალური მკვლევარი გახლდათ აზროვნების გერმანელი გიგანტი რუდოლფ შტაინერი, რომლის თქმით ატლანტიდელებს ახასიათებდათ მალიან ძლიერი მეხსიერება, ტელეპატიური აზროვნება, წინასწარხედვითი კონტენპლაციური ხელოვნება, ექსტრასენსობრივად გარდასახული ზეგრძნობადი ინტუიციური შემეცნება, მათ არ ჰქონდათ ცნობიერება. შტაინერის აზრის ბოლო ნაწილს არ ვიზიარებ. ჩემი აზრით ატლატიდელებს ჰქონდათ ცნობიერება ოღონდ აღქმული როგორც რასისტენციური მეხსიერების ერთგვარი ნაწილი ასე ვთქვათ მეტაფიზიკური ქვეკატეგორია. ანუ ჩემი ხედვით ატლანტური მეხსიერების ალტრუისტული სტრუქტურის ერთ-ერთი არცთუ უმნიშვნელო ელემენტი გახლდათ სულიერ საწყისთა გამაერთიანებელი ინტელექტუალური ნაკადების ჰიპოთეტური მოძრაობის ველად გარდასახული ცნობიერება.

შტაინერის თქმით ატლანტიდაზე ძველი ლემურიაა. ჩემი აზრით კი ატლანტიდა და ლემურია ერთგვარი კულტუროტროფული ორსახოვნებაა - იანუსია, ანუ ერთი კულტურის 2 არცთუ დიდად განსხვავებული სახეა. შესაბამისად, ატლანტიდელები და ლემურიელები ერთი გენეტიკური ნაკადის ორი ძლიერი ტალღაა და არა ორი სხვადასხვა მდინარება. პირველად სამყაროს ისტორიაში სწორედ ატლანტიდელები (ქურუმები), ფუტიელი, მენგურიელი, სუმერი (კოლხთა ძველი სახელებია) ბრძენკაცები შეუდგნენ

სულიერების აპოფატიკური მწვერვალებისკენ მიმავალ უაღრესად ვიწრო და საშიშ ბილიკს, რომლის ერთ მხარეს ფიზიკური განსჯითი აზროვნების ფლატეებია, ხოლო მეორე მხარეს პირად განცდათა ასტრალური მორევი, ანუ ბარიერი, რომელიც უნდა გადალახოს ადამიანმა უფლისმიერ გონთან მადლისმიერ ძალმოსილებათა ზღვთან მისაახლოებლად.

ატლანტიდის მემკვიდრე - კოლხეთი გახლავთ თეოსოფიური საზრისების, თეოგენიური საწყისების, კოსმოლოგიური პოსტულატების, ესთეტიკური ფენომენებისა და პათეტიკური რევერანსების უსასრულო ქაოტურ ოკეანეში მიმავალი ხომალდი, რომელსაც თავს კაცობრიობა აფარებს და რომელსაც იგი ადამიანთა (ადამიანთა მოდგმა) ორი ურჩხულს სცილას (რაციონალიზმს) და ქარიბდას (მატერიალიზმს) უნდა გადაარჩინოს. აღნიშნული აზრისმიერი გემი გადის იდეურ მეტად საშიშ კლდეებს - კიანეებს - სიმპლეგადეებს, რომლებიც ცდილობენ ჭეშმარიტი სიკეთის ღვთიურ ოკეანეში გადასვლის მოსურნე „ურჩ" ძალათა განადგურებას - სწრაფი გაერთიანებით. მატერიალიზმი და რაციონალიზმი მუდმივად ერწყმიან (როგორც ეს კლდენი ეჯახებიან) ერთმანეთს მათი ამაზრზენი იდეული დიქტატის გასახანგრძლივებლად.

კოლხთა და არა ინდოევროპელთა მიერ შექმნილი ერთგვარი თავისთავადი ბარიერი--კამა-მანასის კულტურაც ეხმარება ბოროტებას. იგი კოლხებმა შექმნეს თავიანთივე საწინააღმდეგოდ, ბრძოლის გასამწვავებლად, რადგან უმწვავეს ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება ძალიან მყარია.

კოლხთა იმპერიის ლეგენდარულმა იმპერატორებმა მზის ღმერთ ჰელიოსისა და კავკასიელ ნიმფა ასტეროიდას ვაჟმა - აიეტმა, მისმა წამებულმა შვილმა აფსირტემ, ბოროტებასთან მებრძოლმა გმირმა კოლხმა ქალებმა - მედეამ, ქალკიოკემ, მაგიის ქალღმერთმა და კუნძულ აიააიას მმართველმა - კირკემ (სვანურად ლიკირკე - ჯადოსნურ გარდასახვათა - მეტამორფოზთა ბორბლის საყრდენი). აიეტის მეორე დამ-კრეტის მეფე მინოსის მეუღლემ, რადამანტისის და სარაპედონის რძალმა - პასიფაემ, აიეტის ძმა აქციუსმა, ჰელიოპოლისის დამაარსებელმა ეგვიპტეში, აიეტის შთამომავალმა იმპერატორმა ანმარემ - „ცისკაცმა" - ძვ.წ. 3185-3120წწ, ეგვიპტის ფარაონ სესოსტრისის (ძვ.წ. 1878-1855წწ) მძლეველმა კოლხთა მეფე სავლაკმა, მეფე აკუსილოხმა, მარედიხამ „მიწის კაცმა", ჰიპერიონმა - ტიტანთა მოდგმამ, პრომეთემ ზევსისგან სიბრძნის ხალხთათვის განდობისთვის, კავკასიონის წმინდა ქედს მიჯაჭვულმა, ყამარის - ღრუბელთ მეუფის მძლეველმა ამირანმა - „ამირ მიჰრან შაბურ" – „ის ვინც გვიხსნის", - ზელადმა რიომ , ინდიეთა კოლხმა მამათმავრებმა - სოტკუნანგამ, კოკიანგვუტმა, ტაიოვამ, კოქსკოქსმა, ჰოჩიკეცალმა, (ტატა და ნენა), კეცალკოატლმა და კოქსკალმა, მაიას კალენდრების - ცოლკინი (საერო), ხააბა (სასულიერო), ასევე აცტეკთა - ტონალპოუალი (საერო) და ჰიუპოუვალი (სასულიერო)შემქმნელმა კოლხმა ქურუმებმა, ლიაოუნის დამაარსებელმა იბერებმა (სფარუს აზრი), კოლხი რაინდის - მითრიდატე VI ევპატორის თავგანწირულმა ბრძოლამ, კოლხი ხალხის ეროვნულმა მოძრაობამ (კოლხეთი პომპეუსამდე ვერავინ დაიპყრო) მეზობელ ხალხთა გადასარჩენად - ასურელთა, ხეთთა, სკვითთა, სპარსელთა უღლისაგან, კაცობრიობა სულიერი სრულყფის ახალ სტადიაში გადაიყვანა და ძლიერ აღამაღლა. ბიზანტიელი სინკლიტიკების (სენატირების) ასევე

საეკლესიო მოღვაწეების - ბერების, პატრიარქების (მაგ . გერმანელ I) იმპერატორების - (მაგ. მავრიკიოსის) დიდი ნაწილი წარმოშობით ლაზები იყვნენ. ლაზური სისხლი ჩქეფდა კაბადოკიელ მამათა ძარღვებში. საერთოდ, პროკოფი კესარიელის სიტყვით „არ მეგულება სხვა ასე მამაცი, მშვენიერი, დიდსულოვანი და ყოველი კეთილშობილებით შემკული ძლიერი ერი, რომელიც ჩვენი იმპერიის საზღვრებს ასე თავგანწირვით იცავდეს, თან საკუთარ ღირსებაზე ზრუნავდეს და მტერს აშინებდეს“.

ლაზები გახლდნენ ხალხი, რომელთაც არაერთხელ დაამარცხეს სასანიანთა ირანი, თვით მისი ყველაზე ძლიერი შაჰი - ხოსრო ანუშირვანი, რომელსაც საუკეთესო მეომრები ლაზიკაში დაეხოცა. ლაზმა მოაზროვნეებმა შექმნეს დიარქიის საერო და სასულიერო ხელისუფლების ჰარმონიული თანაარსებობის კონცეფცია. ასევე მათ უწოდეს იმპერატორს კოსმოკრატორი - ქრისტიანული სამყაროს მბრძანებელი, ხოლო ღმერთს პანტოკრატორი - ყოვლისმპყრობელი. ლაზების დამსახურებით მანგანის აკადემია ასევე ფაზისის რიტორიკული სკოლა ტოლს არ უდებდა მაშინდელ ევროპას. ბიზანტიის არმიის ისტორიის მოწმენდილ ცაზე კაშკაშებენ ვარსკვლავნი - ბაკურ, ფაზი და პერან ებერიელების, ასევე ფარსმან და თეოდორე კოლხთა სახით. ქრისტიანული რელიგიის არსს ნამდვილი ფორმა ლაზმა ბრძენკაცებმა მისცეს. V საუკუნეში იბერიის მეფის - ბუზმარის შვილმა პეტრე იბერმა (ბიზანტიაში აღიზარდა, სირიული წყაროებით ნაბარნუგმა) და მისმა მასწავლებელმა - იოანე (მითრიდატე) ლაზმა შექმნეს ნეგატიური მსჯელობის კონტენპლაციური ხელოვნება, სიკეთის, ეთიკური მონიზმის იგივე ბოროტების არასუბსტანციურობის კონცეფცია, უფლის რაობის პოზიტივისტური პრედიკატებით განსაზღვრის შეუძლებლობის თეორია. პეტრე იბერი - მაიუმის ლეგენდარული ეპისკოპოსი ამბობდა: „ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ რა არის ღვთიური საწყისი, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ რა არ არის ის“. სწორედ ზემო აღნიშნულმა პიროვნებებმა განავითარეს მათი დიადი პელაზგი წინაპრის - პლატონის მოძღვრება ქრისტიანულ პრიზმაში და შექმნეს ქრისტიანული ნეოპლატონიზმი, რომლის გავლენას ვერ ასცდნენ: ჰეგელი, კანტი, ფოიერბახი, ვიტგენშტეინი, ჰაიდეგერი, სარტრი, ჰონიგმანი, შილერი, შოპენჰაუერი, სმაილსი, და სხვები. მითრიდატე ლაზისა და პეტრე იბერის კონცეპტუალურ ხედვებს დაეყრდნო კავკასიური მართლმადიდებლური რწმენისა და კავკასიური რასისტენტული მეხსიერების განვითარების მრავალათასწლოვანი პროცესის წარმმართველ თეოსოფიურ ორიენტირთა დიდი პლეადა.

შუასაუკუნეების უდიდესი ქართველი ფილოსოფოსები - იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და გენიალური პოეტის - შოთა რუსთაველის სახით წარმოდგენილი ჯერ კიდევ შეუსწავლელი პლანეტები თვითმყოფად ინდივიდუალისტურ ხედვათა შექმნისას, ამ მოაზროვნეთა იდეურ მრწამსს აშკარად იკვლევდნენ. მაგ. გელათის აკადემიის რექტორმა იოანე პეტრიწმა დაწერა ბრწყინვალე ნაშრომი - „სპარალური“, რომელშიც სამყაროს კოსმოგონიური წარმოშობის პროცესის მმართველ ისტორიულ - ფილოსოფიურ კანონზომიერებათა ენიგმატური არსის შეცნობის უმთავრეს გზად დასახულია ღვთის უსაზღვრო სიყვარული. იოანე პეტრიწმა - შუასაუკუნეების სოკრატემ ლათინური და ინდური ესქატოლოგია გააერთანა (ლათ.კამებრაცილუს-ცოდნის გზა, დენტროვარიუს - სიყვარულის გზა, ჰორაცილუს - ქმედების გზა, ინდურად - ჯნანა - ცოდნის გზა, ფხაკნა -

სიყვარულის გზა, კარმა - ქმედების გზა) და უძველეს ქალდეურ ხედვებს შეუხამა. იოანე პეტრიწი მითრიდატე ლაზისა და პეტრე იბერის მსგავსად ამბობდა „შესაძლოა ადამიანმა შეიცნოს ამქვეყნიური სამყარო, მაგრამ ის ვერასდროს შეიცნობს უფალს და კოსმიურ სივრცეს, რადგან ჭეშმარიტების ამოხსნა ადამიანს სიამაყის ბაცილებს შეუსევს და გაბოროტებული კაცობრიობა დაიწყებს საბედისწერო ბრძოლას ღვთიური მართლწესრიგის პირადი სურვილისამებრ შესაცვლელად, რაც ყოველთვის მარცხით მთავრდება“ პეტრიწის თქმით, ადამიანი უნდა ეძებდეს სიმართლეს, ოღონდ ზომიერად, სიკეთით, რწმენით, სიბრძნით და არა გაბოროტებული ბუნებით. ჩემი აზრით ადამიანი უნდა შეეგუოს აზრს ჭეშმარიტების - როგორც უმაღლესი ფილოსოფიური სუბსტანციის სამარადჟამოდ მიუწვდომლობის შესახებ, თუმცა კაცობრიობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყვიტოს ბრძოლა ჭეშმარიტების შესაცნობად, რადგან აღნიშნულ ეპოპეაში ყოველი ეპოქალური აღმაფრენისას ადამიანი ახალ სულიერ სხეულებრივ საფეხურზე ამაღლდება, ვითარდება და მარადიულად დაულაშქრავ მწვერვალთა დასაპყრობად ხელახლა საბრძოლველად ემზადება. ჭეშმარიტება წარმოადგენს არა ლოგიკურ საზრისს, არამედ ალტრუისტული სულიერების რასისტენციურ ნიადაგზე ამოზრდილ მძლავრ სიბრძნისმიერ მუხას ცნობადისას, ზესულიერ იდეას, რომელთან ბრძოლა ან ჰარმონიული თანაარსებობაა აუცილებელი. თუმცა ჩემი აზრით, არსებობს მესამე მთავარი გზაც - ცოდნის გაღრმავება, სიბრძნის შეძენა, რწმენის განმტკიცება და უფლის გულწრფელი სიყვარული.

ინტუიცია

ემპირია

სიყვარული

თეოლოგია


ინდუქცია
ცოდნა
ფიქრი
იდეა
იდეალი
სიბრძნე
რწმენა
აზრი

# იბერია

ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა იბერიის სამეფო, რომელიც კავკასიის პოლიტიკურ პროცესთა წარმმართველ ძალად იქცა. იბერიელები აქტიურად იყენებდნენ კოლხურ სამხედრო სტრატეგიულ და პოლიტიკური ბრძოლის ხელოვნებებს. კერძოდ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორიის მიხედვით, იბერიის სამეფოს შექმნა გამოიწვია ალექსანდრე III მაკედონელის მიერ სპარსეთის განადგურებამ და მსოფლიო იმპერიის შექმნამ, კერძოდ ეს სამეფო შექმნეს ხათურ (და არა ხეთურ) კულტურას ნაზიარებმა მუშქური წარმოშობის მესხურმა ტომებმა. მცხეთა, სამცხე (სამეცხე) მოსხური ტერმინებია. მესხმა წარჩინებულებმა დაიწყეს გეოპოლიტიკურ ფაქტორთა მოხერხებული გამოყენება, კერძოდ, ისინი თავდასაცავად და საკუთარი პოლიტიკური ავტორიტეტის განსამტკიცებლად ხსნიდნენ დარიალის კარებს, რომსა და ძვ.წ. III საუკუნეში შექმნილ პართიას უსევდნენ ბარბაროსებს, ასუსტებდნენ და კომპრომისზე წასვლას აიძულებდნენ. იბერთა და ჩრდილოელ ბარბაროსთა გაერთიანებულმა ლაშქარმა არაერთხელ დალაშქრა პართიის ჩრდილოეთ ტერიტორია. პართიას არბევდდნენ საურამაგი (სავარმაგი - სპარსულად „შავმკლავა“) ფარნაჯომი, მირვანი, ქართამი ფარსმან II ქველი და სხვები. ძვ.წ II საუკუნეში გაძლიერებულმა სომხებმა წაართვეს იბერიას პარიადნეს მთები და გარკვეული მიწები. დაახლოებით ასიოდე წლის შემდეგ იბერებმა დაიბრუნეს მიწები, ხოლო ახ.წ I- III საუკუნეებში იბერიის და რომის ალიანსმა დაიწყო ბრძოლა ახალი ფილოსოფიური იდეის - კავკასიის ერთიან პოლიტიკურ სისტემად გარდასაქმნელედ, ამ მიზნის მიღწევა სომხეთის პართიული გავლენისგან განთავისუფლების გარეშე შეუძლებელი გახლდათ. იბერიამ გარკვეული პერიოდი სომხეთში გაამეფა ივერება - მითრიდატე იბერი, ხოლო შემდგომ რადამისტი. თუმცა სომხებმა რადამისტი განდევნეს. სომხეთის დროებით დაკარგვაც ერთგვარ მეტაფიზიკურ-კოსმოლოგიურ კატაკლიზმთა პოლიტიკურ ანარეკლად იქცა ქართველური სამყაროსათვის.

120 წელს გამეფდა ფარსმან II ქველი - კოლხეთის სამეფო ხაზის ღირსეული გამგრძელებელი და აიეტის სულიერი მემკვიდრე. ფარსმანმა გააჩაღა ბრძოლა როგორც რომის, ასევე პართიის წინააღმდეგ. მან დაიკავა სომხეთი, პირადად დაამარცხა პართიელები და მოკლა მათი უფლისწული ოროდი ორთაბრძოლაში, მეორეჯერაც დაამარცხა სომხეთში შემოჭრილი პართიელები. ეს მოვლენა უკვე კოლხურ-იბერიულ სამხედრო პოლიტიკური ძლიერების თვალისმომჭრელი ნათლის სხივით კავკასიის ცაზე გამეფებული წყვდიადის გაფანტვის პროცესის დასაწყისად იქცა. ფარსმან ქველმადალაშქრა რომაული პროვინციები, უშუალოდ შეიერთა ზიდრიტებით დასახლებული თანამედროვე აჭარის ტერიტორია. რომის მრისხანე იმპერატორი ადრიანე, რომელიც 40 მილიონი ქვეშევრდომი ჰყავდა, მცირე აზიაში ჩამოვიდა და ფარსმანი მოიწვია. მეფეს საჩუქრებიც გამოუგზავნა. მეფე არ ეახლა და უფრო მდიდრული მოსასხამები გაუგზავნა. გაბრაზებულმა იმპერატორმა ქართველი მეფის საჩუქრები გლადიატორებს გადასცა. განაწყენებულმა ფარსმანმა დარიალის კარი გახსნა, ალანები შეუსია კაბადოკიას, კაფლაგონიას, გალატიას და ბითინიას. მათ დაარბიეს რომაული

მიწები და უკან გაბრუნდნენ. ადრიანეს გარდაცვალების შემდგომ იმპერატორი გახდა ანტონინე პიუსი, რომელმაც რომში მიიწვია იბერიის მეფე ოჯახით. ფარსმანი ჩავიდა რომში, დიდი პატივით მიიღეს, მისი სამხედრო ხელოვნებით გაოცებულმა იმპერატორმა მას მარსის მოედანზე - ენიალიონის ტაძრის წინ ცხენოსანი ქანდაკება დაუდგა, კაპიტოლიუმში მსხვერპლთშეწირვის უფლება მისცა, რაც უპრეცედენტო ფაქტი იყო. ფარსმანი და რომი მოკავშირეები გახდნენ. იბერიამ დაიწყო უმძლავრესი ლაშქრობები ჩრდილოელ ბარბაროსთა დახმარებით პართიასთან, მათ პართიის დედაქალაქი ქტესიფონიც კი აიღეს. პართიის მეფემ საჩუქრებით დაიძვრინა თავი. ფარსმანმა მრავალჯერ სძლია პართიელთ. ბოლოს რომ ვერაფერს გახდნენ, მსოფლიო პოლიტიკის კოლხთა მიერ შემუშავებული მეტაფიზიკური (აზრისმიერი) კანონები დაარღვიეს, მზაკვრობას მიმართეს, მზარეული მოისყიდეს და ფარსმანი შხამით მოკლეს. თუმცა იბერია კიდევ 80 წლის განმავლობაში დარჩა წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ, რომლის დაპყრობაზე პართიელებს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ. III საუკუნეში პართიის დაცემამ და სასანიანთა ირანის შექმნამ (226 წელი) იბერიას დიდი საფრთხე შეუქმნია. იბერიის მეფე ამაზასპი ბეჰისტუნის ქვაზე ამოკვეთილ წარწერაში შაჰის მეგობრებს შორის IV ადგილს იკავებდა, სანამ 271 წელს გუთისხევთან გამართულ ბრძოლაში მეგრელთა და სომეხთა კოალიციურმა ლაშქარმა არ დაამარცხა და მოკლა კიდეც. შეწყდა ფარნავაზიანთა დინასტიის პირდაპირი გენეტიკური ხაზი. გამეფდა ამ დინასტიის გვერდითი შტო ხოსროიანები, რომლებიც არანაკლები თავდადებით ემსახურებოდნენ კავკასიას. ფარნავაზიან-ხოსროიანთა საგვარეულომ კოლხურ იბერიული ცივილიზაციის ძლიერების ახალ ეპოქას დაუდო სათავე.

იბერიის სამეფო კიდევ ერთხელ გაძლიერდა სპარსეთის სასანიდი შაჰის ჰორმიზდ არდაშიდის უფროსი ვაჟის - მირიანის მმართველობისას. მირიანის უმცროსი ძმა - ბარტამი - სპარსეთის ტახტის მემკვიდრე გახლდათ. შესაბამისად, პოლითვისტური იბერია და სპარსეთი მოკავშირეებად გამოდიოდნენ ბიზანტიის იმპერატორების - ჯერ კონსტანტინე I ქლორუსის, შემდგომ კონსტანტინე დიდის წინააღმდეგ. საქართველოს წმინდა სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია დაარსეს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოწაფეებმა - მოციქულებმა - ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა (აფხაზეთში), მატათა (აჭარაშია დაკრძალული) და ფილიპემ. ზოგიერთი წყაროს ცნობით და პირადად ჩემი თვალთახედვით, იესო ქრისტე ქალდეური წარმოშობის გალილეველია, გალილეველები გახლავან მისი 70 მოწაფეც, ებრაელი მხოლოდ იუდა ისკარიოტელი გახლდათ. ჩემი აზრით გალილეველები ძვ.წ. X-IX საუკუნეებში დიაოხიდან წასული ლაზური ტომია.რომელიც ასურულ-ურარტულ აგრესიას განერიდა. ანტიქრისტეც ქალდეველი იქნება, რადგან იერემიას, ეზეკიელის, იერობოამის, რუთის, დანიელის და სხვათა მიხედვით იგი წარმოშობით 12 ქალდეური ტომიდან ერთ-ერთის დანის წარმომადგენლად მოგვევლინება. ჩემი აზრით და არამარტო ჩემი აზრით,პირველი ქრისტიანენი ლაზები არიან. ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი - აკაკი ბაქრაძე ზვიად გამსახურდიას, ინგოროყვას, რისმაგ გორდეზიანის და სხვათა ზეგავლენით სრულიად ობიექტურად აცხადებს ლაზეთს ქრისტიანობის სულიერ აკვნად. „ქართლის ცხოვრებაში" მოცემულია ინფორმაცია მეფე ადერკის მიერ დასავლეთ საქართველოში პოლითეიზმის

ძალით აღდგენის შესახებ. თუმცა, ნაკლებად შესაძლებელია მას მთლიანად მოესპო ქრისტიანული მოძღვრება ამ რეგიონში თან იგი ვერ დალაშქრავდა ისტორიულ ჭანეთს, სადაც ქრისტიანობა ძლიერი იყო და არ ემორჩილებოდა იბერიას. საქართველოში ქრისტეს მოძღვრების პირველ გამავრცელებლად მოციქულებს ასახელებდნენ, რომლებიც ლაზეთიდან შემოვიდნენ. თუმცა საქართველოში და ზოგადად, იბერიაში ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება სულით უშბაზე უფრო მტკიცე და გარეგნულად აფროდიტეს დარ, მოციქულთა სწორ, სარდალ ზაბულონისა და სოსანას ერთადერთ ქალიშვილს, იერუსალიმის პატრიარქის დისშვილს, ქრისტეს მინდობილ წმინდა ნინოს უკავშირდება. წმინდა ნინო, რიფსიმე და გაიანე სომხეთში მოვიდნენ, მეფე თრდატს მოეწონა ქალწულები, რიფსიმეს ცოლობა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. რიფსიმე აკუწეს და ვეფხვს აჭამეს. ნინო ბუჩქებში დაიმალა და გადარჩა. სომხეთი გრიგოლის გამოჩენამდე წარმართი დარჩა (აგაიანცის თვალთახედვა). შემდეგ გრიგოლსაც ჩააგდებს მეფე ხორვირაპის ორმოში - 10 წელი, ზოგან 12 წელი წერია, მეფეს საშინელი სენი შეეყრება, მისი და ხოსროვადუხტი გაათავისუფლებს გრიგოლს, მეფეც განიკურნება და სომეხნი ნათელს იღებენ. ნინო ჯავახეთიდან შემოვიდა იბერიაში, გზად მწყემსებმა მიასწავლეს მცხეთის გზა. ნინო მივიდა იმ ქალაქში, რომელიც სემიტიზირებულ ქალდეველთა მიერ შექმნილმა ძველი აღთქმის ეკლესიამ დიოცეზმა დაგმო მაცხოვრის ჯვარცმა.

ნინოს მისვლისას ქალაქში წარმართული დღესასწაული იმართებოდა. ნიმომ ნახა მთაზე კერპები, მეომარი ღვთაებები - არმაზი (ფარსმანავაზის დამკვიდრებული, გაც და გაი აზონისა). ნახა მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, შესთხოვა ღმერთს შეწევნა. ქარი ამოვარდა, კერპები დაიმსხვრა, ყველი გაიქცა. ხალხს ეგონა მათ ღმერთებს მეზობელ ხალხთა ღვთაებანი მოერია. ნინო მაყვლის ბუჩქში დასახლდა და ხალხის განკურნებას მიჰყო ხელი. ნინომ განკურნა და გააქრისტიანა ნანა დედოფალი, მისი ბიძა სპარსელი მოგვი, მრავალი იბერი, თხოთის მთაზე მომხდარი სასწაულის შემდეგ გაქრისტიანდა მირიანიც. მეფემ ელჩები გაგზავნა ბიზანტიაში. იმპერატორს ძლიერ გაუხარდა დედამისთან - დედოფალ ელენესთან ერთად, იბერიის გაქრისტიანება, და მღვდლები გაგზავნა იბერიაში. ხალხი ნინომ მონათლა მტკვარში. ხალხის უთვალავი რაოდენობა კი სასულიერო პირებმა მონათლეს. მირიანი ბიზანტიის მოკავშირედ იქცა სპარსეთის წინააღმდეგ. IV საუკუნეშივე გაჩაღდა დიდი ბრძოლა ამიერკავკასიაში ორ რელიგიას - ზოროასტრიზმსა და ქრისტიანობას შორის. ერთმანეთს დაუპირისპირდა მაზდეანური დესპოტია და ქრისტიანული ჰუმანიზმი. სპარსელები დაუღალავად ცდილობდნენ ქართველთა, სომეხთა და ალბანელთა ბიზანტიისაგან ჩამოცილებას, გამაზდიანებასა და საკუთარი პოლიტიკური გავლენის განმტკიცებას ქართველი ხალხი მეზობელ ერებთან ერთად თავგანწირვით იბრძოდა ირანული ექსპანსიონიზმის გაალმასებულ შემოტევათა უკუსაგდებად. ქართველური ცივილიზაციის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო - თავგამოდებული ბრძოლა ანტისულიერ უკუნში ჩანთქმული სპარსეთის და კავკასიის კაშკაშა მზეს - იბერიის ძლევამოსილ სამეფოს შორის. ომები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თუმცა, საბოლოო ჯამში IV საუკუნეში სპარსული პოლიტიკა დამარცხდა, ამიერკავკასიაში ბიზანტიის გავლენა განმტკიცდა და საქართველომ გეზი დასავლური სამყაროს ცენტრისკენ - ბიზანტიისკენ აიღო.

იბერიის მეფე მირდატი ( ვახტანგ გორგასლის მამა) ხშირად არბევდა სპარსელთა კონტროლირებად სომხეთს, ალბანეთსა და თვით ადარბადაგანსაც კი. სპარსული ჯარები მიყოლებით მარცხდებოდნენ მირდატის არმიასთან ბრძოლაში. მირდატი საკმაოდ ძლიერი მეფე იყო, რომელმაც სიტუაციით ისარგებლა და შიშის ზარი დასცა ირანს (ამ დროს სპარსელები ეპტალიტებთან კიდაერიტებთან ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი). მოულოდნელად მეფე გარდაიცვალა. ჩემი შინაგანი რწმენით, ისევე როგორც ფარსმანი პართიელებმა, მირდატიც სპარსელებმა მოწამლეს.ვახტანგი - ვარანგ ხუასრო თანგი - ვარანგ ხოსრო ტაგი ჯერ პატარა იყო ფა ქვეყანას დედამისი - დედოფალი საგდუხტი მართავდა. დედოფალმა შეიტყო მამის სპარსელ მოხელე ბარზაბოდის საომარი მზადების შესახებ და ეახლა მას, შეავედრა ვახტანგი და ზავი გამოთხოვა ერთი პირობით მცხეთაში მოგვები უნდა დამსხდარიყვნენ. ამ დროს გათავხედნენ ოსები, თავს დაესხნენ გორს და მეფის 3 წლის და მირანდუხტი გაიტაცეს. ვახტანგმა ჯარი შეკრიბა და გაილაშქრა. ოსებმა და ხაზარებმა დიდი ჯარი შეკრიბეს. ვახტანგმა ორთაბრძოლებში ორი ოსი გოლიათი თარხანი და ბათაყარი მოკლა.

ქართველები შეტევაზე გადავიდნენ, ოსები სასტიკად დაამარცხეს, თავი გამოიჩინა ვახტანგის ბიძის ვარაზ ბაკურის მიერ გამოგზავნილმა 12 ათასმა მეომარმა. მეფემ მთელი ჩრდილოეთ კავკასია დალაშქრა და დასავლეთ საქართველოდანაც განდევნა ბიზანტიელები. ვახტანგმა ცოლად შეირთო სპარსეთის შაჰის ასული - ბალენდუხტი. კიდევ ერთი ეზოთერული მისტერია განხორციელდა - კავკასიელი მებრძოლისა და სპარსელი იმპერიალისტის სულიერი გაერთიანებისა. მალე მოუწევდა ირანს იბერიელ მებრძოლთა უთერული სულის მკაფიო ჭვრეტა. --- ირანის შაჰმა წამოიწყო დიდი ლაშქრობა ინდოეთში.

ირანელებს ეახლა შაჰის მიწვევით ქართველი მეფე და ერთად შეიჭრნენ ინდოეთში. ინდუსები ციხეებში გამაგრდნენ, ხშირად გამოდიოდნენ და სპარსელებს დიდ ზიანს აყენებდნენ, ვახტანგის ლაშქარს კი ვერაფერს აკლებდნენ. ინდოელები გატყდნენ. ახლა სპარსელებმა და ქართველებმა ჯორჯანეთი დაიპყრეს, შემდგომ კი სინდეთში შეიჭრნენ. ვახტანგმა სინდთა მეფის მიწვევა მიიღო ორთაბრძოლაში მონაწილეობათან დაკავშირებით, აქამდე 15 ბუმბერაზი ჰყავდა მოკლული. მან სინდთა მეფე მძიმედ დაჭრა და შაჰთან მიათრია, შემდგომ შაჰს მისი შეწყალება სთხოვა სინდთა რაზმის მიერ მისი აღმზრდელის საურმაგის მოკვლის მიუხედავად. სინდებმა მეფის შვილი განადიდეს, აიყვანეს ტახტზე. შაჰმა გაათავისუფლა ტყვე მეფე, რომელიც ვახტანგის მადლიერი დარჩა. სინდა მეფე ვახტანგს ეუბნებოდა სპარსეთის სახით შენ არწივისგან დაჭრილ ქორს გადაარჩენ, რომელიც შენვე მოგკლავსო. ვახტანგი კი მიუგებდა: „შენთან ომის გამო სპარსელნი ჩემს ქვეყანაში ომისთვის ვეღარ იცლიანო.

20 წლიანი ეგზოტერული ლაშქრობისა და ხელახალი კოლხურ-იბერიული ეზოთერული ექსპანსიის შემდეგ, მეფე ინდოეთიდან საქართველოში დაბრუნდა. 482 წელს მოაკვლევინა ქრისტიანი ცოლის მკვლელი ვარქსენ პიტიახში - სამშობლოს მაზდეანი მოღალატე. ირანელები საქართველოში შემოიჭრნენ სარდალ ჰაზარავუხტის მეთაურობით. ვახტანგი ხან იმარჯვებდა, ხან მარცხდებოდა. დიდებულები ღალატობდნენ. 502 წელს სამგორის ბრძოლაში მოღალატემ მეფე იღლიაში ისრით

სასიკვდილოდ დაჭრა. მეფე უჯარმაში გარდაიცვალა. არტანუჯის განმამტკიცებელი, 470 წელს კათალოკოს პეტრეს ხელდასმის, მიქაელ მთავარეპისკოპოსის განმდევნელის, სინდთა, ინდოელთა მძლეველის, სპარსელთაგან - „დურ აზ გორგასარ“ - ერიდეთ მგლის თავას“ - ტიტულის მფლობელი მეფე არასოდეს გარბოდა, მას წინ მგელი ეხატა, უკან კი ლომი. მტერი მის ზურგს ვერ ხედავდა და ამიტომ ეძახდნენ „მგლისთავას“. მისი გარდაცვალების შემდგომ ქართველთა საომარ დროშას ეწოდა გორგასლიანი. გამეფდა მისი ვაჟი დაჩი. დაჩის სიკვდილისა და 523 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მეფე გურგენის ამბოხის მარცხის შემდგომ, სპარსელებმა უკვე 523 წელს იბერიაში გააუქმეს მეფობა. მარზპანი დასვეს. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა კი გამძაფრდა. სპარსელებმა მოინდომეს ლაზიკის დაპყრობა, თუმცა 542-562 წლების ომში სამარცხვინოდ დამარცხდნენ. სპარსეთის გეგმები ჩაიშალა, ქართველ ხალხს ბრძოლა არ შეუწყვეტია. საბოლოოდ ერისმთავარმა სტეფანოზ I-მა სპარსელთა ბატონობის უღელი მოიშორა.

# ქ ა ლ დ ე ა

ქალდეა კავკასიური ჰაგია ტრიადას მესამე უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია

ქალდეა კოლხურად ასე იშიფრება -„ქალდეს ეა“ – „ლაზური იყოს მარად“. კოლხეთი კი ამგვარად - „ქა ლხე თაქ“ – „ლაზი გვირგვინოსანი ზის აქ.“ იბერია ასე - „იბა რეია“ – „შვილნი რეასი“. ქალდეა გახლავთ არა ქვეყანა, არამედ სივრცე, რომელშიც მტკიცდებოდა კოლხურ-იბერიული ცივილიზაციის მიღწევები და შემდგომ ვრცელდებოდა მთელ მსოფლიოში. კოლხების გავლენით სწორედ ქალდეაში ჩამოყალიბდა ფილოსოფია, თეოლოგია, ისტორიოგრაფია, გეოგრაფია, მხატვრული ლიტერატურა და ა. შ. კოლხეთი - ეს ღვთის რწმენაა, სახელი, რომელიც თითქოს თითოეული ჩვენგანის სულს ესალბუნება და იდილიურ ნავსაყუდარს ჰპოვებს მსოფლიოს ხალხთა გულში. იბერია - ეს სიბრძნეა, დაფუძნებული სულიერების სიდიადისა და სამყაროს მმართველ ისტორიულ-ფილოსოფიურ კანონზომიერებათა გონივრულობის რწმენაზე. ქალდეა - ეს ცოდნაა, რომელიც პრაქტიკულად ცხოვრებაში ახორციელებს კოლხურ რწმენასაც და იბერიულ სიბრძნესაც. ანუ ქალდეა გახლავთ სისტემატიზატორი კოლხური კულტურისა და ამ საფუძველზე აღმოცენებული იბერიული ცივილიზაციისა. სვამ შეკითხვას?- ესეიგი გწამს, გჯერა ღვთის, ესეიგი გსურს სიბრძნის შეძენა და გაქვს გარკვეული ცოდნა, რომლის გასაღრმავებლად იბრძვი. როგორ დასვამ შეკითხვას თუ კონკრეტულ კითხვაზე თუნდაც პრიმიტიული პასუხი არ გაქვს. რწმენის გარეშე სიბრძნეს ვერ შეიძენ, სიბრძნის გარეშე კი ცოდნას ვერ გაიღრმავებ, მაგრამ უნდა გახსოვდეს სიბრძნე ცოდნის გამოყენების ხელოვნებაა. ვერც სიბრძნით და ვერც ცოდნით ვერასდროს გაფანტავ სამყაროს შესახებ შენს გონებრივ ასპარეზზე გამეფებულ წყვდიადს. ჩემი აზრით მთავარი რწმენაა. მე აბსოლუტურად ვიზიარებ ნეტარი ავგუსტინეს, იპოლიტე რომაელის, თომა აქვინელის და სხვათა ცნობილ გამოთქმას „ირწმუნე რათა შეიცნო“. თვით პარემიოლოგია (ანდაზათა შესწავლის მეცნიერება) ვერ მისწვდება ამ ფრაზაში ჩაქსოვილი სიბრძნის საოცარ

მწვერვალს, მითუმეტეს თანატოლოგია (სიკვდილის ფენომენს შეისწავლის) უძლურია სიკვდილი დაარქვას ამ ფრაზის შემქმნელთა აღსასრულს.

პიერ აბელარი ზედმეტად ტენდენციურად აზროვნებდა, როდესაც ამბობდა: „შეიცან, რათა ირწმუნო". „რწმენის გარეშე ვერ შევიცნობთ, შემეცნებას არ ძალუძს ჩვენი გამოცდილების ფარგლებს გაღწევა" - ამბობდა უდიდესი გერმანელი მოაზროვნე იმანუილ კანტი თავის ბრწყინვალე ნაშრომში „შემეცნების თეორია".

ფილოსოფია პირველად ეპისტემოლოგიური საზრისების (შემეცნების მეთოდიკა ------ გნოსეილოგიური საწყისების სულიერი სიბრძნის მატერიალისტურ სიბრტყეში განხილვის ხელოვნება) და დიალექტიკური ელემენტების (ენისა და ეროვნების მექანიზმის შემსწავლელი მოძღვრება) ერთობლიობად კოლხ ბრძენკაცთა მიმდევარმა ქალდეველმა ქურუმებმა აღიქვეს. ქალდეველთა ხედვით ფილოსოფია გვასწავლის სწორად ცხოვრებას, ობიექტურად აზროვნებასა და რწმენას სიბრძნის უნივერსუმისადმი. ქალდეველთა მისია კოლხთა და იბერთა მსგავსად გახლდათ მსოფლიოს ხალხთა ნაციონალური გონის პანეროვნული ზესულიერი რწმენითა და სამყაროსეული სიბრძნის მანათობელი სხივით განათლება.

კოლხურ-იბერიულ-ქალდეური მოდგმა გახლავთ უნიკალური რასა, რომელმაც განანათლა მსოფლიო, კაცობრიობა. პირველად სწორედ ქალდეველებმა განიხილეს სამართალი მეტაფიზიკური დოგმატიკისა და ფილოსოფიური იდეალების განსაცვიფრებელ ნაზავად. ქალდეამ პროტოკავკასიური კულტურა ახალ სულიერ-სხეულებრივ საფეხურზე აღამაღლა. ქალდეველმა ქურუმებმა კოლხეთის მეფე - ქურუმის რელიგიური ინსტიტუტის მიბაძვით შექმნეს ერთგვარი დიარქიული ხელისუფლება ჯერ კიდევ ძვ. წ. XIX საუკუნეში. ქალდეა ახალი ეპოქალური ცვლილებების მამოძრავებელ ისტორიულ-მეტაფიზიკურ ფენომენად გარდაისახა საღად მოაზროვნე ინდივიდთა რასისტენციურ მეხსიერებაში. ქალდეველებმა უმნიშვნელოვანესი ღვაწლი დასდეს მსოფლიო ისტორიის სამსხვერპლოზე. ქალდეა შეიძლება წარმოვიდგინოთ ცოდნის ერთგვარ ყურედ, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს ორ ოკეანეს - კოლხური რწმენის ბობოქარ დინებასა და იბერიული სიბრძნის მჩქეფარე მდინარებას. ქალდეა კავკასიის მცხუნვარე მზეა, რომელიც წვავს მატერიალისტურ ჭაობში ჩაფლულ ხალხებს. ზემოაღნიშნული სოციოკულტურული სივრცე იქცა ერთგვარი ღვთიური მართლწესრიგის დამამყარებელ და განმამტკიცებელ კოლხურ სუბსტანციად რომელიც გარდაიქმნა მსოფლიო გონის მატერიალისტური აზროვნებისგან დამცველ გასაოცარ სუბსტრაქციათა აპოფატიკურ სამყაროდ. ქალდეა - რეა - კვიბელეს - დედა - ქალღმერთის კოლხური კულტურის ქვეყანაა. იქნებ ვცადოთ შეცნობა აღნიშნული ჰაგია ტრიადის მისიისა, ჩვენ მას ვერასდროს შევიცნობთ, რადგან აქ იმალება ჭეშმარიტება, მატერიალისტი ადამიანი იკითხავს: მაშინ რა აზრი აქვს ბრძოლას? ალტრუისტი უპასუხებს: „ასეთ დიად ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი".

ქალდეა მესხთა მშობელი მხარეა. ფრიგია - ქადეური კულტურის მთავარი აკვანია. კავკასიის შემდგომ. ზოგადად, ჩემი ხედვით, კავკასიონის ქედი გახლდათ ერთგვარი მეტაფიზიკური ბარიერი ჩრდილოეთის ნომადურ ბარბაროსულ სამყაროსა და სამხრეთის დეტერმინირებულ ცივილიზაციათა ალოგლეტეგენიურ სისტემებს შორის. შინტოიზმის

წმინდა წიგნში ნახსენებია „ბედნიერების მიწა“ – „გოკურაკუ“ - კოლხეთი, იბერია, ქალდეა.

ჩემი მოკრძალებული ვარაუდით და სვიდას აზრების გათვალისწინებით გოკურაკუ - კოლხეთი, იბერია და ქალდეა ყურანში ორჯერაა ნახსენები ლეგენდარული სიბრძნის ქვეყამა კოლხა. ასევე ვხვდებით ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ-ნაბი- ქალდე- ნეცარს- ქალდეველ მონარქს. დიდი ბერძენი მეცნიერი იური მოსენკისის თქმით ბაბილონს ძვ.წ. XVIII საუკუნის შუა წლებიდან ძვ. წ. XII საუკუნემდე მართავდა კასიტების დინასტია. კასიტების ენა კი კოლხური გახლდათ. ბაბილონს 500 წლის განმავლობაში კასიტური, შემდეგ კი ქალდეური დინასტია მართავდა. მაგალითად ბაბილონის უკანასკნელი მმართველი -არქეოლოგიის გამომგონებელი (რობერტ კოლდევეის თქმით) ნაბონიდი ქალდეველი გახლდათ. უფრო მეტიც, დიდი გერმანელი მეცნიერი ბორის გრეინშპოლი წერს: „ქართველებმა 5 ათასი წლის წინ პირველებმა მოიშინაურეს ცხენი, მიაღწიეს ავსტრიას და შექმნეს ბადენის კულტურა. ტროელებიც ქართველები იყვნენ და ეგეოსის ზღვისპირეთის აბორიგენები კოლხები იყვნენ. ჩემი აზრით, კოლხთა, იბერთა და ქალდეველთა შექმნილია არა მარტო ბადენის, არამედ ჰალშტადტის, სულჟეცის, იბერო-მავრიტანული და აფანასევოს კულტურები. კავკასიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული კულტურები - ადრე სამიწათმოქმედო, მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, სიონის, შულავერ-შომუთეფეს, კოლხური, ყობანური და ყაიაქენთ-ხოროჩოისა.

მაგ. რუსი მეცნიერი მალიშევსკი მიიჩნევს, რომ გეოგრაფიული ტოპონომიკა ყაზანიდან ტამანამდე კავკასიური წარმოშობისაა. ფრანგი მეცნიერი გუსტავ დემოლისის თქმით, ფრანგული გეოგრაფიული ტოპონიმები ადასტურებს ამ მიწებზე უძველესი კოლხურ-იბერიული დასახლებების არსებობას.

ქალდეას იკვლევდა ცნობილი ებრაელი მეცნიერი - იულიუს ოპერტი, რომლის თქმით შუმერი და ქალდეა ერთი ცივილიზაციაა. ოპერტი ითვლება შუმერული ენის ტერმინის დამამკვიდრებლად. იგი აცხადებდა შუმერულის ალთაურთან ნათესაობის შესახებ, უარყოფდა სემიტურთან მის მსგავსებას, შემდეგ აზრი შეიცვალა. ამ აზრს ამყარებდა ასირიელ მეფეთა ტიტულებიც: „მეფე ალკადისა და შუმერისა“ პირველი კოლხეთი, მეორე იბერია - ლურსმნული დამწერლობა ქალდეველი ქურუმების მიერაა შექმნილი. შუმერებთან თანამშრომლობით ქალდეველებმა შეცვალეს ვერტიკალურად წერა ჰორიზონტალურით. გამოიგონეს ბუსტაფრედონი - მარცხნიდან მარჯვნივ წერა. ასევე საკუთარი ანბანის გამოყენება ასწავლეს უწიგნურ ხალხებს (ალოგლოტოგრაფია - საკუთარ ენაზე უცხოური ასოებით წერა). ზოგადად, ბაბილონი ქალდეური ქალაქი იყო და მის შექმნაში სემიტ-ამორეველებთან ერთად, ქალდეველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ლურსმნული დამწერლობის მესაძირკვლედ ქალაქი ერედუ ითვლება. აქ მდებარეობდა ღვთაება ენქის ტაძარი „ენგირი“. ბაბილონში მდებარე მარდუქის მთავარ ტაძარს ერქვა „ესანგილა“ „ეთემენანქი“, „ზიკურტი“, ამ ტაძრის VIII საიდუმლო მიწისქვეშა სართულს ერქვა „ქგგალუ“ - შემოგევლე. ლეონარდ ულის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ მესოპოტამიაში XXV საუკუნის შემდეგაც ცხოვრობდნენ ზანაურ (მეგრულ-ლაზურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები, რომელთაც ურის

III დინასტიის დაცემის გამო შექმნეს ლიტერატურული ნაწარმოები „ურუშიგარა“ -ურუს გოდება.

ქალდეას შესასწავლად დიდ დახმარებას გვიწევს გიზას (განსაკუთრებით ხუფუს, ხეფრენის, მიკერინის და ჯოსერის პირამიდები, ბიბლიის აპოგრიფული ტექსტები, მოას ქანდაკებები, ნასკას ხაზები). გიზას ეპოქალური კომპლექსი ზუსტად არის დათარიღებული არიული ეპოქალური კოსმოგონიური თარიღით - პონით ნომერ 30 ჩრდილოეთ განედზე აღმართული დიდი პირამიდების ზეტა ორიონისკენ მიმართული მინიატურული შახტით. #30 =45გრადუსი= 10465 წ. ჩვ. წ აღ-მდე. კომპლექტი მიძღვნილია ლომის ეპოქის წარღვნისადმი, ხოლო მისი დიადლაინი 10400 BC. ქართული ანბანი ასტრონომიულ-კოსმოგონიური ტრაქტატით. მასში ჩაწერილია მისი შექმნის თარიღი - 13118 წ. ძვ. წ #30 -42 გრადუსი- 13118 წ. ძვ. წ. კონი ორიონის პიკის საშუალებით დგინდებოდა წელიწადში ერთხელ ვარსკვლავ ზეტაორიონის ზენიტში ყოფნისას #30 ჩრდილოეთ განედზე მისი მაქსიმალური კუთხური სიდიდის მიხედვით 42 გრადუსი.

ქალდეველთა კულტურის შესანიშნავი მკვლევარია ამერიკელი მეცნიერი რეჟინალდ ფენსენდნი, რომელიც თავის წიგნში „კავკასიური ისთმუსი“ სენსაციურ დასკვნებს აქვეყნებს: 1) ძვ. ეგვიპტის რელიგია მომდინარეობს კოლხეთიდან და ფინიკიიდან 2) ძვ. ბერძნული რელიგიის ძირითადი ნაწილი მომდინარეობს აღმოსავლეთ ედემიდან - იბერიიდან, ხოლო დამატებითი ნაწილი ეგვიპტიდან. 3) თამუზისა და ადონიის (ადამიანი ეას ქვეყნიდან) თაყვანისცემა მომდინარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებიდან. 4) ებრაელთა რელიგიის წყარო იბერიაა - ცენტრალური ედემი 5) კრეტელთა (ბიბლიის მიხედვით ქაფთორელთა) რელიგიის წყაროდ იგივე ადგილი მიაჩნია. 6) ბერძნული წყაროების იდონი მდებარებს კავკასიონის დასავლეთ და შუა კალთებზე. 7) ჰესპერიდების ბაღი მდებარეობს აღმოსავლეთ ედემში - აღმოსავლეთ კავკასიაში.

შუმერში შექმნილი და ბაბილონში გადამუშავებული უძველესი ლიტერატურული ქმნილება - „გილგამეშიანი“ კოლხურიბერიული-ქალდეური ძეგლია ჩემი აზრით. „გილგამეში“ „ენქიდე“, „შამხათი“, „მანიაგი“, „ხინუ“, „ხურბაბა“, „ალუხალე“, „უთნაფიშტიმი“ ქალდეურ-კოლხურ-იბერიული გმირებია.

ქალდეა უძველესი ევროპელების სამშობლოა, ქალდეა ძაფის უძველესი სამშობლოა - პირველად სწორედ აქ კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ სამყაროში დაიწნა 340 საუკუნის - 34000 წლის წინათ ძაფი.

ქალდეა ღვინის სამშობლოა. აღმოჩენილია 800 წლის წინანდელი ქვევრი ყურძნის წიპწებით.

ქალდეა ოქროს წარმოების სამშობლოა. ქალდეა მეტალურგიის წარმოების უძველესი სამშობლოა. ქალდეა შესაძლოა თაფლის სამშობლოდაც აღიარონ. აღმოჩენილია 5,5 ატასი წლის წინანდელი თაფლის ფიჭა ბორჯომში, რომელიც 2000 წლით უფრო ძველია ტუტანჰამონის საფლავში აღმოჩენილ თაფლზე, იმ ტუტანჰამონისა, რომელსაც კავკასიური გენეტიკა აქვს, ისევე როგორც დღევანდელი ევროპელების 50-57%-ს.

ქალდეველი იყო ჰასან იბნ-საბაჰი -ასასიანთა სექტის დამაარსებელი. მულიდები, ფიდაები,- ისმაილიტთა სექტას განეკუთვნებოდნენ და სიკვდილთან წილნაყარი ტერორისტები იყვნენ - ისევ ქართველურ ცივილიზაციას ვაწყდებით.

ქალდეური ანბანი უნდა აღმსდგარიყო და აღსდგება კიდეც იმ ხაზობრივი ფორმულით, რომელიც შეინახეს კავკასიონის მთის საცავებმა და ანკარის სიძველეთა მუზეუმში დაცულმა ხეთების უძველესმა ფერადმა თიხამ, რომელსაც ინგლისელი მეცნიერი მელარტი ათარიღებს 6500-5600 წლებიტ. 5600 წლიან ქრონოლოგიას ვემხრობი.

საქართველოს კავკასიონის მთის საცავებმა შეინახეს სამყაროსეული ცივილიზაციის ის უდიდესი კულტურა, რომელიც მთლიანად დამარხა რელიგიამ მთელ აღმოსავლეთში. საქართველოში ნებსით თუ უნებლიედ ქრისტიანობამ გაანადგურა, ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში მაჰმადიანობამ მოსპო იგი. ქალდეურ ანბანში სამყაროსეული კულტურის არსებობა მტკიცდება ლუნისორალური (მზისა და მთვარის კალენდრის კომბინაცია) კალენდრით, რომელიც წამებაში ანგარიშობს წელიწადის ოთხივე დროს, რაც თანამედროვე კაცობრიობისთვისაც კი წარმოუდგენელია.

ქალდეური ანბანი შედგენილია სამყაროსეული ცივილიზაციის ხაზობრივი ფორმულით, რაც ადამის მოდგმის განათლების სადავეა. ზემოაღნიშნულ ანბანურ საიდუმლოებათა წვდომა სრულიად ახალ გზაზე დააყენებს კაცობრიობის ისტორიასა და აზროვნებას. მაგ. ეგვიპტელი ქურუმები იმხოტეპი, ჰეპტეტი, სენენმუტი, მინმოსი კოლხები იყვნენ ჩემი აზრიტ, ასევე ევროპელი ქურუმები - დრუიდები (ეს სახელი გერმანელ მეცნიერ იოჰან ზლეიფცერისა და ფრანგ მისტიკოს ედუარდ შიურეს აზრით მომდინარეობს გალთა იბერი ჯადოქარი დედოფლის დრიადესის ინდოევროპული სახელისგან), პოეტი ქურუმები - ბარდები და ასტრონომი ქურუმები - ოვატები კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ცოდნის მიმდევრები იყვნენ. პირველად სწორედ ქალდეველმა ქურუმებმა უწოდეს ე. წ. უცხოპლანეტელებს - ეშმაკებს - „ნეფილიმები“ ბოროტი სულები. ქალდეველთ წინ მიუძღოდნენ არამეულად „ბენ ელოჰიმ“ - ღვთისშვილები - ადამის შვილის შთამომავლები იყვნენ. ადამის შვილები გახდნენ სეითი, შეთი, კაენი, აბელი. დედაკაცები იყვნენ კაენის შთამომავლები - კაენიტები. განგებ არ შევეხე თბილისის დაარსების ლეგენდას. რომელიც ჩემი აზრით უნიჭოდ შეთხზული ლეგენდაა, სინამდვილეში თბილისი - „თუბალისი“ დაახლოებით ძვ. წ. IX-VII საუკუნეში დაარსეს თუბალ-კაენის იგივე თობალ-მოსოხის, თოგარმა მეშხეს ხალხმა. ამ პროცესში დიდი როლი შეასრულეს თუბალებთან ერთად ვერცხლის სამშობლოს - ტავროსის მთიანეთის მკვიდრმა მეომარმა ხალიბონებმა. ჩვენს მიერ აღწერილი ჰაგიატრიადა ერთგვარი უსასრულობაა.

რუდოლფ შტაინერის თვალთახედვით, თანამედროვე კაცობრიობა იშვა 3 ძირეული რასისგან ატლანდიტელები, ლემურიელები, არიელები (სამივე კოლხურ-იბერიული, ქალდეური ტრიადაა), ასევე 7 ქვერასისგანა. 1) რმოაჰალები, 2) ტლავატლები, 3) ტოლტეკები-კოლხურ-იბერიულ-ქალდეური გენეტიკური ასტრავეტრული სამება 4) ტურანელები. 5) პირველყოფილი სემიტები, 6) აკვედუკელები, 7) მონგოლები. ზემოაღნიშნული რასათა ბიოენერგიალურ სივრცეებში იგრძნობა ყველაზე ძლიერი - იბერიულ-კავკასიური, ასკულარულ-ალაროიდული, მედიტერიანული, კოლხურ-ქალდეული გენეტიკური ნაკადი, რომლისგანაც იშვნენ თანამედროვე ხალხები. მე აბსოლუტურად ვიზიაებ ზემოაღნიშნულ ხედვას, ჩემი აზრით მსოფლიოს ხალხები კავკასიური გენეტიკის მძლავრი ნაკადის ეპოქალური გამიჯვნის შედეგად

ჩამოყალიბდნენ. კოლხები ოდითგანვე ყველაზე მეომარ და თან, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღრდეს, ცივილიზებულ ხალხად ითვლებოდნენ. აპოლონიოს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“ ამბობს: „ძლევამოსილ არს კოლხთა ხელმწიფე და რომ ინებოს ელადაზეც გამოილაშქრებს“.

კოლხა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახლდათ. ზემოთ ხსენებულ მოსაზრებათა არგუმენტირების ხარისხის ასამაღლებლად მიზანშეწონილად მივიჩნევთ კონკრეტულ ფაქტთა დასახელებას! ცნობილი ფაქტია, ელინები ყველა სხვა ხალხს, ბარბაროსებს, კოლხებს კი თანასწორ, ზოგჯერ უფრო განვითარებულ ხალხად, ხანდახან კი მოძღვრებად თვლიდნენ. (ამ ფაქტს ადასტურებენ აპოლონიოს როდოსელი, ჰერაკლიტე, ეპიკურე, ანაქსიმენე, ვალერიუს ფლაკუსი, ფსევდო-აპოლოდორესი, ფსევდოჰიგინოსი, ჰესეხიუსი და სხვები), კოლხებმა აიეტის მეთაურობით და ეგვიპტის (ეგვიპტელები თავიანთ ქვეყანას - „კემეს“- „შავ ქვეყანას“, ზოგჯერ კი კოლხურ სახელს „ქიანეთს“ ეძახდნენ, ნამდვილი ეგვიპტელები, განსაკუთრებით ფარაონები და ქურუმები, კოლხები იყვნენ) მოკავშირეობით უამრავი მარბიელი ლაშქრობა მოაწყვეს ახლო აღმოსავლეთში, მაგ. ხელახლა დაიმორჩლეს (მათ მიერვე შექმნილი) ურჩქმნილი ხურიმითანის იმპერია (მაშინდნელი ტრაპიზონის იმპერია-ორივე ჩვენ შევქმენით). მეფე სავდაკმა ძვ. წ. IX საუკუნეში სასტიკად დაამარცხა კოლხეთში შემოჭრილი ეგვიპტის ფარაონი სესოსტრისი (ძვ. წ. 1818-1855 წ.წ.). კოლხებმა ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ძვ. წ. 1274 წელს გამართულ ქადეშის ბრძოლაში, საუკეთესოდ იომეს და ფარაონი ალყიდან გაანთავისუფლეს, ზოგიერთი წყაროს თქმით, სწორედ 5000 -იანმა კოლხურმა არმიამ ვინმე სავდაკის (საიკას) მეთაურობით უკუაგდო ხეთები და სასიკვდილოდ დაჭრა მათი მეფე მუვათარი. დაახლოებით ძვ. წ. 1200 წ. 25000 კოლხმა დაამარცხა 20000 ხეთი და აიღო მათი დედაქალაქი ხათუსა. კოლხას ძლიერებამ ზენიტს მიაღწია. იგი უტევს ასურეთსაც. ზოგადად, ჩემი აზრით დასამკვიდრებელია ახალი ფილოსოფიური ტერმინი-მეტაფიზიკურ-კოსმოლოგიური კატაკლიზმი. ისეთი კატასტროფა პერიოდულად ხდება და სამყაროსეულ კანონზომიერებათა გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს კიდეც. ატლანტიდის გაქრობა, პატიფიდას დაღუპვა, ჰიბერბორიას გაუჩინარება, მაიას გაქრობა, კიმირიელთა და სკვითთა მიერ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში კოლხას განადგურება, დიაოხის დაცემა. ძვ. წ. 1112 წ. ასურელი მეფის ტივლათფილესერის მიერ დიაოხის მეფის სიენის დამარცხება, ურარტუს დაცემა ძვ.წ. 590 წელს, მიდიის განადგურება და ა. შ. ჩემი აზრით კოლხა, დიაოხი და ურარტუ ერთგვარი კავკასიური ჰაგია ტრიადა გახლავთ, კერძოდ, კოლხა ქმნიდა ზეინტელექტუალურ მაგიურ კულტურას, დიაოხი სამხრეთ-დასავლეთიდან ხოლო ურარტუ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იცავდნენ, კოლხა კი ჩრდილოეთს ამაგრებდა, ორივეს ეხმარებოდა. როცა ურარტუმ ეს კავშირი დაარღვია, დიაოხი დაარბია თან არაერთხელ, ჰაგია ტრიადა შეიბილწა და მათ ერთმანეთთან ბრძოლა დაიწყეს. დიაოხი განადგურდა მიუხედავად მისი მეფეების ასიასა და უტუფურშის ბრძოლისა. კოლხამ და ურარტუმ იგი გაინაწილეს, შემდეგ ურარტუელებმა კოლხაზე თავდასხმა დაიწყეს. მაგ. სარდური II ძვ. წ. 744-742 წლებში აიღო კოლხების ერთ-ერთი სამეფო ქალაქი ილდამუშა (ვერენთეგრანის გმირობით, ნიუქალ მადესის და ბაპსუტრა აჟათჰაკის ისტორიები). თუმცა კოლხთა

არმიასთან ბრძოლას მოერიდა და უკან გაბრუნდა. შემდეგ მოხდა ერთ-ერთი მთავარი მეტაფიზიკურ-კოსმოლოგიური კატაკლიზმი - ოდესღაც აიეტის მონა ბარბაროსებმა კოლხას ძლიერება დასცეს. ზოგადად, შტაინერი ამბობდა „კოლხეთი მსოფლიოს სულია, ხოლო არგონავტთა მითი ასახავს კაცობრიობის გადასვლას მე-3 კულტურული პერიოდიდან IV კულტურულ ხანაზე, ხოლო ოდისევსის მითი ასახავს კაცობრიობის გადასვლას IV კულტურულ პერიოდიდან V კულტურულ ხანაზე.

არგონავტებმა ვერაფერი დააკლეს კოლხთა იმპერიას, მაგრამ ძვ.წ. VII საუკუნეში სკვითებმა გადათელეს ჩვენი სამშობლო. კოლხეთი სამეფო ძვ.წ. III საუკუნის I ნახევარში სკეპტუხიებად დაიშალა, რომელთაგანაც წარმოიშვნენ სხვადასხვა სამეფოები მაგ. პონტო. შემდგომ კოლხეთი და იბერია გაერთიანდნენ- რომის იმპერიის კავკასიაში საბოლოოდ შემოჭრამდე. იბერიის სამეფომ კოლხთაგან მნიშვნელოვანი გაკვეთილები მიიღო სოციოკულტურული თვალსაზრისით. კოლხეთმა კავკასია ზოგადსაკაცობრიო მზედ ხელახლა აღმოაბრწყინა.

## კოლხ-იბერ-ქალდეველთა რელიგია
## გრაალის თასი

ჩემი აზრით პირველი პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები -ფეტიშიზმი, ანიმიზმი, ტოტემიზმი, მაგია, კავკასიასა და მცირე აზიაში ჩამოყალიბდა. ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ძალიან საინტერესო რელიგიური ხედვა მაგალითად პირინეის იბერებში , კოლხებში და მცირე აზიელ ქალდეველებში გავრცელებული იყო „ელოჰიმის“ - ხარის კულტი. ეს ცხოველი მათ ღვთიურ არსებად მიაჩნდათ . თუმცა ამ ხალხთა რწმენას ახასიათებდა ერთგვარი მეტამორფოზა - ისინი ღმერთების შესახებ იდეოლოგიას ძალიან რთულად, მაგრამ მაინც ცვლიდნენ. კოლხებს ჰყავდათ წინასწარმეტყველები, რომელთა სახელები ისტორიამ არ შემოგვინახა. მათ მშვენივრად იცოდნენ პოლითეიზმის აღსასრულის გარდაუვალობის შესახებ. ამიტომ შეიქმნა კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ღვთაება -მითრა- კოლხურად მითრე - „ვისითაც არის“ , რომელიც ზოროასტრულ მხატვრულობაში კლავს ჩვენი წინაპრების ძველ ღვთაებას - ხარს - ბოროტების სიმბოლოს. მითრა შესაძლებელია წმინდა გიორგის წინასახედ მივიჩნიოთ, როგორც წმინდა გიორგი კლავს დრაკონს - წარმართული სიბრძნის განზოგადებულ (აბსტრაქციულ) სახეს, ასევე მითრა მის მიერ ხარის მოკვლით წინასწარმეტყველებს უკვე მისი მემკვიდრის - ჭეშმარიტი რელიგიის მიმდევრის მიერ თითქოს იმავე მისიის გაცილებით მძლავრ აღსრულებას.

მითრა და გიორგი ( გი-ორგე - კოლხურად - დარვე) ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ ღვთიურ რაინდზე წარმართული და ქრისტიანული წარმოდგენების შერწყმის უბადლო ნიმუშია. ზვიად გამსახურდია სწორედ შენიშნავს - ქართული სარწმუნოება ეს არის მებრძოლი მიქაელური ქრისტიანობა. ქართველებს წინ მიგვიძღვის უფლის გზაზე საბრძოლველად სამი უძლიერესი სუბსტანტი მარიამ ღვთისმშობელი (იგი ქალდეველი იყო), 1651წ. როდესაც რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი ჩავიდნენ იმერეთში, მათ ანახეს გელათში დაცული თმები ღვთისმშობლისა, რომელიც მან დაიგლიჯა ქრისტეს -

შვილის წამების ხილვისას. აღნიშნული წესი არ გვხვდება არსად, გარდა კავკასიისა, გარდა ლაზეთისა. წმინდა გიორგი, კირიონ კათალიკოსის თქმით (იგი კაბადოკიელი მესხი იყო, თუმცა მე ამ აზრს არ ვიზიარებ). ჩემი აზრით წმინდა გიორგი კაბადოკიელი იყო, რადგან ყველაზე მეტი გადმოცემა და ისტორია ამ წმინდანზე ლაზებში და არა მესხებში არის შენახული).

მიქაელ მთავარანგელოზი (ანგელოზთა მთავარი, ღვთისგან მისი მხედრობის არქისტრატეგოსად - მხედარმთავრად დანიშნული, მან დასცა დედამიწაზე ამპარტავნებას დამონებული ლუციფერი (სატანა - ებრაულად მტერი), რომლის გვირგვინის თვლებისგან დამზადდა გრაალის ქალდეური თასი. მარიამ ღვთისმშობელსაც კი ჰყავს მსგავსი კოლხური წინასახე: იდაია, დინდიმენე, სიპილენე, პესინუნტისი, ტოლიპიანე, კუბელე, რეა-კვიბელე, ლაზიანე, ფასიანე.

ივანე ჯავახიშვილის თქმით ღმერთი ქართველებს - გეორგიანებს (მიწათმოქმედებს და გიორგის მიმდევრებს) სწორედ მარიამ ღვთისმშოვლის, წმინდა გიორგისა და მიქაელ მთავარ ანგელოზის სახით წარმოედგენათ. გრაალის თასი გახლდათ კოლხურ -იბერიულ-ქალდეურ-პელაზგურ ეტრუსკული მოდგმის სულიერი ინიციაციის გზის ონტოლოგიური იმპლიციტურობად და ექსპლიციტურ სიბრძნედ გაერთიანებული ინტელიგიბილური უფორმო არსობრივი ბუნების ამსახველი ინტუიტური აზროვნების, სამყაროსეული წესრიგის ტელეპათიურად განხილვის მეთოდიკის, ზეგრძნობადი ინტუიტური შემეცნების იპოფატიკური სიმბოლოა, რომელიც ასახავს იბერიულ-კავკასიური მოდგმის მრავალათასწლოვან რასობრივ, რელიგიურ-ფილოსოფიურ და მენტალურ მისწრაფებებს. გადმოცემის თანახმად მაცხოვარმა მისივე სისხლი - წითელი ღვინო საიდუმლო სერობაზე ამ თასით შესვა, მისი ჯვარცმის შემდგომ ეს თასი მოციქულებს ჰქონდათ. ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდგომ იგი იოსებ არიმათიელმა და მარიამ მაგდალინელმა გადამალეს. ბევრი ამ თასს ბრიტანეთში, ზოგიერთი ინდოეთში და სხვაგანაც ეძებს. ჩემი ღრმა რწმენით გრაალის თასი დაუბრუნდა მითიურ შამბალას, სიბილას ინკების ენით - საქსაილამასა და ოლიენტაინიამბოს, ტენოშტიტლანს, ტიკალს, კუსკოს და ტეოტიჰუაკანს - კავკასიის წმინდა მიწას. გრაალი დაცულია კავკასიაში და მეტიც, აქ დაცულია ის ეზოთერიული სიბრძნის საფუძველი ფუტიური რწმენის, ატლანტიდური დოქტრინის ტექსტი, რომელიც ქრისტემ გადასცა საიდუმლო სერობისას მოწაფეებს.

არსებობს 7 წიგნი: 1)ეფუთი, 2)ტოპშა, 3)მარგალითი, 3)ტაბუ, 4)ოქროს საწმისი (კირიბი, კვიბრი), 6)ძინის სტანცები 7)ნებრაქის წიგნი.

გააერთიანეთ შვიდივე წიგნში მოცემული რწმენა, სიბრძნე და ცოდნა და იგრძნობთ იმ ძლიერი ქარის სურნელს, რომელმაც ეს თასი გადამალა თუ აღნიშნულ გასაოცარ სიბრძნეს დაეუფლებით - თქვენ იხილვთ გრაალს, რომელიც სამარადჟამოდ განგათავისუფლებთ რაციონალიზმის დილეგიდან და აგყრით მატერიალისტურ ბორკილებს. გრაალი - ეს სამყაროს წარსულის, აწმყოს და მომავლის შეცნობის კონტენპლაციური ხელოვნების მისტიური დასაბამია რომლის ოკულტურ სიღრმეთა წვდომა მხოლოდ დიადი კავკასიური ტოპოსისგან შობილ ქართულ ფილოსოფიასა, ქრისტეს მოძღვრებასა და ეზოთერიზმში განსწავლულ არაამქვეყნიური რეალიების

მიხედვით მოაზროვნე გენიალურ ადამიანებს მალუძთ. გრაალი ეს კაცობრიობის ქროსტესმიერი სიკეთის სხივით განწმენდის პროცესის მამოძრავებელ ოკულტური ენერგიის მისტერიული გენერატორია, რომლის მუშაობის მექანიზმის არსი მხოლოდ უკიდეგანოდ ბრძენმა და უსასრულოდ კეთილმა მაცხოვარმა იცის.

## რა არის ქართული ფილოსოფია

ზოგადად, რა არის ფილოსოფია? თუ არა სამყაროში მოძრავ თეოგენიურ საწყისებზე მეტაფიზიკური ზემოქმედების გზით თეოსოფიური საზრისების კოსმოლოგიური პოსტულატების და ეზოთერული იდეალების ჩამოყალიბების თვითრეფერირებადი - აუტოპოეტური ხელოვნება. აბსოლიტურადვეთანხმები ჰეგელს კანტს, ჰაიდეგერსა და ვიტგენშტენს - ფილოსოფია განზოგადებულად შეუძლებელია გახლდეთ უტილიტარული პრაქტ. დანიშნულების მეცნიერება, მაგრამ სამართლის გონის შემსწავლელი ფილოსოფია ნამდვილად არის პრაქტიკული დანიშნულების, რადგან ადამიანთა ცხოვრების უტილიტარულ პერიპეტიებს განიხილავს მონისტურ ასპექტში და ათავსებს ფილოსოფიურ პრიზმაში, შესაბამისად იგი პრაქტიკულ როლს ასრულებს აბსტრაქტული ფილოსოფიისგან განსხვავებით. ფილოსოფია ძიებაა სიმართლისა, რომელსაც ადამიანური გონება ვერსდროს მიაგნებს. ჯონს ადამსის თქმით „ფილოსოფია არის არსაიდან მომავალი და არსით მიმავალი გზების გადაკვეთაზე არსებული დაუსახელებელი პუნქტი“. მე აზრს არ ვიზიარებ, რადგან ჩემი ხედვით, ფილოსოფია გვასწავლის სწორად აზროვნებას, სწორად ცხოვრებას, გარშემო განვითარებულ მოვლენათა ინდივიდუალისტურ აღქმას. როგორც ანსელმ ფოიერბახი იტყოდა „ჭეშმარიტება ჩვენს სამყაროში სახლობს“. ჩემი აზრით, აღიქვი ობიექტივისტური მოცემულობა სუბიექტურად და განიხილე სუბიექტური რწმენა ობიექტურად. მაშინ ჩვენ არა შეშმარიტებას, არამედ ჭეშმარიტების ძიების სწორ გზას მივაგნებთ. ჭეშმარიტება ჩემი აზრით გახლავთ მეტაფიზიკური უნივერსუმის ფილოსოფიური სუბსტანციის და ეზოთერული იდეალის კორელაცია, თუმცა ეს ჩემი ხედვაა, რომელიც შეიძლება 10000-დან 200 კაცმაც არ გაიზიაროს, ამოტომაცაა ჭეშმარიტება ამოუხსნელი რებუსი, დაულაშქრავი მწვერვალი და მოუნადირებელი „მობიდიკი“. ფილოსოფია გახლავთ მეტაფიზიკის, ეზოთერიკის და ლოგიკის (არგუმენტის სტრუქტურის შემსწავლელი ქვედარგი). კუმულატიური განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული ოქროს შუალედი მეცნიერებასა და მოძღვრებას ან უფრო პირად სუბიქტურ რწმენას შორის. ჩემი აზრით, ფილოსოფიის ამოცანათა ნაწილის და გამოწვევათა გარკვეული ოდენობის დაზლევა სრულიად ახალ ეპოქალურ მენტალურ ალიენაციურ გარდატეხათა ტელეოლოგიურ ციკლს გამოიწვევს კაცობიობრის მეხსიერებაში.

ქართული ფილოსოფიის კორიფეები - მითრიდატე ლაზი, პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვები ესწრაფვოდნენ სიბრძნეს ისე, როგორც უდაბნოში მრავალი წლის განმავლობაში მოხატიალე, სამშობლოდან განდევნილი სამხრეთელი მშობლიურ მიწაზე მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადულს. შუა საუკუნეების ფილოსოფიაზე (ქართულზე) მოკლედ აღვნიშნავთ, რომ იგი იბრძოდა „გესტა დეი“ - ღვთის ნების,

როგორც „ჰომოლუსიონ, ჰომილიატის“ ერთარსის ბუნების გამოვლინებათა კოსმიური ციკლის თეოსტრატიული მოვლენების ენიგმატური არსის შესაცნობად. ქართულმა ფილოსოფიამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რამდენიმე ათასი მეტრით წინ წასწია კაცობრიობა ჭეშმარიტების დაულაშქრავი მწვერვალისკენ მიმავალ ეკალ-ბარდებით ფენილ გზაზე. მაგ: XX საუკუნეში პატარა ქართველმა ერმა მსოფლიოს აჩუქა უდიდესი მოაზროვნე შალვა ნუცუბიძე, ადამიანი, რომელმაც აზროვნების გიგანტის იმანუელ კანტის მიერ შქმნილი ეპისტემოლოგიური შემეცნებისა და გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის მიერ შექმნილი გონების ფენომენოლოგიის თეორია სინათლის სიჩქარით განავითარა თავისი ევოლუციური სისტემით ე.წ. „ალეთოლოგიური რეალიზმით“ - ახალი ფილოსოფიური მიმღვრებით, რომელმაც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გასდო ხიდი, რომელიც არ დაინგრევა კაცობრიობის აღსრულებამდე. ქართველმა ფილოსოფოსმა შალვა ნუცუბიძემ დაწერა ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, რომელშიც გადმოცემულია არა მხოლოდ ქართული, არამედ ყველა ძირძველი კავკასიელი ხალხის მრავალათასწლოვანი მისწრაფება ალტრუისტული მართლწესრიგის დასამყარებლად და განსამტკიცებლად. ნუცუბიძემ კავკასიური ტოპოსისგან შობილი ნამდვილი განმანათლებლური მოძრაობა - ქართველური ფილოსოფია მსოფლიო გონის მატერიალისტური შხამისგან დაბინდვის საწინააღმდეგო ერთგვარ ანტიდოტად დასახა. პირადად ჩემი აზრით, ქართული ფილოსოფიური სკოლა გახლავთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძალა, რომელშიც შეიძლება ითქვას ერთ-ერთმა პირველმა გადადგა ნაბიჯი, თან ძალიან პროგრესული, უფლის რაობის და ღვთიური წესრიგის არსის შესაცნობად.

## ქართული ლიტერატურა

არ ძალმიძს დავიჯერო კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ლიტერატურის არასებობა. უბრალოს, ჩემი აზრით, აღნიშნულმა წერილობითმა ძეგლებმა, ასე ვთქვათ, ნარატიულმა წყაროებმა ჩვენამდე ბარბაროს მტერთა გამანადგურებელი შემოსევებისა და რეგრესული ქრისტიანული ფანატიზმის გამო, ჩვენს დრომდე ვერ მოაღწია. შეუძლებელიააიეტის, ანმარეს, სავლაკის, მენესტისის, ფარსმანის, ამაზასპის ქვეყანას ლიტერატურა არ ჰქონოდა. თუმცა ჟამთა სვლის და ბედის ბორბლის უკუღმა ტრიალის გამო აღნიშნული ძეგლები სამაგალითოდ განადგურდა. სამაგიეროდ V საუკუნიდან დიადი ქართული მწერლის არა მხოლოდ ქართული, არამედ ზოგადად, ქრისტიანული ჰაგიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენლის - იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებით“ იწყება ქართველური მხატვრული სულის ერთგვარი რეინკარნიზება. ზემოთაღნიშნული ნაწარმოები ქრისტიანულ ზნეობრივ იდეათა ზოროასტრიული შემოტევებისგან დასაცავად შეიქმნა. იოანე საბანისძის „აბო თბილელის ცხოვრება“ ასახავს არაბი ყმაწვილის - ქრისტიანული სულიერების შეცნობის გამო თანამემამულეთაგან მოკვეთისა და წამებით მოკვლის გასაოცარ, სულისშემძვრელ ეპოპეას.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლი ხანძთელის ცხოვრება“ ასახავს სუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის უდიდესი მოღვაწის - გრიგოლ ხანძთელის სულიერ

კრედოსა და მის საგმირო საქმეებს მურვან ყრუსაგან თავარქმნილი ტაო-კლარჯეთის ქართველური სულიერების ამაღორძინებელ-კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრთა ერთობლიობად გარდასაქმნელად.

შოთა რუსთაველის გენიალური პოემა ;ვეფხისტყაოსანი“ დასავლურ-ქართულ-შუმერულ-ქალდეურ, აღმოსავლურ-ქართულ კარდიხუაშერ და სამხრეთ-ქართულ-თუბალ-კაენის, თობალ-მოსოხის, თოგარმა-მეშეხის მოდგმის ხალხთა მიერ დაგროვილი უზარმაზარი სულიერი სიბრძნის გამომხატველი, პოეტურ ენაზე დაწერილი მხატვრულ-ესტეტიკურ ფენომენს წარმოადგენს. ეს პოემა ქადაგებს ჭეშმარიტ სიყვარულს, მეგობრობას, ერთულებას, დიდსულოვნებას, სიმამაცეს და ხალხთა შორის ძმობას. ტარიელი - კოლხეთის სულია, ავთანდილი - იბერიის გონია, ნურადინ-ფრიდონი - ქალდეის მადლია, „ვეფხის ტყავი“ ამქვეყნიური სამყაროა, შინაგანი ხედვა ვეფხისა - ბრძენი კაცისა სამყაროს მმართველ გონისმიერ ძალასთან ჰარმონიული თანაარსებობის სასიცოცხლო აუცილებლობის მქადაგებელი იდეური მრწამსია.

შოთა რუსთაველის ლაზურ-მესხურ-მარგალონური სიბრძნის გავლენა ნანიცადა შექსპირმა, სენტბერგმა, მორისმა, ფროსტმა, რობინსონმა, ელიოტმა, ბოდლერმა, პეტრარკამ, რემომ, ალიგიერმა, ბოკაჩომ, გოეთემ, პუშკინმა და ა.შ. ზემოთაღნიშნული ჰაგიოგრაფიული ძეგლებით „ვეფხისტყაოსანი“ უფრო ინდივიდუალურ ქურაში პერსონაჟთა სახით წარმოდგენილი ზოგადსაკაცობრიო ტკივილითწვისა და დაგვის ესთეტიკურად გაშლილ პოეტურ ენაზე გადმოცემის უბადლო ნიმუშია, განსაცვიფრებელი გახლდათ უდიდესი ბიზანტიელი (ჭანი) პოეტი გიორგი პისიდიელი. ქართველური ფილოსოფიის, თეოლოგიისა და მსოფლხედვის დეტალური ცოდნა ჩანს ისტორიაში ყველაზე დიდ ეპიკურ პოემაში, რომელიც დაქტილური ჰეგზამეტრითაა დაწერილი და რომელშიც ასახულია დიონისეს ლაშქრობა აღმოსავლეთში ვენახის გასაშენებლად თექვსმეტმარცვლიანი ოქროს კვეთითაა დაწერილი „ვეფხისტყაოსანიც“. ეს ფაქტი ამ ნაწარმოებში 16000 წლოვანი ქსენი-ზანას, დალის კლანის სულიერი ხედვის ასახვაზე მიანიშნებს.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა საკუთარ ნაწარმოებში საუკეთესოდ ასახავენ ქართველურ სულიერებას. ქართველი ხალხი უფასებს სამსახურს - პირველს „ერის უგვირგვინო მეფეს“ არქმევენ, მეორეს - „მგოსანს“, მესამეს - „ბუნების მესაიდუმლეს“, ვაჟამ თავის პოემაში „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „ხოგაის მინდია“, „გველისმჭამელი“ - ასახა ქართველური კრედო ამქვეყნიური და ზეციური ცხოვრების შესახებ. მაგ: უკანასკნელი პოემა პირდაპირ ეხება ატლანტურ-კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ სიბრძნეს, რომელსაც ოჯახს - მატერიალიზმს მიჯაჭვული მინდია ვეღარ იცავს და იღუპება. ეს თქმულება მინიმუმ 1500 წელია არსებობს, დიდი ეჭვი მაქვს ამ მითმა დიდი ზეგავლენა იქონია იოჰან ვოლფგან გოეთეზე, როდესაც „დოქტორ ფაუსტს“ წერდა. დოქტორი ფაუსტი - ქალდეველი მინდია - გერმანელ დოქტორად გარდასახული, რომელიც სიბრძნემ დაღუპა, შეიწირა. ფაუსტისა და მეფისტოფელის ურთიერთობა გვაგონებს კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ კულტურისა და ლუციფერის მოძღვრების იდუმალ ურთიერთბრძოლას, რომელსიც ქალდეველი-კოლხი-იბერი ბრძენი თვითშეწირვის გზით იმარჯვებს ბოროტებაზე. მინდიამაც გაიმარჯვა

ეშმაკზე - თავისი აღსასრულით ფაუსტმაც სძლია ეზოთერული კუთხით მეფისტოფელის სახით წარმოდგენილ ბოროტებას მისი სიკვდილით. ასე რომ, ყოველნო კავკასიელნო ვალტურგის ღამე დგება და ლაიფციგში აუერბახის სარდაფში ჩამალული კოსმოპოლიტიზმის ბაცილას სამარადჟამოდ მოსასპობად ბრძოლის ახალი ეპოქა იწყება. ქართველი ჰაგიოგრაფები, ილია, აკაკი, ვაჟა მარტოობის ორდენის კავალრად სახელდებული პოეზიის მეფე გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე ამ ბრძოლაში წინახაზზე იდგნენ და დგანან კიდეც.

## I ნაწილის ბოლოთქმა

მე, 18 წლის დამწყებმა მკვლევარებმა ვცადე და თავად განსაჯეთ ჩემი წარმატება, საქართველოს კოსმიური მისიის გადმოცემა, ფილოსოფიის, თეოლოგიის ეზოთერიკის არსის გარკვევა, კოლხეთის, იბერიისა და ქალდეის, ასევე დიაოხის, იგივე დაიაენის ისტორიისა დაკოსმოგონიის პერიპეტიათა განხილვა. ზოგადად, მოკლედ განგიმარტავთ ჩემი ხედვითგადაშენებულ ხალთა ოთხ ჰაგია ტრიადას; I) 1. პელაზგები, 2. ეტრუსკები, 3. სამნიტები, II) 1.ლელეგები, 2.ლესტრიგონები, 3.სიკანიელები III) 1. ლილუბეედები, 2. ხურიტები, 3. ალაროდიელები IV) 1. კარმელანები, 2. ოგერტები, 3. ზიდრიტები.

ასევე ცოცხალ ხალხთა 7 ჰაგია ტრიადა: I) 1. ლაზები, 2. მეგრელები, 3. სვანები II) 1. ბერბერები, 2. ხალიბები, 3. გურჯები, III) 1. ბასკები, 2. ანდალუსიელები, 3. გადისიელები IV) 1. კორსიკელები, 2. სარდინიელები, 3. სიცილიელები V) 1. აინები, 2. გუჯარები 3. კხანერები VI) 1.დოგონები, 2. ჰობი, 3. კონტრები VII) 1.ოჯიჰვე-კავკასიური მეზოგემიური მატრიდინეარული ხაზით განვითარებადი ტომი 2. ბოდივიელები 3. პერუელები. მაჩუ-პიკჩუ კოლხურად იშიფრება როგორც მარალი სოფელი მართლაც მაღლა 2702 მეტრზეა ეს ქალაქი ცოტა ძნელი დასაჯერებელია არა?! მართლაც რთულია 18 წლის ახალგაზრდას ენდო, მაშინ დავიწყოთ! ირლანდიური წარმოშობის ფილადელფიელი მეცნიერი - იგნატიოს დონელი მაიას ლიტერატურის (ქრისტიანთა მიერ მათ ერეტიკულად გამოცხადებასა და განადგურებამდე) ერთადერთი ევროპული შემსწავლელისა და პირველი ევროპული მისიონის წინამძღოლის - დუგო დელანდას (1524-1576წ) ჩანაწერებზე დაყრდნობით იგი აცხადებს „მაია არის ატლანტიდიდან მოსული ტომის კოლხუას კულტურული მემკვიდრე“. ალტაბარი აღნიშნავს „ქართველები დიდი ხალხია, ღირსეული მტრები, რომელთან ბრძოლით ჭკვიანი ამაყობს და მათგან ბევრ საინტერესო გაკვეთილს იღებს“.

ქართულ ტოლერანტობას ხაზს უსვამს ალ-ფრეკი. „დავით მეფის დედაქალაქ თბილისში მუსლიმებს ეპყრობიან ისეთ პატივით, რაც მათ მაჰმადიანურ ქვეყნებშიც არ ღირსებიათ“. ალ-კალკაშკანდი წერს: „ილხანთან მონღოლური არმიის ძირითად ბირთვს ქართველები წარმოადგენდნენ, მონღოლები ომებში სწორედ იმ მამაც თავზეხელაღებულ ხალხს ეყრდნობიან“. ზუქარ-ჰაჩირი თემურ ლენგის სიტყვას გადმოგვცემს: „დიდი ისქანდერის რაშიც ფეხს დაიმტვრევდა გურჯისტანის მიწაზე“. იბრაჰიმ ფეჩევი წერს:

„ოსმალთა იმპერია აღმოსავლეთი პროვინციები ირანელთა შემოსევებისგან ქართველთა სიმამაცემ და დიდი მოურავის მიერ ირანის 70000 არმიის განადგურებამ იხსნა. ახსტრახანის გენერალ-გუბერნატორი არტემ ვოლინსკი წერს: „ მთელ ირანში საუკეთესო მხედრობად ქართველლნი მიმაჩნია, ისინი ლამაზნი, მამაცნი და ღირსეულნი არიან, შაჰებს თურქებთან, უზბეკებთან და მოგოლებთან ომები მათი წყალობით აქვთ მოგებული". თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი მუსტაფა ქემალ ათა თურქი - თურქების მამა ამბობდა: „ჩვენს ქვეყანას ალაჰის და ლაზი ოფიცრების იმედი აქვს". ლაზები, ხალიბები და სხვა ქართველები დღემდე ირანის და თურქეთის სამხედრო პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ძლიერების თითქოს უშრეტი წყაროს უპირველეს სათავეს წარმოადგენენ. მსოფლიო ისტორია ძაფის გორგალს ჰგავს, რომლის ღერძი ქართველოური მოდგმაა, რომელთან მონოლითურადაა გაერთიანებული სხვა კულტურები, რასები და ხალხები. ჩემი აზრით, საქართველოს ჭეშმარიტი ისტორია თავიდანაა დასაწერი. ამ მისიის აღსრულება კი კაცობრიობის ფიქრთა მდინარებას კალაპოტს შეუცვლის და კავკასიური ალტრუიზმის ოქროს ტბისკენ მიმართავს ამ საქმის განსრულებით მსოფლიო ისტორიის ბევრ ბნელ ლაბირინთში შეაღწევს ცოდნის სხივი. ქართველურ პოლიტიკურ ერთეულთა ისტორიის შესწავლა გაგვიკვალავს გზას კაცობრიობის გენეზისის საიდუმლოებათა ოკულტური სიღრმეების წვდომის დაუფლებისკენ. ჩვენ მონობა არ გვჩვევია და არც შეგვიძლია, ჩვენ თავისუფლებად ვიბადებით და თავისუფლებად კვდებით.

ქართველ ერს დროებით იპყრობდნენ, მაგრამ ვერასდროს იმორჩილებდნენ, ამიტომ გვიწოდებდნენ დამპყრობელები „გიურჯებს"-მგლებს. ქართველი ერი არასდროს ყოფილა მონა არც იქნება, მეტიც - ჩვენ დავასრულებთ იმპერიალიზმის დიქტატს და მსოფლიოს სამსვიდობო სივრცედ გარდავქმნით, სივრცედ, რომელიც ახალ ეპოქას დაუდებს სათავეს.

## საბარასაჰარ დურაშაჰარ სამარას

ჭეშმარიტების ძიება გახლავთ მეტაფიზიკურ სინამდვილეთა ცვალებადობის კოსმიური ციკლის მმართველი ისტორიულ-ფილოსოფიური კანონზომიერების ენიგმატური არსის გნოსტიკურ-სოფისტური ბუნების შესაცნობად დაუოკებელი სწრაფვის პრაქტიკულად ხორცშესასხმელად დაუღალავი ბრძოლის უბადლო ნიმუში. ჭეშმარიტებისკენ მიმავალი სწორი გზის გაკვალვა მხოლოდ ამქვეყნიურ ამაოებასთან დაპირისპირებულ ბრძენ ადამიანებს ძალუძთ. ბოროტების მსახურებით აღნიშნული სიბრძნისმიერი მოცემულობის შეცნობა ისეთივე ირეალურ ამოცანას ჰგავს, როგორც ოკეანეში ჩავარდნილი ნემსის ძებნა. ჭეშმარიტება სიმარტივესა, სინატიფესა და სიკეთეში აირეკლება. რა არის ჭესმარიტება - თვითმყოფადი აზრისმიერი ბაზისი თუ სამყაროსეულ იდეათა სისტემატიზატორი - ჩემი აზრით ორივე ერთად ამ ცნობიერ ფენომენში სხვადასხვა შეხედულებათა შერწყმის გზით უაღრესად თვითმყოფადი აზრობრივი მდინარება ყალიბდება, რომელიც მადლისა და გონის ფილოგენესტრაქტური კომბინირების წყალობით განსაზღვრავს სამყაროს განვითარების გეზს. როგორ იშიფრება

„ჭეშმარიტება“ პროტოქართველურად - „ჭეშმარიტ ეზე“ - ზევიდან მოვლენილ კაცთა და ქალთა ერთობა“. ასევე ცნობილი ფაქტი გახლავთ შუმერულ ქალღმერთ მარისა და ღვთისმშობლის სვანური დასახელების - ლამარიას გენეტიკური კავშირი. „გონებას სქესი არა აქვს“ -გვმოძღვრავდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი - გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი. შესაძლებელია თუ არა ჭეშმარიტების შესაცნობად ბრძოლის სწორად წარმართვა გონების ძალით? - ჩემი აზრით არა, რადგან ადამიანური გონება ადამისა და ევას მიერ ხე ცნობადისას ნაყოფის დაგემოვნებით ღვთიურ მადლს განეშორა, შესაბამისად მატერიალისტურ-დეციზიონისტურ-პრაგმატისტულ მორევში ჩაინთქა. რა არის გონება - ჩემი აზრით, გონი სამყაროში მიმდინარე პროცესთა აღმქმელი, სიკეთისა და ბოროტების ურთიერთბრძოლის არბიტრი არა სუბსტანციაა, არამედ სუსტანტი, რადგან მას ჩემი აზრით აქვს სულიც-ფიქრი, სამშვინველიც-მადლი და სხეულიც - აზრი. თუ ჩვენ ერთმანეთს შევუხამებთ გონსა და მადლს-ზესულიერ სხეულს-განსაცვიბრებელ ალტრიუსტულ აბსოლუტს მივიღებთ. გონება გვეხმარება ცოდნის მიღებაში, სიბრძნის გაგებაში და რწმენის აღქმაში, თუმცა არა უფლისმიერი მადლმოსილების, როგორც კოსმიური ენერგიის მართვის კონტენპლაციური (წინასწარხედვითი) ხელოვნების ეზოთერული არსის კომპლექსურ შეცნობაში. ჭეშმარიტების ძიების სამარადჟამო პროცესის წარსამართად საჭიროა ცოდნის, სიბრძნის და რწმენის სისტემატიზირება, რაც მთავარია, რაციონალისტური აზრობრივი შხამისგან მსოფლიო გონის განთავისუფლება. კაცობრიობის მომავალი ალტრუიზმია, ხოლო რაციონალიზმი ვერცერთი დროის ეპოქალურ მოთხოვნებს ვერ მოერგო. ის არ იყო არც წარსული , არც აწმყო გახლავთ და არც მომავალი იქნება. „ჭეშმარიტება სამყაროში სახლობს“- აცხადებდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი. შეისწავლე ცოდნა (ეპისტემოლოგია) განიხილე სულიერი სიბრძნე უტილიტარულ (პრაქტიკულ) სიბრტყეში, ამოიცანი, ამოხსენი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ფორმულები და ლინგვისტური რებუსები (დიალექტიკა) - მაშინ შენ არა ობიექტურად ან სუბიექტურად, არამედ ალტრუისტულად მოაზროვნე ადამიანი გახდები. ცოდნა გახლავთ ერთგვარი ანამორფული ილუზია, თითქოს რაღაც იცი და გესმის, მაგრამ სინამდვილეში ვერ ითავისებ და ზოგჯერ ასე დამარცხებული სამყაროსთან მიდიხარ სამარეში ცოდნა ცოდნის ილუზიაა, სიბრძნე ალუზიური მოვლენაა - „აცნობიერებ იმ ფაქტს, რომ არაფერი არ იცი“ - ეს უკვრ პროგრესია, ფილოსოფიურ სამყაროში ზემოაღნიშნულ ფენომენს არცოდნის პარადოქსი ჰქვია. რწმენა - ზესულიერი შეხედულებებით სისტემაა, რომელიც გვეხმარება შემდგომ გარემოებათა გაცნობიერებაში; რატომ არ იცი? რატომ უნდა იცოდე? რატომ არ უნდა იცოდე? როგორ უნდა იცოდე? ალტრუიზმი გახლავთ თეოგენიური ძალმოსილება, რომელიც ღვთის ზეციური საუფლოს საამო ჰაერის სასიამოვნო სურნელს შეგვაგრძნობინებს. ზოგადად როგორ ყალიბდება სულიერება? - ზემოაღნიშნული ფენომენი იქმნება ჭეშმარიტებისკენ მიმავალი დაუსრულებელი გზისას ბოროტების ელამორფულ დაბრკოლებათა გადალახვისას და უფლის მიერ ჩვენი სულიერი სიმტკიცის შესამოწმებლად მოვლენილ განსაცდელთა დაძლევისას. „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, თუნდაც უშედეგოსა და დაუსრულებელს“-ფლვიუსი. მსგავსი ჭეშმარიტების შესაცნობად საბრძოლველად პირველი ნაბიჯი დიადმა ატლანტთა მოდგმამ გადადგა ატიალანტის“ – „სიბრზნის

მაძიებელთა ქვეყანა“, რომელიც მეტაფიზიკურ - კოსმოლოგიური კატაკლიზმის შედეგად გაქრა, მაგრამ შემდგომ აღსდგა კავკასიური (ევროპეიდული) ცივილიზაციის სახით და დაივანა თანამედროვე ევრაზიის (კერძოდ, კავკასიის) ტერიტორიაზე. ჭეშმარიტების შესაცნობად ბოროტებასთან გარდამავალი უპირატესობით ბრძოლის ასტრავეტრული (ზესულიერი) ფორმულა ქართველურ დამწერლობაში გვხვდება. ალეკო ცინცაძის, რაულ გვენეტაძის და მიხეილ ქვლივიშვილის კვლევებით ქართული ანბანი შექმნილია ძვ.წ. 13118წელს-1514 წლის წინათ (მე ამ მისაზრებას არ ვეთანხმები, ჩემი აზრით, ქართული ანბანი შეიქმნა მერწყულის წარღვნამდე - 23214 წელს ძვ.წ. 2 ათას 200 წლის წინათ ანუ 25200 წლის წინ . მე არ ვეთანხმები მოსაზრებას ივერიული დამწერლობის არიული რუნებიდან წარმოშობის და მის მოდიფიცირებულ (რუნებს ვგულისხმობ) ვარიანტად განხილვის შესახებ.

ჩემი აზრით ივერიული დამწერლობა შეიქმნა ატლანტიდაში, არიული რუნები იღებს ამ ალფაბეტისგან სათავეს და მისი მოდიფიცირებული ვარიანტია. ქართულ სამეცნიერო წრეებში გამოთქმულია არცთუ დაუსაბუთებელი ვერსია - ივერიული დამწერლობის განვითარების პროცესში ნოეს შვილისშვილის - თარგამოსისა და შვილთაშვილის - ქართლოსის დიდი როლის შესახებ - ზოგადად საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში კვლევა მიმდინარეობს არა ობიექტური C14 ყალბი ნახშირბადოვანი და არა მათემატიკურ-ქიმიურ-ფილოსოფიური თერმოლუმინოსენციის მეთოდით C14 ყალბი ნახშირბადოვანი მეთოდით ტურინული ნარმა დათარიღდა 691 წლით, რაც დროის 2/3-ის მოპარვას ნიშნავს (ნარმა მიცვალებულტა სუდარაა - ქსოვილია, რომელიც გავრცელებული იყო ქართველურ სამყაროში, ნიშანდობლივია ქრისტეს ასეთი ქსოვილით დაკრძალვაც) ე.წ. ბირთვული კატასტროფა მოხდა 12400 და არა 2880 წლის წინ - 9600 წელს აკლებენ.

გრაკლიანის ცნობილი წარწერა შესაძლოა ასახავდეს ამ მოვლენებს, იგი უნდა დავათარიღოთ 12500 წელზე რამდენიმე ათასი წლით მეტი ხნით, ისევე როგორც გიზას პირამიდები უნდა დატარიღდეს 10465 და არა 3300 წლით. კავკასიური რასის გენეტიკური კოდია **RIBUDNA.** აღსანიშნავია ერთი ფაქტი: გენეტიკური კვლევით დადგინდა ნოეს კავკასიურობა - მისი გენეტიკური კოდი **RIBUDNA343.** კავკასიური გენეზისი აქვს სახელებს დედა ქაღმერთ ნოდის, იეშუას და იესოს სამარე მეცნიერთა კვლევებით ასე ისიფრება - სამი არე I ცოდნის წყურვილი, II სიბრძნის მიღების სურვილი, III რწმენის განმამტიცებელი ეზოთერული მისტერიის განსრულება ერთგვარი III ზარიერი. სამოთხე - მეოთხე არე (ნუ დაგვავიწყდება ლაზარეს - ლაზი ერის სამდღიანი - სამიათასწლოვანი ძილისგან - სიკვდილად შერაცხული ძილისგან ქრისტეს მიერ გამოღვიძება) – 4- ჰერმატრიულ ოკულტიზმში აღდგენის კოსმიური სტიქიის გამომხატველი ნუმეროლოგიური ელემენტია. ძველ კოლხებსა და იბერებს ღრმად სწამდათ სულიერი რეინკარნაციის (ჩემი აზრით ეს რწმენა ინდოელებმა და ჩინელებმა მათგან გადაიღეს). ლინგვისტურ ეზოთერიზმში, კერძოდ უძველეს კოლხურ-იბერიულ დამწერლობაში სულიერი რეინკარნაციის იეროგლიფი უკავსირდება სულისას, სულისას კი მმართველისას.

გიზას ეპოქალური კომპლექსი - სამი მთავარი - ყველაზე დიდი ხუფუს - ხეფრენის, ყველაზე ძველი - ჯოსერის, ყველაზე წარწეროვანი - მიკერინის პირამიდათა ჯგუფი

დათარითებულია არა არიული (როგორც ზოგიერთი მეცნიერი გაჰყვირის, PONI ატლანტიდაში შეიქმნა, საიდანაც არიელებმა გადაიღეს), არამედ ატლანტიდური ეპოქალური კოსმოგონიური თარიღით PONI-ით N30 ჩრდილოეთ განედზე აღმართული დიდი პირამიდების ზედა - ირიონისკენ მიმართული მინიატურული შახტით. N30=45$^0$=10465 წ. ძვ.წ. კომპლექსი მიძღვნილია ლომის ეპოქის წარღვნისადმი, ხოლო მისი DEADINE არის 10400 წელი.

პირამიდა, ჩემმი და არამარტო ჩემი ხედვით, სამკუთხედისა და წრის შემდგომ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეზოთერული განსაწმენდედია - სწორედ სამკუთხედის, წრისა და პირამიდის კომბინაცია ქმნის ყველაზე ძლიერ მისტიკურ პენტაგრამას. მაგ. ასევე ცნობილი ფაქტია და თან ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა დამადასტურებელი: ცივი იარაღი - დანა,ხმალი, შუბი პირამიდაში მკვეთრად ბასრი ხდება. ჩემი აზრით ეს გარემოება ერთი შეხედვით ჩვეულებრივ გეომეტრიულ ფიგურათა მიხედვით შექმნილ ხშირ შემთხვევებში, საოცრად სიმეტრიულ ნაგებობათა ოკულისტურ ძალმოსილებათა და ეგზოტერულ ენერგიათა ურთიერთშერწყმის, არც თუ იშვიათად კი ურთიერთბრძოლის არენად აღქმას გვაფიქრებინებს. 12400 წლის წინ ბირთვული შეთქმულების შედეგად (ბევრი კვლევა, მაგ. ბრაიან რაიმსის ადასტურებს ამ მოვლენის რეალობას) რომელსაც ერქვა ORION CONSPIRESI, 1,5 მეტრ სიმაღლის ასიმილირებულმა ევროპეიდულმა რასამ დაუნდობლად გაჟლიტა 2,5-3 მეტრი სიმაღლის არა არიული, არამედ ატლანტიდური წმინდა რასის წარმომადგენელნი. მთელი მსოფლიოს აბორიგენებს იყენებდნენ (ჩვენს წინაპართა გამოკლებით) ატლანტთა ატლანტისითვე იარაღით გასაჟლეტად, „ბოევიკები“ დიდი ალბათობებით დაეუფლენ ატლანტურ ენათა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელს - სანსკრიტს - **Старославский язык** და მასზე საუბრობდნენ. უძლიერესი სიმძლავრის ატლანტიდურ ბირთვულ ბომბებთან ერEად იყენებდნენ მცირე სიმძლავრის მხარზე გადასაკიდებელ ბირთვულ ქობინებს - heat of heil – ag **Жара.** ინდურ წყაროებში ამ იარაღს ეწოდება **Оружие брахмы - Брахмастрый –** „ბრაჰმას ვარსკვლავი“. სლავურ წყაროებში - **«Фашразрушитель»**

ატლანტური წარმოშობის სიტყვები - დემოკრატია - დემოსის, ხალხის მმართველობა, ბიუროკრატია - საკაბინეტო მმართველობა და არისტოკრატთა - არიელიზირებული ატლანტი ბრძანებლების - ტუზების მმართველობა. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი რეჟინალდ ფენსენდინი თავის წიგნში „კავკასიური ისთმოსი“ სენსაციურ დასკვნებს აქვეყნებს: 1) ძველი ეგვიპტის რელიგია მიმდინარეობა კოლხეთიდან და ფინიკიიდან 2) ძვ. ბერძნული რელიგიის ძირითადი ნაწილი მომდინარეობს იბერიიდან - აღმოსავლეთ ედემიდან, დამატებითი ნაწილი - ეგვიპტიდან 3)თამუზისა და ადონიძის - ადამიანი ეას (კოლხეას) ქვეყნიდან - თაყვანისცემა სირიაში კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებიდან მომდინარეობს. 4) ებრაელთა რელიგიის წყაროდ ცენტრალური ედემი - იბერია მიაჩნია 5)კრეტელთა რელიგიის წყაროდ იგივე ადგილი მიაჩნია 6) ბერძნული წყაროებით იდონი მდებარეობს კავკასიონის დასავლეთ და შუა კალთებზე 7) ჰესპერიდების ბაღი მდებარეობს ედემის აღმოსავლეთ ნაწილში - აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (ბატონი რეჟინალდ ფენსედინის მოსაზრებით გამეორება და განხილვა ჩვენს აზრთა დასასაბუთებლად შესაძლოა არაერთხელ მოგვიხდეს) ჩემი აზრით, კოლხეთი - ხორბლის,

ღვინის, ვაზის, ზეთისხილისა და ვაშლის სამშობლოა. კოლხებს მიეწერებათ (ბევრი მეცნიერის ვარაუდით) 5 დამსახურება: 1)კოლხეთი უძველეს8ი ევროპელების სამშობლოა 2)კოლხეთი ძაფის უძველესი სამშობლოა 34 ათასი წლის წინ 340 საუკუნის წინათ დასავლეთ საქართველოში დაიწნა პირველი ძაფი 3)კოლხეთი ღვინის უძველესი სამშობლოა, აღმოჩენილია 8 ათასი წლის წინანდელი ქვევრი ყურძნის წიპწებით 4) საქართველო ოქროს წარმოების უძველესი სამშობლოა 5) საქართველო თაფლის სამშობლოა, აღმოჩენილია ბორჯომში 5,5 ათასი წლის თაფლის ფიჭა, რომელიც 2 ათასი წლით უფრო ძველია ვიდრე ტუტანჰამონის სარკოფაგში აღმოჩენილი თაფლი იმ ტუტანჰამონის, რომელიც კავკასიური გენეტიკა აქვს, იგივე როგორც ევროპელთა 50-50 %-ს.

ახლა კი წარმოგიდგენიათ შუმერული და ქალდეური სიტყვების თანხვედრის თეიმურაზ მიბჩუანის მიერ გაჟღერებულ მაგალითებს: 1) ენლილე - მზის ღმერთი შუმერებში, ლილე - მზის ღმერთი სვანეთში. 2) ნიდაბა - ყანების ღმერთი დაბ ყანა, დი- მდედრობითი სქესის აღმნისვნელი ბოლოსართი 3) არაუ - დემონის განსადევნებელი უძველესი სვანური შელოცვის დასაწყისი 4)იშთარი - ერეშქიგალი - შუმერთა ქვესკნელის ქალღვტაება. სვანურში იშთხარ თხარა. 5)ნამთარი - ბედის მაუწყებელი. სვანურში ნაწინასწარმეტყველევი 6)ლაგაში - შუმერულად ქალაქი, „ფეხისდასადგამი სვანურად 7)აქადი - მაცდუნებელი. აქადი - აცდენს, მქადნე - მაცდუნებელი 8)დალი - ავდრისა და ჭექა-ქუხილის ქალღმერთი, სვანეთში ნადირობის ქალღმერთი 9) გათ - უმდუგი - შუმერთა ქალღმერთი, უნდუგი - ჩაუქრობელი, უკვდავი - სვანურად 10) უთუ - მზის ღმერთი, ათუ - ცხელი სვანურად 11) გორო - ღვინის საწყაო ერთეული ქართულსა და სვანეთში 12)ნანარი - შუმერთა ქალღმერთი, სოფელი ქვემო სვანეთში 13)უმა შუმერული ქალაქი, სვანურად მწირი 14)ური - შუმერული ქალაქი, უმწიფარი სვანურად 15) ცერი - ადგილის სახელწოდება. სოფელი ეცერი- სვანეთში 16) ზაგარ - ადგილის სახელწოდება, ზაგარ ზეგანი სვანურად 17) მელამ - მომაკვდინებელი გაელვება. სვანურად მხრჩოლავი კვამლი 18) ლუხალი - გილგამეშის მოძღვარი, ლუმხალ - შეგნებული მცოდნე სვანურად 19)ლახაშუ და ლახმუ - ადამი და ევა. სოფლები სვანეთში 20) ირმინი - შუმერულად ქალღმერთი, ირინი - ნათდება სვანურად. 21) ხურბაბა - ტყის მცველი. თხუმბაბა - თავკაცი სვანურად. 22) მაშგური - გაურკვეველი ჯიშის ხე შუმ. საყრდენი სვანურად 23) ბაბა - ღმერთი სვანურში - პაპა 24) ყიამეთი - თიამეთი - უსასრულო ოკეანე 25) ზულუმარ - ღმერთი. მზადმყოფი - სვანურში 26) მაგვენა - ტაძარი მაღვენა - ქონება სვანურში 27) მამი - შუმერული ქალღმერთი. მამი - სოფელი სვანეთში 28) მარი შუმერთა ქალღმერთი. ლამარია - ღვთისმსობელო სვანეთში 29) ლარიგ - ქალაქი შუმერსი. დასაყოვნებელი ადგილი - სვანურში 30) სუბართუ - ხურიტების ქვეყანა. აქედან მომდინარეობს გვარი - *სუბარი. გ. წერეთლის მიერ შესწავლილი შუმერულ - ქართულ ლექსიკურ ერთეულთა თანხვედრის ნიმუშები:*

*შუმერულად - წარღვან -მეორედ მოსვლა*

*შუმერ - აგარ - აგარაკი, ტრამალი, მინდორი*

*შუმერ - აკილ -კივილი*

*შუმერ - ბაბარ - ბრინვა*

*შუმერ - ბირ - ბლიალი, ცეცხლი ბრიალი*
*შუმერ - დიჰ - თიხა , ქვა*
*შუმერ - დუგ - დოქი*
*შუმერ შუმერ - დურგარ - დურგალი*
*შუმერ - დაგ - გასუფთავებული, წმინდა დღეშუმერ ემე, ნენა,ნინა - ენა*
*შუმერულად და ირლანდიურადაც - ერენ - თალხიშუმერ - გან - ყანა*
*შუმერ - ჰად - ღადარი, ნათება*
*შუმერ - ითუ - თვე*
*შუმერ - არე - არემარე*
*შუმერულად და სვანურად გურ, მეგრულად გორგოლ, ლაზურად - გორა, ბასკურად - გორა, ქართულადაც - გორა. ძალიან ღრმა ლექსიკური კავშირი იკვეთება, როგორც სემანტიკურ - ონომასტიკურ, ასევე პალატილურ - აგლუცინაციურ დონეზეც.*
*ენგური - შუმერულად - მტკნარი წყალი*
*შუმერულად უბე - უბერ - მკერდი*
*შუმერულად ლიკ - ლეკვი - ძაღლი*
*შუმერულად ქაჯი - ქართულად ქანი, სვანურად გიმ ქვან, მეგრულად ქიანა.*

შუმერული ანბანი უნდა აღმდგარიყო და აღსდგა კიდეც იმ ხაზობრივი ფორმულით, რომელიც შეინახეს კავკასიონის მთის საცავებმა და ანკარის სიძველეთა მუზეუმში დაცულმა ხეთების უძველესმა ფერადმა თიხამ - რომელსაც ინგლისელი მეცნიერი თომას მელარტი 6500-5600 წლებით ათარიღებს. მე ვემხრობი 5600 წლიან დათარიღებას. ზოღაზგოის (ზოღაზ - სვანურად ბრძენი - გოის კი - ბრძენი ვართ) არქივი - ხეთური, უფრო სწორად, არა ხეთური - ნესიტური, არამედ ხეთური პროტოკავკასიური ფირფიტები, ჩათალ ჰუიუქის კავკასიური დასახელება ვულფის თვალთახედვით - ძვ.წ VI-IV ათასწლეული და იერიქონის (ძვ.წ VIII ათასწლეული) ამ არქეოლოგიურ მტკიცებულებებს ვასახელებთ ხათურ, ჰუიურიული და ქანაანური კულტურების კავკასიური წარმოშობის დასაბუთებლად.

„იერიქონის" - იერი კოლხთა ბელადი იყო, ესეიგი „იერის სამფლობელო". „ჩათალ-აფიფქი - „ცოდნის ტაძარი" - კოლხურად. ოკულტური ლინგვისტიკა ადასტურებს ამ მოსაზრების სისწორეს. გავაერთიანოთ, ასე ვთქვათ, კუმულატიურად განვიხილოთ სემანტიკური ანტინომია, ონომასტიკური მისტიციზმიდა სემიოტიკური ეზოთერიზმის სემასიოლოგიურ-ონომასიოლოგიურ-პოლისემიური ელემენტების პარადიგმატული ასოციაციური და სინტაგმატური-დისტრუციული ურთიერთმიმართებები და ამ აზრის ობიექტურობაში დავრწმუნდებით საქართველოს კავკასიონის მთის საცავებმა სეინახეს სამყაროსეული ცივილიზაციის ის უდიდესი კულტურა, რომელიც მთლიანად დამარხა რელიგიამ მთელ აღმოსავლეთში. საქართველოში ნებსით თუ უნებლიეთ ქრისტიანობამ გაანადგურა, ხოლო ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში მაჰმადიანობამ მოსპო იგი. ქართულ ანბანში სამყაროსეული ცივილიზაციის არსებობა დასტურდება მზისა და მთვარის კალენდრით, რომელიც წელიწადის ოთხივე დროს წამებში ანგარისობს, რაც თანამედროვე კაცობიობისთვისაც კი წარმოუდგენელია. ქართული ასომთავრული ანბანი შედგენილია სამყაროსეული ცივილიზაციის ხაზობრივი ფორმულით, რაც ადამის

მოდგმის განათლების სათავეა. ზემოაღნიშნულ ანბანურ საიდუმლოებათა წვდომა სრულიად ახალ გზაზე დააყენებს კაცობრიობის ისტორიასა და აზროვნებას. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებას - შუმერის 445 ათასი წლის წინ შექმნის შესახებ, არ ვიზიარებ, ჩემი ხედვით შუმერი შეიქმნა ქრისტეშობამდე 7 ათასი წლის წინ - მეცნიერთა თქმით, შუმერებს ჰქონდათ მათემატიკური გამოთვლების უდიდესი უნარი და იცნობდნენ ფიბონაჩის რიცხვებს. შუმერული ფირფიტები შეიცავს ხელნაწერებს მზის სისტემის შექმნასა, განვითარებასა და წყობაზე. შუმერული სისტემა ოდნავ განსხვავდება თანამედროვესაგან, კერძოდ, ისინი მარსსა და იუპიტერს შორის ათავსებდნენ მე-12 პლანეტას „ნიბირუს", ნიბირუ, კოლხურად იშიფრება, როგორც ანი ბირუ - ცა მღერის, რაც გადამკვეთ პლანეტას ნიშნავს. ნიბირუ 3600 წელიწადში ერთხელ კვეთდა მზის სისტემას და უახლოვდებოდა დედამიწას. ჩემი აზრით, ეს შეხედულება შუმერთა აზროვნების არასწორი ინტერპრეტაციაა: „ნიბირუ" გახლავთ ატლანტიდა - დედამიწაზე, რაც შეეხება 3600 წლიან ციკლს 532 წლიან მოქცევებად ატლანტები ჰყოფდნენ 3600 წლიან კოსმიური სტიქიის ანუ სიბრძნისმიერი სრულყოფის პერიოდს, რომლის დროსაც ატლანტები ზეგრძნობად ინტუიციური შემეცნების გზით, სამყარო სრულ საიდუმლოებათა მისტიკურ სიღრმეთა წვდომას ახერხებდნენ. ნიბირუ მისტიფიცირებული ატლანტიდაა, ხოლო მისი აბორიგენი გონიერი არსებები - ანუნაკები, ანუნაკი კოლხურად იშიფრება, როგორც ცის ლაზიშვილი, არა უცხოპლანეტელები არამეელთაგან ნეფილიმებად სახელდებული ბოროტი სულები, არამედ ბრძენი ატლანტები არიან. რომელთაც რწმენის, სიბრძნის, ცოდნის გამაერთიანებელი ექსტრანსენსობრივად გარდასახული ტელეპათიური, ინტუიციური აზროვნების წყალობით ბევრი საიდუმლო ამოხსნეს, სიბრძნის ნაკადს *,3333ვეღარ გაუძლეს, თვითგანადგურების მექანიზმი აამოქმედეს (გავიხსენოთ კოსმიური თვითგანადგურებისა და ფენიქსისებური აღდგენის მეორე ეტის პირველი რუნა ჰაგალაზა-წმინდა იაზონა) შემდგომ კი კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ სამყაროს სახითკვლავ აღსდგნენ მკვდრეთით თანამედროვე სამყაროში შუმერული კოსმოგონიის მიხედვით ნიბირუ მარსსა და იუპიტერს შორის მდებარეობს. ჩემი აზრით, ეს ალეგორიაა. ნიბირუ ალტრუისტული ატლანტიდაა, ხოლო მარსი რაციონალიზმი, იუპიტერი კი მატერიალიზმი.

ნიბირუ იგივე ატლანტური ალტრუიზმი სწორედ ამ იდეოლოგიურ მრწამსებთან ბრძოლაში იწრთობა და იხანგრძლივებს სიცოცხლეს კავკასიურ რასობრივ მეხსიერების სახით, ატლანტთა სიბრძნის მიერ მდინარებას ქართველები (ლაზები, მეგრელები, სვანები, ქართები) ბასკები, კორსიკიელები, სარდინიელები, სიცილიელები, ირლანდიელები, შოტლანდიელები, უელსელები, ჰემფშინები, ხალიბები, კხამერები, კარმელუკები, აინები, გუჯარები, ვაინახები (დაღესტნელები), ჩეჩნები, ინგუშები, ჩერქეზები ანუ ისინი არიან ატლანტური სიბრძნის ეზოთერულ-ალოსტრუფული (იდუმალმეტყველი) ხაზის გამგრძელებლები. რაც შეეხება ანუნაკთა-ატლანტთა ანთროპოლოგიურ მონაცემებს - მამაკაცები 4-5 მეტრს აღწევდნენ, ქალები- 3-3,7 მეტრს. ნიშანდობლივია, რომ ძველი ეგვიპტის მმართველი ამენჰოტეპ IV- შემდგომში ეხნატონად - „ატონის მსახურად" წოდებული 4 ,ეტრი სიმაღლის იყო ლეგენდარული ნერერ ჰაარეტ

ტააგი - „დიდებული უცხოელი ქალბატონი“ - ნეფერტიტად სახელდებული 3,5 მეტრს აღწევდა.

ეხნატონის ქალაქში ახეტატონში აღმოჩენილია ორი უცნაური სარკოფაგი, ერთის თავზე - სიცოცხლის ყვავილი - ლოტოსია გამოსახული, მეორეში კი აღმოჩენილია 7 წლამდე ბავშვის ძვლები, რომლის სიმაღლე 2 მეტრს აღწევდა. ჩემი და, არა მარტო ჩემი აზრით, ქიმეთის (ეგვიპტის) მმართველები ნარმერიდან იგივე მენესიდან მოყოლებული კლეოპატრამდე, კოლხები იყვნენ. ეხნატონი, მისი მამა -ამენჰოტეპი, თათუ - ნეფერტიტი (ჩემი აზრით თოზალ მისოხის მთავრის ასული იყო) ტუტენჰამონი, თათუს ზიძა აია (ეიე - აია - კოლხეთის ძველი სახელი - ჰემატრიულ ნუმეროლოგიური ეზოთერიზმის ჩემეულ კონცეფციაში ეს სახელი შეიძლება მათემატიკურად გავშიფროთ ასე: ა ი ა  ე ი ე = 1+2+3=0 მისტიკური ციფრთა ნუმეროლოგიურ რესტრიქციას (შეზღუდვას)  გამოხატავს 7+9+7=23 ოკულტური რიცხვია, ასახავს 12 ქალდეური ტომის იანუსისებრ-ორსახოვან ბუნებას - 24, რატომ არის 23, ერთი ქალდეური ტომი - დანის ტომი, რომლისგანაც უნდა იშვას ანტიქრისტე განუდგა ატლანტურ ეპოქალურ კოსმოგონიურ იდეათა სისტემას და დასაღუპადაა განწირული (თუმცა მწამს ღვთის წყალობით გონს მოეგებიან) ამიტომაც აღარ ითვლებიან ისინი. (თმცა ეს ფაქტი გაცილებით ადრე იცოდნენ ატლანტმა ქურუმებმა - კონტენპლაციის - წინასწარხედვით წყალობით, ამიტომაც გვხვდება რიცხვი 23, რაც ახალ კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ მისტერიულ ცოდნათა დასაგროვებლად ბრძოლის გასაოცარი ეპოქის დაწყებას მიუთითებს. არ ვიზიარებ მირიან ქართველის მოსაზრებას ეგვიპტის იმპერიის ქართველი შუმერების მისრ შექმნის შესახებ, ჩემი ინტუიტიური რწმენით ეგვიპტელ ქურუმთა - იმჰოტეპის, ჰეპტეტის, სენენმუტის, მინმოსის ნააზრევისა და ეგვიპტური მისტიკური წიგნის - „მიცვალებულთა წიგნის“ - ამენჰმეტის შესწავლის შემდგომ ჩამომიყალიბდა აზრი ეგვიპტის იმპერიის  ფუტიურ-მენგურიული (ატლანტთა პარალელური და ლაზთა წინაპარ ტომთა სახელების წარმოშობის ლაზ ბრძენთა მიერ დაფუძნების შესახებ. შემთხვევითი არ გახლავთ არც აიეტისა და ეგვიპტის ფარაონის მოკავშირეობა (სხვათა შორის „ფარა ონი“ - კოლხურად მზის შვილს ნიშნავს), მართლაც ფარაონები თავს მზის ღმერთ „რას“ შვილებად მიიჩნევდნენ.

ძვ. წ. 1274 წელს ქადების ბრძოლაში კოლხთა მიერ ფარაონის ხეთთა ალყისაგან გამოხსნა და ა. შ. ჩემი აზრით ეს ფაქტები ადასტურებენ პროტოქართველთა და ეგვიპტელთა ღრმა სულიერ-გენეტიკურ კავშირს.

შუმერულ კოსმოგონიაში მთავარი ადგილი უჭირავს კოსმოსურ ომსა და კატასტროფას (ატლანდიტური ტრიმურტის-ლემურიის, ჰიპერბორეისა და პატიფიდას დაცემას), რომელმაც მთლიანად შეცვალა მზის სისტემის ფორმა. ეს საკითხი გაშუქებული აქვს არნო პიობელს, სიმერტს და მირიან ქართველს.

შუმერებს (მათი ნამდვილი სახელი ჩემი ხედვით და ზოგიერთი მეცნიერის თქმით არის სუმერი - სუმი ერი მეგრულ-ლაზური,  სვანები და ქართები) ჰქონდათ ნამდვილი მეცნიერული ცოდნა ქიმიის, კოსმოგონიის, ასტრონომიის (ჩემი ხედვით ლაზმა შუმერებმა შექმნეს ნატალური, სინასტრიული, ჰორარული, მუნდენური, ელექტიური, სამედიცინო და ეზოთერული ასტროლოგია, მათ დაუდეს სათავე ინდურ და ბაბილონურ

ასტროლოგიას) ასტროლოგიის, თანამედროვე მათემატიკისა და გენური ინჟინერიის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარის თქმით, ადამიანი შეიქმნა გენური ინჟინერიის შედეგად 300 000 წლის წინ, ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, რადგან მკვეთრად ანტიკრეაციონისტულია, ჩემი მოკრძალებული ხედვით, კაცობრიობა შექმნა სამყაროს მმართველმა უმაღლესმა მადლისმიერმა გონმა და არა რაღაც ბუნდოვანი წარსულის მქონე არარსებულმა ნეფილიმმა - უცხოპლანეტელმა. შუმერებო ფრანსუა ტიურო-დანაუერის თქმით ჰქონდათ თანამედროვე სასამართლო, სახელმწიფო და არჩევნების იდენტური მექანიზმი (მაგალითად ბიკამერალური 2პალატიანი უხუცესთა საბჭო) უხუცესნი ზედა პალატას, ხოლო ხალხი ქვედას წარმოადგენდა.

არსებობს ნიბირუზე ეკოლოგიური კატასტროფის თეორია, რომელიც მე ასე მესმის! ატლანტიდის თვითგანადგურების მექანიზმი ამოქმედდა, რაც კანონზომიერი იყო, თუმცა ატლანტთა ნაწილი არ დაეთანხმა ამ კოსმიურ ციკლს, გაემართა „ოქროს დამცავი გარსის“ - ანუ სამყაროს სხვადასხვა კუთხის შესწავლის გზით ახალი „ოქროსავით წმინდა და გამძლე აზრის მიერ ნაკადთა უშრეტ წყაროთა შესასწავლად. ოქროს დამცავი გარსი არის ინტუიტური სიბრძნე, რომელსაც ატლანტები მოიპოვებდნენ ჩვენს პლანეტაზე განსაკუთრებით ხშირად კავკასიაში (ქაუ - ქადია- ლაზეთის ქვეყანა), რომლის დასახლება ახალი კოსმოგონიური ეპოქის დასაწყისია. ეს ბრძოლა გრძელდებოდა არა 100 - 150 ათასი, არამედ 30 -35 ათასი წელი. საბოლოო ჯამში ამ ჯგუფმა კონონზომიური კოსმიური ციკლი ვერ შეაჩერა და ასე ვთქვათ, დროის მსახვრალ ცელთან ჭიდილში დამარცხდა. უდიდესი ებრაელი (ერთ-ერთი გამორჩეული ქალდეველი ხალხის) მეცნიერის - ჟიულ იულიუს ოპერტის ბიოგრაფია შესულია იუფეურ ენციკლოპედიაში. იგი იკვლევდა შუმერულისა და იაფეტური ენების ნათესაობის საკითხს, უარყოფდა შუმერულის ნათესაობას სემიტურ ენობრივ სამყაროსთან, თუმცა შემდგომ მართლაც რომ კარდინალურად შეცვალა თავისი შეხედულებები.

ამ მოსაზრებებს ამყარებს მეფეთა ტიტული - „მეფე არკადისა და შუმერისა“. არტური - კელტ-იბერიული მითოსის გმირი მეფის არკადის და არკადიის ცნებები ჩემი აზრით კოლხ-იბერ-ქალდეველ ხალხთა ნაწილის სწმიტიზარების ისტორიულ პროცესს ასახავს. შუმერი კი შუმერული დამწერლობის შემქმნელია ზოგადად, სხვადასხვა მეცნიერთა და და პირადად ჩემი აზრით, ლურსმნული დამწერლობის მესაძირკვლედ ქალაქი ერედუ („იყო, არსებობდა - ატლანტიდა“ - ესეც ეზოთერული ლინგვისტური რებუსის ამოხსნის ოკულტური მაგალითი). აქ მდებარეობდა ღვტაება ენქის ტაძარი - „ენგირი, ინგირი, ენგური“. ზოგადად, მეცნიერები ვერ პოულობენ კითხვას „ეგვიპტური იეროგლიფებია/ინგლისელ მკვლევართა აზრით0 თუ შუმერული დამწერლობაა (გერმანელ მეცნიერთა ხედვით0 უფრო ძველი. ჩემი აზრით, არც ერთი პასუხია სწორი და არც მეორე. ჩემი ხედვით შესასწავლია ამ დამწერლობათა სილაბურობის ხარისხი, ასევე ლიგატურების (გადაბმულ ასოთა) გარდაქმნის მაშინდელი მეთოდიკა, ბუსტაფრედონი (მარცხნიდან მარჯვნივ) შუმერულ და ეგვიპტურ ნაირსახეობათა სტილი ალოგლოტოგრაფიის (უცხოური ასოებით საკუთარ ენაზე, წერის შესაძლებლობა), მაგრამ ჩემი აზრით ეგვიპტური იეროგლიფების და ლურსმნული დამწერლობაც ერთიანი ასკულარულ-ალაროიდული მედიტერიანული, პონტოსურ-ეგეოსტურ-კოლხური

ლინგვისტურ მონაცემთა ბაზის გარკვეულ, თითქმის განსხვავებულ ნაწილთა ნაციონალური ასახვის ერთი და იგივე, თუმცა სხვადასხვა ალფაბეტური-სინასიმური (გრაფიკული) განვითარების ორიენტირტა მქონე სისტემაა.

ძვ. წ. XIII – XXI საუკუნეებში მეგრელ-ლაზთა ერთი ნაწილი ღვტაება ენგიო ტაძარ „ენგესთან" ერთად მასობრივად გადასახლდა ქვემო მესოპოტამიიდან ზემო მესოპოტამიაში.ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა ნაწილი და მათ შორის მეც, როგორც ახალბედა მკვლევარი, შუმერულად არ თვლის სიტყვებს - ერედუ, იტიგნა - ტიგროსი, ბურანუნი - ევფრატი, მე ამ სიტყვებს პროტოკავკასიურ ენას მივაკუთვნებ. მეცნიერი ბადი-ნეგუსი სოფია მეგრელ-ლაზებს მიიჩნევს ნამდვილ შუმერებად, რომელიც დაიპყრეს ჩრთილოეთიდან მოსულმა ტომმა - შუმერებმა. ბაბილონში მდებარე ღვთაება მარდუქის მთავარ ტაძარს - ესანგილა, ეთემანანქი, ზიკურატი, ზიქურათი ისტორიის მამა ჰეროდოტუ 8 სართულიანად თვლიდა როდესაც გარეგნულად 7 სართულიანი იყო, არა, მკითხველნო ნუ გაიფიქრებთ, რომ „ისტორიის მამას" თვლა უჭირდა, იგი მერვე სართულად თვლიდა საიდუმლო მიწისქვეშა სართულს, რომელსაც რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ერქვა"ქგალლუ". კოლხურად „შემოგევლე", ანუ ჩემი აზრით (წყაროებს ვეყრდნობი, მაგ. ლეონარდ ულის კვლევებს) ამ სართულზე მიმდინარეობდა თეოლოგიური და ფილოსოფიური საკითხების განხილვა, ეზოთერული განსჯა, დისკუსია ლაზური შუმერის კოლხუალური (არასწორი სიტყვა არ გეგონოთ ოკულისტური ტერმინი) იმპერიის დამაარსებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ აიეტი („ა" - სულიერი ენერგიის აღმაფრენა, „ი" -კოსმიურ საწყისთა ბალანსირება, „ე"- ნეგატიური მსჯელობის აღმნიშვნელი პალატიურ-აგლუდინაციური ბგერა, რომელიც შესაძლოა გამოხატავდეს სიამოვნებისა (სიბრძნის მიერი ტკბობის) და უკმაყოფილების (სამყაროსთან ჭიდილის შეუძლებლობის თავისებური აღქმის) განცდებს. „ტ" - მკაცრი ბგერაა, რომელიც „ე" „ი" „ა" გრაფიკული გაერთიანებითაა მიღებული ესეიგი ზემოთგანხილულ გრაფიკულ ასოთა ეზოთერული დანიშნულებების სისტემატიზატორია, „ი" ამ შემთხვევაში, შესაძლოა აღნიშნავდეს ზემოაღნიშნულ ოკულტურ მისიათა განსხეულების შედეგად სულიერების აპოფატიკურ მწვერვალზე კაცობრიობის აღმასვლის პროცესის დასრულებას. „ან-მარე" ან ცის მაჩე-შვილი, მსახური" - ესეიგი „ცის კაცი", რომელიც მართავდა კოლხებს ძვ.წ. 3185-3120 წლებში. ჩემი აზრით, აიეტი ანმარეს მისტიური მოძღვარი იყო, რომელმაც ატლანტთა მოდგმის გენეტიკურ მემკვიდრედ დადგენიილი კოლხი-ატლანტიდის სულიერების ახალ სავანედ აქცია. რაც შეეხება კოსმიურ ომს, ინდუიზმში კოსმიურ გამანადგურებელ მექანიზმს - ანუ მარტივ ენაზე რომ ვთქვათ, ბირთვულ ბომბს ეწოდება „აგნიხოტრა". კოსმიური ომი გახლდათ ჩვენს მიერ აღწერილი სცენა ინდურ (უფრო სწორად დრავიდულ) პოემა „რამაიანასი" ლაკშმას მეფე რავანას მაიმუნთა ურიცხვი ჯარისა და რამას ჰანუმანის და დარაშატის ერთგულ მეომართა ლაშქრის დაპირისპირება, რომელიც ბოროტების არასუბსტანციურხედვათა ნაზავად დატოვებით, მისი დამარცხებითა და კეთილ სუბსტანციათა გამარჯვებით დასრულდა. შესაძლებელია ბოროტ და კეთილ საწყისთა გამაერთიანებელ კოსმიურ ენერგიათა შეტაკების ნიმუშად მივიჩნიოთ „მაჰაბჰარატაში" კურუკუშტრის ველზე პანდავებისა (სიკეთისა) და კაურავების (ბოროტების) ბრძოლა,

რომელიც ასევე სიკეთის გამარჯვებით სრულდება. ჩემი აზრით, ეზოთერულ-ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურა ბრძენ ადამიანთა „ალმა მატერი“ – „მაცოცხლებელი დედაა“. რაც შეეხება ამერიკის კონტინენტის აღმოცენას, ეს ტერიტორია ჩემი ღრმა ეჭვით, კავკასიელმა მისიონერებმა, კოლხმა ქურუმებმა, კიბერიელმა ბრძენკაცებმა და ქალდეველმა მოგვებმა (აჰურამაზდას მიმდევრები არ გეგონოთ, ეს ქალდეველი „მღვდლის“ წოდება) აღმოაჩინეს. განა ვინ იყო აცტეკთა თეთრკანიანი ღმერთი კეცალკოატლი თუ არა კოლხ ბრძენ მისიონერთა, ასე ვთქვათ კოლხას წმინდა კონგრეგაცია პროპაგანდა ფიდეს მსახურთა აბსტრაქტული (განზოგადებული) მითიური სახე. რასიზმში ნუ ჩამომართმევთ, ყველას ღვთის შვილებად ვთვლი, მაგრამ მაიას იხდიელებსა და აცტეკებს, რომელთაც ცხენი და სხვა ზოგიერთი ცხოველი საერთოდ არ ენახათ, ყოველწლიურად რომლებიც ათიათასობით ადამიანს სწაირავდნენ მსხვერპლად, რომელთა ცხოვრების ნირი მეზობელთა დარბევა, დაპყრობა და ტყვეთა მსხვერპლშეწირვა იყო, ასეთ ხალხებს შეეძლოთ ეფიქრათ მაღალ მატერიებზე? (ღვტაებისადმი ადამიანთა მსხვერპლშეწირვა მაღალ ღირებულებებზე ფიქრად არ მიმაჩნია) შეეძლოთ შეექმნათ თანამედროვე კალენდარულ სისტემებზე ბევრად ზუსტი აცტეკური ტონალპოუალი - საერო, ჰიუჰიუ - სასულიერო, მაიასი- ხააბა- სასულიერო და ცოლკინი - საერო კალენდარები, შეეძლოთ დამოუკიდებლად შეექმნათ უმდიდრესი ლიტერატურა და ა. შ. ? ჩემი აზრით, არა მათ ეს სიბრძნისმიერი ბაზისი იბერიულ-კავკასიური რასის წარმომადგენელმა კოლხმა ქურუმებმა შეუქმნეს ძნელი დასაჯერებელია არა? კიდევ ერთხელ დავუბრუნდეტ ირლანდიური წარმოშობის ფილადელფიელ მეცნიერს - იგნატიოს დონელს, რომელიც ერთადერთ ევროპელ მისიონერზე, რომელმაც მოასწრო და გაეცნო მაიას ლიტერატურას - დიეგო დელანდაზე (1524-1576 წ.წ.) დაყრდნობით აცხადებს „მაია იყო ატლანტიდიდან მოსული ტომის კოლხეას კულტურული მემკვიდრე“ ჯერ ერთი ისტორიული ფაქტია, რომ კოლხეთის უძლიერესი და უსწრაფესი ფლოტი ჰყავდა, რატომ უნდა იყოს წარმოუდგენელი ასეთი საზღვაო და რაც მთავარია ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ხალხის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა და იქ საკუთარ კულტურულ მიღწევათა გავრცელება. იქნებ რომელიმე სკეპტიკოსმა მეცნიერმა ამიხსნას რას ნიშნავს მაია კეჩუას ენაზე? პასუხი არ გაქვთ. მაია არის კოლხურად- „მა აია“ – „მე კოლხეთი“ (მეცნიერთა ჰიპოთეზია, არამარტო ქართველთა), ეზოტერული ლინგვისტიკის ტალღებში თუ შევცურავთ „მა აია“ – „კოლხური სული“. სავსებით შესაძლებელია მაიას ცივილიზაცია კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ცნობიერი სამყაროს გამომხატველი სიბრძნის ხის ტოტად ჩავთვალოთ. რაც შეეხება ინკებს მეცნიერ მარიანუს დე ორსელარას ტქმით ინკები არიან კართაგენელების (კარდახაშტი) შთამომავლები, რომლებიც ძვ.წ. 371 წელს რომაელებტან მარცხის გარდაუვალობის გაცნობიერების შემდეგ გადავიდნენ ამერიკაში. მათ შექმნეს ძალიამ საინტერესო დამწერლობა „კიპუ“ -ზაფთა დამწერლობა, თუმცა ზოფ=გიერთი მეცნიეროს ხედვით, ეს სისტემა მაიას ტომის შექმნილია. ნიშანდობლივია, რომ ინკები თანამედროვე ლაზთა მსგავსად შერეულ ქორწინებას ერიდებოდნენ. აქაც იკვეთება მენტალური და სოციო-კულტურული მსგავსება.

მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების გენეტიკურ კვლევათა ცენტრმა მეზოგამიურ ურთიერთობათა მიმდევარ ოჯიბვეს, დღემდე არსებულ ტომთა ბიოენერგიალურ სივრცეში აღმოაჩინა ძალიან ძლიერი კავკასიური გენეტიკური ნაკადი. თითქოს კიდევ ერთხელ იკვეთება კულტურათა ამბივალენტურობა (მსგავსება-განსხვავება ასპექტებში). რაც შეეხება ევროპულ კულტურას ევროპაში შეიძლება ითქვას უხსოვარი დროიდან ქრისტეშობამდე დომინანტი იყვნენ იბერები. მათ ჰქონდათ უძლიერესი სახელმწიფო პირინეის ნახევარკუნძულზე, რომელსაც ემორჩილებოდნენ ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის და ბელგიის (ამ ტერიტორიათა თანამედროვე სახელები). იბერები მათი მოკავშირეები იყვნენ იტალიურ ტომთა შორის ჰეგემონი ეტრუსკები. თუმცა ძვ. წ. V საუკუნეში ბარბაროსმა ინდოევროპელმა კელტებმა, რომლებიც დიდი ალბათობით ახლანდელ სლავურ სამყაროდან შევიდნენ დასავლეთ ევროპაში, გაანადგურეს იბერთა სახელმწიფო, იტალიაშო სეპარატისტმა ეტრუსკებმა (ჩემი აზრით, სწორედ ასე შეიძლება ვუწოდოთ რომაელებს, რადგან მათი მამამთავრები ეტრუსკულ ქალაქ ალბალონგას მკვიდრნი და მმართველის შვილები - ბიმისმიერ გამოძევებული იყვნენ - რომულისს და რემსს ვგულისხმობ) ბეუტიეს ყოფილ მმართველებს - რომაელებად წოდებულმა სეპარატისტმა ეტრუსკებმა, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს სამ ომში დაამარცხეს ეტრუსკები, ლათინები, სამნიტები, საბინები, ვოლასკები და სხვა იტალიური ტომები. რომის 7 რექსიდან (მეფიდან) 4 ეტრუსკი იყო რომელუსი, ნუმა პომპიდიუსი, ანკუს მარტიუსი და სუბსტექსი, პლინიუსი ლათინი იყო, ხოლო ტანკვინიუს სუბერბუსი - ამაყი საბინი. სხვათა შორის, ვილერიუს ფლაკუსის ვერსიიტ წმინდა ეტრუსკული წარმომავლობა ჰქონდა უდიდეს რომაელ სარდალსა და კონსულად შვიდგზის არჩეულ კიმბრთა, ტევტონთა და იუგურთას დამმარცხებელ - გაიუს მარიუსს. რომი გახლდათ ეტრუსკულ - იბერიული სამყაროს მემკვიდრე სახელმწიფო, რომელმაც ერთ ყალიბში ჩამოასხა მთელი უძველესი ევროპეიდული მენტალობის გამომხატველი ტრადიციები. ასევე ცნობილი ფაქტია, რომ რომაელებმა წინაპარ ეტრუსკთა ასიმილაცია მხოლოდ ძვ. წ. I საუკუნეში მოახერხეს.

ნიშანდობლივია რომ ეტრუსკული სამყაროს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს ეტრქვა -კოლხი - „კ“-სა და „ე“-ს ალიფემიტრი (სინსტალისტური, ესეიგი დროთა და სოციალურ ვითარებათა ცვლის შედეგად) ცვალებადობის სისწორეში ნებისმიერი პროფესიონალი ლინგვისტი დაგვეთანხმება. ცემს ისტორიულ-სამართლებრივ მეხსიერებაში ეტრუსკები, პელაზგები, კოლხები, იბერები და ქალდეველები ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სიბრძნისმიერი გონის გამომხატველი უნივერსალური ცოდნის ხის 5 უმნიშვნელოვანესი ტოტია. პრაქტიკულად არაფერია ცნობილი ეტრესკული მითოსის (ზვიად გამსახურსის სწორად აღნიშნავს - მითოლოგია ეს მეცნიერებაა მითის სესახებ, მითოსი კი თქმულებათა ეროვნული სამყარო) შესახებ, თუ არ ჩავთვლით ჩენერ ვერნერის ბრწყინვალე გამოკვლევას სახელწოდებით „ეტრუსკები - გამქრალი ხალხი“. ვერნერის თქმით ეტრუსკებმა ელინებამდე ბევრად ადრე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ევროპული ცივილიზაციის სოციოკულტურული არქეტიპის ფორმირებაში. ჩემი აზრიტ, ეტრუსკი ხალხი ოქროს ასოებით შევიდა კაცობრიობის მატიანეში. პელასგები, იგივე პელაზგები ე. წ. ელინური კულტურის

შემოქმედი ხალხია. ზვიად გამსახურდია, ჰაინც გენრიხი, ლუი გოდარი, ჯინ ჩედვიკი, საირეს კალოკანცანტაკისი და სხვები ბერძნულად მონათლულ მითოსს პელასგურად თვლიდნენ. დააკვირდით ბერძნული მითოსის მთავარ ღვტაებათა ქრონოლოგიურ ტრიმურტს (ჰაგია ტრიადა - ქრისრიანული ერთარსი სამება, გარკვეული მისტიკური კავშირი იკვეთება). ურანოსი - ღმერთთა და სამყაროს შემქმნელი - ჩემი აზრით ატლანტიდაა, მრისხანე კრონოსი - პელასგიაა, ზევსი კი პელასგებმა შექმნეს, როგორც ღვტაება, რომელიც ინდოევროპელ ბარბაროს ბერძენთა ბუნებას განასახიერებს თუნდაც იმიტომ, რომ იგი ატლანტთა (იგივე ტიტანთა) მოდგმის ერთ-ერთ უძლიერეს წინამძღოლს - პრომეტეს („პრო იმეთეს“ – „ვინც განგვანათლა“) კავკასიონის ქედზე (მწვერვალზე), რომელიც კოსმოგონიურად სამყაროსეული სულიერებისა და ადამიანური გონის შერწყმის ოკულტური ადგილით, მიაჯაჭვა და არწივის (ელინიზირებული ხეთური მოსახლეობის სიმბოლო) მიერ ღვიძლის(არასრულყოფილი ცოდნისგან ადამიანის სულის „გაფილტვრა“-დაცვა) კორტნა მიუსაჯა : ძალაუფლების ბაცილებს დამონებულ ბერძნულ ღვთაებებს - ატლანტიდური სიბრძნის დამცველი ტიტანები დაუპირისპირდნენ, მაგრამ ჟამთა სიავის და ბედის ბორბლის უკუღმა ტრიალის გამო დამარცხდნენ და ზევსის ანტიჰუმანური განაჩენით ქვესკნელში - ჰადესის ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

ტიტანთა და ძალაუფლებას დამორჩილებულ ღმერთთა ბრძოლა „ტიტანომაგია“ სამყაროს მისტიკურ ველზე გამართული ყოვლისმომცველი დაპირისპირება გახლდათ, რომელშიც ცნობიერებამ დროებით დაჯაბნა ალტრუისტული სიბრძნე. ტიტანთა - ატლანტთა მოდგმამ რეალურად კაცობრიობას დაუმტკიცა დეგრადირებული პელასგური ღვთაების - ზევსის დიქტატის დამარცხების გარდაუვალობა და მისი „ღვთიური ხელისუფლების შინაგანი სისუსტე“ ტიტანები ტაქტიკურად მისტიკურ არენაზე დამარცხდნენ, მაგრამ სტრატეგიულად უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს ზევსის და ჰადესის „მთავრობაზე“. ტიტანებმა ადამის მოდგმა აზიარეს სამყაროს მმართველი უმაღლესი გონის - პელასგურ მითოსში ბედისწერის ძაფთა მქსოველ მოირათა სახით წაერმოდგენილი აბსოლუტისადმი რწმენას, ამ რწმენის ხორცშესხმის ცოდნას და ცოდნის სწორად გამოყენების ხელოვნებას - სიბრძნეს.

ცეცხლი, ჩემი აზრით, განასახიერებს კაცობრიობის ტიტანთაგან მინიჭებულ სიბრძნისმიერ ძლიერებას. პრომეტემ მსხვერპლი გაიღო და საკუთარი სხეული მრავალათასწლოვანი ტანჯვისთვის გაწირა კაცობრიობის გონის უკუნისგან განსათავისუფლებლად უმძიმესი ბრძოლის სწორად წარსამართად. დიდხნს გრძელდებოდა მისი წამება. როგორც ზვიად გამსახურდია აღნიშნავს ზევსის სახით წარმოდგენილმა ინდოევროპულმა მოდგმამ კავკასიონის ქედს მიაჯაჭვა იბერიულ-კავკასიური რასის აბსტრაქტული (განზოგადებული) სახე-პრომეტე, რომელიც თვითშეწირვის სტილით ჩვენი მშობლიური მოდგმის და ზოგადად მოაზროვნე კაცობრიობის საერთო სულს - მაცხოვარს ჩვენსას იესო ქრისტეს გვაგონებს. პრომეთემ - ბერძენმა ამირანმა (უფრო სწორად პელასგმა ამირანმა) დაამარცხა დროებით მეუფე ყამარის ლაშქარი, როგორც ტიტანებმა მოიპოვეს ძლევა ბოროტ ზევსზე - სულიერად პრომეთე, ამირანი და ქრისტე იბერიულ-კავკასიურ რასის ეგზისტენციალური ტრიმურტია, მაგრამ ბუნებრივია იესო ქრისტე, როგორც ხორცშესხმული ღმერთი,

როგორც ყოველთვის არსებული და ყოველგან არსებულის განხორციელება, როგორც კაცობრიობის მხსნელი - მესია აღემატება მათ და სამყაროსეული სულიერების აპოფატიკურ მწვერვალზე მდგარ - უმაღლეს სულიერ განსხეულებას გვაგონებს.

## ქრისტიანობა დ ა სხვა რელიგიები

რელიგია კაცობრიობის განვითარების პროცესის წარმმართველი ძალა იყო წარსულშიც, არის აწმყოშიც და აუცილებლად იქნება მომავალში. Religias „სიმართლის ძალა" - ლათინურად.პირველი პრიმიტიული რწმენა - წარმოდგენები- ფეტიშიზმი (ნივთის თაყვანისცემა), ტოტემიზმი (ცხოველთა კულტი), ანიმიზმი (ზებუნებრივ ძალთა კულტი) მაგია (თუმცა იგი როგორც რელიგიის ანარეკლი დღემდე არსებობს - ჯადოქრობა, შესაძლოა ვუწოდოთ შამანიზმიც). ათეულობით 9არა მგონია ასეულობით, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს) ათასი წლის განმავლობაში ადამიანტა გონება დაიხვეწა და კაცობრიობა ავიდა პროგრესის ახალ საფეხურზე - პოლითეიზმზე - „პოლის თეის" - მრავალღმერთიანობა ძნელია განსაზღვრო პოლითეიზმის სამშობლო, თუმცა ჩემი აზრით, ეს სისტემა თეოსიფიური იდეების კავკასიურ სამყაროში ჩამოყალიბდა. მაგალითად, უკვე აღარავინ დავობს იმ ფაქტზე, რომ ბერძნული ღვთაებები - პელასგური, ეგვიპტური და შუმერულ-კოლხური და მენგურიული, ჩინური, ინკური და იაპონური - აინურ- კარმელიკური- დრავიდული წარმოშობისაა. როგორც ანტიკური ხანის უდიდესი ისტორიკოსი და მოაზროვნე (ძვ. წ. III საუკუნე) -აპოლონიოს როდოსელი აღნიშნავს: „პელასგები ენათესავებიან კოლხებს, მათ ბევრი საერთო აქვთ ენაში, საომარ ხელოვნებასა და რელიგიაში". კლიმენტი შელიას და თენგიზ შონიას სამეცნიერო სტატიებში პელაზგი განმარტებულია ამგვარად „პე" - ინდოევროპული თავსართია (აბსოლუტურად ვეთანხმები) ლაზ-ლაზი გი გური - ესეიგი „ლაზური გული" - ლაზური გულის ხალხი - ეზოტერული ლინგვოსტიკოსა და პოსტსტრუქტურული ფილოსოფიის ბრწყინვალე მიგნებაა.

რა არის ენა? - პელასგური, ეტრუსკული, კოლხურ-იბერიული და ა. შ. - ჩემი აზრით, ენა არის ლაბიალიზებული ხმოვნების, არალაბიალური თანხმოვნების განსაზღვრული დეტერმინანტების, გრაფემების, პალატილური, საინსულისტიკის, და აგლუტინაციური ბგერების ერთობლიობა. ქრისტიანობამ ენობრივი ბაზისი უფლის მადლის აღწერის დიად სამსახურში ჩააყენა. დღეს გაბატონებიულია არცთუ ობიექტური შეხედულება. ქრისტიანული მსოფლხედვის იუდაიზმისაგან წარმოშობის შესახებ. რა თქმა უნდა, იუდაიზმმაც იქონია გავლენა ახალ რელიგიაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ადგილი უჭირავს ძვ. წ. XIV საუკუნეში ეხნატონის მიერ მონოტეიზმის-ერთღმერთიანობის შემოღებას.

ამ რეფორმას სათავეში თუბალი, თათე-ნეფერტიტი და მისი კოლხი ბიძა - აია (ეიე) ედგნენ. მართალია ეხნატონის სიკვდილის შემდეგ ეს რეფორმა გაუქმდა, მაგრამ მან უდიდესი ზეგავლენა იქონია სხვადასხვა ეთნოსთა რელიგიურ მსოფლმხედველობაზე. ჩემი აზრით, ერთღმერთიანობა ებრაელებმა ეგვიპტელებისგან გადმოიღეს, მართალია შემდგომ განავითარეს, მაგრამ სატავე ამ სიბრძნისა მაინც ატლანტურ მენგულიურ

ფუტიური ქიანეთი (ეგვიპტე) იყო. იუდაიზმის ფუძემდებლად ითვლება მოსე, რომელმაც ებრაელები ეგვიპტელთა მონობისგან გამოიხსნა, უდაბნოში 40 წლიანი ხეტიალის შემდეგ კი სამშვიდობოს გაიყვანა. საბოლოოდ მისმა მემკვიდრეებმა ებრაელები აღთქმულ ქვეყანაში - ქანაანში მიიყვანეს და ადგილობრივთა ნების მეტნაკლები გათვალისწინების გარეშე იქვე დაასახლეს. არა მგონია ფლორითა და ფაუნით დახუნძლული ყოფილიყო დღევანდელი პალესტინის ტერიტორია მასინდელ ეპოქაშიც. ჩემი აზრით, ნამდვილი ქანაანი საქართველოა, ჩვენი ნამდვილი ძმები - ებრაელები სწორედ აქ მოვიდნენ და დამკვიდრდნენ. იესო ქრისტე დაუპირისპირდა იუდაიზმს ხალხის საღათას ძილისგან გამოსაღვიძებლად, დაამარცხა ვერაგი კაიაფა სულიერ ასპარეზზე, თავად მის მოციქულებსაც და ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიანს მოუპოვა უკვდავება. მან სათავე დაუდო სიკეთის მონისტურ მოძღვრებას, მოწამეობრივი სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვას, ჭეშმარიტების ძიების ყველაზე სწორ გზას ქრისტიანულ ასკეზას შეხამებულს იბერიულ-კავკასიურ იზოთეოზისთან (ინდივიდუალური ინიციაციის გზით წარმატებით განმვლელ ადამიანთა განმღრთობისა სწორი გაგებით იდეასთა, თუმცა იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუთანაბრდება ღმერთს, რადგან მან შვა იგი) ქრისტიანობამ ახალ სულიერ-სხეულებრივ საფეხურზე აიყვანა კაცობრიობა და დასაბამი დაუდო სიკეთის ქმნის დაუოკებელი სურვილის გამომხატველ მართლაც უძლიერეს განცდათა აზბოქრებულ ბოროტების მშთანთქმელ ოკეანეს.

## ინდუიზმი

ინდუიზმის წარმოშობიოს ადგილია დიდოეთი (დრავიდთა ინდოეთი). ინდუიზმი ბევრს ინდოელთა რელიგიის აღმნიშვნელი ტერმინი ჰგონია, მაგრამ რეალურად იგი ასე იშიფრება: „ინდუი სუსუ ლუს“ – „სიბრძნის ჰარმონია“. მართლაც ინდუიზმში განსაცვიფრებელი სიბრძნეა სხვა რელიგიათა მსგავსად. ინდუიზმის წმინდა წიგნია ვედები (კოლხურად - არ გადაუხვიო), რომელიც იყოფა 3 ნაწილად: 1. რიგვედა 2. ათარვავედა 3. ჯაჰარვავედა. ვედებში აღწერილია ინდუიზმის საფუძვლები, თეოგენია, კოსმოგონია, ზნეობა, მორალი, ფილოსსოფიური იდეალები და სხვა. ინდუისტთა ღვთაებებია: ბრაჰმა, შივა, ვიშნუ, კრიშნა, კარვატი, დურვა, სარასვატი, ჩანდრა, განეშა, კალი, ინდრა და სხვა. (ზოგიერთი თეოლოგი ვედიზმს უნდუიზმისგან განცალკევებულ რელიგიად თვლის, თუმცა ჩემი აზრით, ვედიზმი და ინდუიზმი ერთიანი სუბსტანციური მოძღვრებაა). ინდუისტები ერთაყვანებიან რაკშასებს და იაკშასებს. არსებობს ჭეშმარიტების შეცნობის 3 გზა: ჯნანა - ცოდნის გზა, ფხაკნა - სიყვარულის გზა, კარმა - ქმედების გზა. არსებობს 3 ტიპის ფსიქოეზოთერული ქვეტიპი: სატვა - კეთილი ადამიანი - თეთრი (მისი ფერია), რაჯასი - წითელი, აქტიური ადამიანი, ტამასი - ბოროტი, შავი ადამიანი. ინდუიზმში არსებობს დარშანა - სულიერი ტრადიცია - მიმანსა, ვედანკა, სამკჰია, იოგა, ნიაია, ვაიშიშიკა. ინდუიზმში არის ცნებები: შრათჰა - რწმენა, გუნა-განწყობა, პრაკრიტი - ბუნება, მაია - სამყარო, პურუშტუ - მამაკაცური საწყისი, მოკშა - გასხივოსნება, სამსარა - ტანჯვის გზით განმღრთობა, იუგა - პერიოდი. არსებობს 4 პერიოდი: სატია, იუგა, იგივე კრიტა იუგა - ოქროს ხანა, ტრიტა იუგა - ვერცხლის ხანა.

დდვაპრა იუგა - რკინის ხანა, კალი იუგა - სიბნელის ხანა (ამჟამად ვიმყოფებით, ემთხვევა ძვ. წ. 23-ე, 22-2 საუკუნეებს - ინდოევროპელთა მომძლავრებას), ჰაშალა იუგა - გასხივოსნების ხანა 3 000 წელიწადში უნდა დადგეს ინჩო აურობიდოს კლასიფიკაციის მიხედვით. ინდუიზმში მოძღვარს ჰქვია გურუ, ნაგარ-ბაზა (დრედლოკებს ატარებს), ვენაშა არის მაგიური ლოცვები - მანტრები, ასევე აიბ იუბის ღვთაებრივი ვიბრაციის ბგერა. ჩემი აზრით, ინდუიზმმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მსოფლიო ისტორიაში.

## ბუდიზმი

ბუდიზმი შექმნა პრინცმა სინთჰართჰა გაუტამა შაკიამუნმა ბუდიზმის წმინდა წიგნია - ტაპიტაკა, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან: სუტა - პიტაკა, ვინაია -პუტკა, აჰითჰამა - კიტაკა და 2 დამატებისგან. დჰამაპატა - ბრძნული აფორიზმების კრებული და ჯატაკა - ბუდას დაბადებატა ციკლი. ამ რელიგიაში ძალიან საინტერესო ცნებებია: ჯატი - დაბადება, ბჰავა - სიცოცხლე, ბოდიში - გასხივოსნება, ჯარამარანა - სიკვდილი, ბოდჰიდჰარმა - ოსტატი და ბოდჰისატვა - „განათლებული გონი“ - ცნობილი ბოთჰისატვებია: ქშატიგჰარბა, ჩინტამანი, ვაჯრასატვა, ტარა, მილარეპა, მაიტრია, სამანტაბჰადრა, ამიტაბჰა, კადასამგჰავა (ლოტოსისგან შობილს ნიშნავს), კალოკიტეშვარა, მონჯუშრი - კუმარააბჰუტა, შაბდრუნგი. ეს ინფორმაცია დაცულია ტიბეტში - ვეფხვის ბუნაგად სახელდებულ ტაკწანგ - ალჰანგის მონასტერში.

არსებობს 3 ტიპის ბუდა: ბუდა დიპანკარა - წარსული, შაკიამუნი - აწმყო, მაიტრია - მომავალი. არსებობს სხვადასხვა ბუდისტური სექტა: ნოინგმა, კაგიუ, კარმაპა, დვაპკა, საკია, კადამპა, გელუკპა. გელუკპას (ყვიდელქუდიანთა) სექციის დამაარსებელია ჯეცონგპა. (1357-1419), ცნობილია სახელით- ლობსანგ დრაგპა ან რიპოჩი იამანტაკა, იაპონური ექვივალენტია დაიიტოკუ მაჰამუდრა, კორეულად - მუნსუ ბოსალ.
აღსანიშნავია საწყისთა უსასრულო სივრცე - ტატჰაგატა, მაჰავაიროჩანა და ვაჯრასექჰარა - სუტრები, გულის სუტრა - ტრაჯნიაჰარამიტა, მილარეპა და მისი მოსწავლეები - რეჩუნგ დორჯე დრაკპა და გამპოპა, მასწავლებელი - მარპა ლოცავა, ტარა -თუოლო - იგივე თარანი ბოსაცუ, იაპონელი პრინცი ბუფისტი შოტოკუ, განეშას ჩინური - კუანინი, იაპონური კანონი ექვივალენტები. ბუდიზმის 3 მთავარი მიმდინარეობაა: ქერავადა, ვაჯრაიანა, იგივე „დორჯ თეპე“ - ტიბეტურად ალმასის გზა, მაჰაიანა. ეს რელიგია გავრცელებულია ინდოეთში, ნეპალში, (ერთ-ერთი ვერსიიტ ნეპალია მისი სამშობლო), იაპონიაში, კორეაში და ჩინეთში. ჩემი აზრით, ბუდიზმმა აღმოსავლური ფილოსოფია და ზოგადად საკაცობრიო აზროვნება ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

# ჯაინიზმი

ჯაინიზმი ქადაგებს სიკეთეს, კრძალავს სიმდიდრეს, კაცთა კვლასა და ბოროტებას. ჯაინიზმის წმინდა წიგნია ორალასა, წმინდა ასპექტს ჰქვია -„ანეკანტავადა“ – „დაე, იყოს მშვიდობა“. მშვიდობიანი ბრძოლის სტილს ჰქვია აჰისიმა, რომელმაც ჩემი აზით, დიდი ზეგავლენა იქონია ე. წ. სატიაგრაჰა ჩამოყალიბების პროცესზე. ჯაინიზმი ასე იშიფრება - „ჯაინუს ნილს ინესიმე“, რაც „სიბრძნისთვის მებრძოლს“ ჯაინიზმმა შექმნა საოცარი იდეური მრწამსი, რომელმაც აღმოსავლური კულტურა საკაცობრიო ცივილიზაციის ამომავალ მზედ წარმოუდგინა ადამის მოდგმას.

ჯაინიზმმა ძალიან მყარი ხიდი გასდო აღმოსავლური კულტურის 5 შემოქმედ ქვეყანას - ინდოეთს, ჩინეთს, იაპონიას, ტიბეტსა და კორეას შორის. ფაქტობრივად, ჯაინიზმმა ბუდიზმთან და ინდუიზმთან ერთად შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფოები ერთიან სიბრძნისმიერ მდინარებატა მმართველ აზრისმიერ სივრცედ გააერთიანა.

ჯაინისტურმა იდეოლოგიამ უდიდესი როლი შეასრულა ჰიმნოსოფისტიკის, სტოიციზმისა და დეტერმინიზმის აღმოსავლური აღქმის კონცეფციის ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვან პროცესში.

ჯაინიზმი დრავიდულ- კარმელუკურ-აინური სიბრძნის მანათობელი სხივის სახით შეიჭრა და გაანათა აღმოსავლური სამხედრო პოლიტიკური დესპოტიზმის ბნელი ლაბირინთები.

ჯაინიზმი, ჩემი აზრით, მხოლოდ აღმოსავლეთის საკუთრება არ არის, მის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს კავკასიურმა ალტრუიზმმა და ევროპეიდულმა გნოსტიკურმა ცივილიზაციამ. ჯაინისტმა მოძღვრებმა მსოფლიო კულტურის სიბრძნისმიერი თავისებურებების აღმწერ მატიანეში თავისი კვალი აღბეჭდეს.

# შინტოიზმი

შინტოიზმი იაპონელთა ეროვნულ რელიგიად ითვლება, თუმცა თავად წარმოშობით აინი მწერალი- რიუნოსკე -აკუტაგავა ამ რელიგიას აინური კულტურის მეტამორფოზად თვლიდა „შინტო“ - სულს ნიშნავს. ამ რელიგიის მიმდევრები თაყვანს სცემენ მცენარეებს, რადგან მათი ხედვით, მათში წინაპართა სულებია ჩასახლებული. შინტოიზმში არის 4 მთავარი ელემენტი: ჰარაი (განწმენდა), სინსეი (მსხვერპლშეწირვა), ნორიტო (მოკლე ლოცვა), ნაორაი (ზეთით კურთხევა). შინტოიზმის წმინდა წიგნს ჰქვია კოძიკი - ფურიფუთუ-რუმი. შინტოისტები ეთაყვანებიან მზის ქალღმერთს - ამატერასუს, რომელიც იძინაგისგან იშვა.

პირველ ადამიანებად იაპონურ (აინურ, ვაძინები იაპონელთა მოსვლამდე მცხოვრები აბორიგენები ჰოკოდოზე, ჰონსიუზე, კიუსიუზე, ოკინავაზე). მითოსში

ითვლებიან იზინაგი და იზინანი. ასევე თაყვანს სცემენ იაპონიის ლეგენდარულ აინ იმპერატორს - ძიმუს, რომელიც გამეფდა ძვ. წ. 630 წელს. იმპერიის დაბადების დღესასწაულს ჰქვია ტიგენსეცუ. შინტოისტი იდეოლოგების მიერაა შექმნილი ლოზუნგი ტოკან-აკიუ- მსოფლიოს 8 კუთხის შემოკრება ერთი ქოლგის ქვეშ. იმპერატორ მეიძისა და პასარტარის, ჰიროჰიტოს მმართველობისას იაპონიაში შინტოიზმი დომინანტი რელიგია იყო, მაგრამ II მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ მისი პოპულარობა დაეცა. შინტოიზმი დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს იაპონელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## ზოროასტრიზმი

ზოროასტრიზმი - ატროშანი, მაზდეანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა შექმნა ზოროასტრმა - ზარათუშტრამ - „ზარათაშ თუშე - შუტრა“ – „სიბრძნის მანათობელი სხივი“, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით კავკასიელი იყო, კავკასიაში გახლდათ დაბადებული. იყო მიდიის კოლხური (არ დაგვავიწყდეს მედეას როლი ამ სამეფოს შექმნაში) სამეფოს ლეგენდარული მეფის - კაშტარატას, ხშატრიტას, იგივე ფრაორატის და სპარსთა მეფე ქეკაპოსის ძის ფარაბოროტის საგვარეულობებთან გენეტიკური კავშირი ჰქონდა. (ორივე) საგვარეულო აშრაფ-ალ-იაზიდის მიხედვით, კავკასიური წარმოშობისა გახლდათ). ზოროასტრიზმის მთავარი ღმერთია კეთილი საწყისი -აჰურამაზდა, რომელიც ცეცხლის სახითაა წარმოდგენილი, ბოროტება არიმანი, ანგრო - მაინუ, რომელსაც ემსახურება 7 დევი, ბოროტი არსება -აესმოდეუსი, აეშმადეუსი. ზოროასტრიზმი ძალიან სწრაფად გავრცელდა ირანში და მახლობელ აღმოსავლეთში. ქსერქსემ ზოროასტრიზმი აქემენიანთა ირანის სახმელეთო იმპერიის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, სოციალურ-პოლიტიკურ დაპყრობებთან ერთად ნელნელა იწყება ფლიგიური ექსპანსიის ხელშემწყობ ფაქტორთა შექმნა.

ზოროასტრიზმის წმინდა წიგნია ავესტა, რომელშიც აღწერილია მაზდეანობის არსი და ატროშანის მიმდევართა ცხოვრების წესი. გაცილებით აგრესიულად ამ რელიგიის გასავრცელებლად ბრძოლა დაიწყეს სასანიანთა ირანის შაჰებმა. უმაღლეს მოგვს ერქვა მობიდან-მობიდანი, მოგვპეტან-მოგვპეტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ქურუმები კავკასიელ ხალხებთან დამარცხდნენ.

## თაზდანიზმი

ქურთები ერთ-ერთი უძველესი ხალხია მსოფლიო ისტორიაში. ჩემი აზრით ქურთები ირანული მოდგმის ხალხია და ძლიერ ენათესავებიან სარმატებს, ასევე სკვითებს. ქურთები ოდითგანვე იბრძოდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თუმცა ისტორიული ფაქტია, რომ აიეტის ძლევამოსილ სამეფოს ძვრა ვერ უყვეს.
ქურთთა რელიგია იაზდანიზმი თაყვანს სცემს იეზადის - სიკეთის ღვთაებას, რომელიც ებრძვის ბოროტებას - შურუს. იაზდანიზმი ერთ-ერთი ყველაზე ძველი რელიგიაა,

რომელიც ქურთი ხალხის ეროვნულ სულიერებას ისევე შეერწყა, როგორც ქრისტიანობა ქართველი ერისას. იაზდანიზმი იყო ქურთული სიბრძნის უშრეტი წყარო, რომელმაც ირანული მოდგმის ერთ-ერთი უმძლავრესი ეთნოკულტურული კავშირი ქურთი ხალხი თავისუფლების მოსაპოვებლად მებრძოლ დიად ხალხად აქცია.

## ისლამი

არაბული მომთაბარე ტომები ჯერ კიდევ მიდიის სამეფოდან მოყოლებული დიდ იმპერიატა საომარი რესურსის დამატებით რეზერვს შეადგენდა და მათი დაპყრობა არც არავის უღირდა. მაგ. ბიზანტიელებმა ლაჰმიდების, სპარსელებმა კი ღასანიდესბის სამეფოები (რა თქმა უნდა, ვასალური სახელმწიფოები) შეუქმნეს არაბებს. თიტქმის 300 წლის განმავლობაში მუდმივი ომის შედეგად სასანიანთა ირანის რესურსებიც გამოიფიტა და ბიზანტიის იმპერიაც დასუსტდა. 570 წელს დაიბადა მუჰამადი შიშამის საგვარეულოსა და ყურეიშიტების ტომის წამომადგენელი. იგი ვაჭარი იყო. 40 წლისას ჰარისის მთაზე ჰაშარასის გამოქვაბულში გამოეცხადა მთავარანგელოზი ჯიბრაილი (გაბრიელი), რომელმაც აუწყა ალაჰის სიტყვა. მუჰამადი გაეცნო იუდაიზმს, ზოროასტრიზმსა და ქრისტიანობას. დაიწყო ახალი რელიგიის - ისლამის ქადაგება. 622 წელს (მუსულ წ. აღრიცხვის დასაწყისი - ჰიჯრა) გაიქცა მექადან იასრიბში (მედინაში), 628 წელს ბადრის ბრძოლაში დაამარცხა მექელი წარმართები, გააერთიანა არაბები, ერთმანეთს შეუხამა საერო და სასულიერო ხელისუფლება. არაბებმა დაიწყეს, განსაკუთრებით მართლმორწმუნე ხალიფების (აბუბაქრი 630-634 წ.წ. ომარი-634-644 წ.წ., ოსმანი 644-656 წ.წ. და ალი 656-661 წ.წ.) დროს. ოსმანის დროს ჩაიწერა ყურანი დოკუმენტალურად. ხალიფა ომარის დროს დაემხო სასანიანთა ირანი, დაიპყრეს აღმოსავლეთ ბიზანტია. ხალიფა ალის მკვლელობამ 661 წელს სათავე დაუდო დიდ რელიგიურ განხეტქილებას. წარმოიშვნენ სუნიტების (ყურანის გარდა ცნობენ სუნას, ჰერას და ჰაჯმის, ასევე დასაშვებად მიიჩნევენ მუჰამადის არანათესავის არჩევას) და შიიტები (მხოლოდ ყურანი, ხალიფა უნდა იყოს მუჰამადის სისხლით ნათესავი). შემდგომ წარმოიშვნენ სალაფიტები - სალიქუმ სალაფია (ჰაჯის - მექის მოლოცვის უგულვმყოფელნი - ალტაბარის აზრით) და ალავიტები - სიბრძნის მიმდევრები, იღთიქაფი - მუსლიმური მედიტაციაა კოლხურად იშიფრება „გარაქმენი თავი შენი“. სუფისტები - ალაჰს მინდობილნი, ბაჰავუტები - ჯიხადისტები.

არაბები მსოფლიოს ჰყოფდნენ სამ ნაწილად: დარულ ჰარაბ - ომის მხარე, დარულ ისლამ - ისლამის მხარე, დარულ ალ ზაჰირ - ზავის მხარე, ჯიხად ად ტალაბ-თავდასხმითი ჯიხადი, ჯიხად ად დიფაი - თავდაცვითი ჯიხადი, ჯიხად ად სიფაი - ჯიხადი ხმლით, მასიდ ალ დაჯალს უწოდებენ ანტიქრისტეს, კაფკას - კავკასიას, როგორც ღერძს სამყაროსეული სივრცისას ისლამური ესქატოლოგიის მიხედვით. ად კითალფი საბილ ალაჰ - „ბრძოლა ღმერთის გზაზე“. ისლამი დღემდე მნიშვნელობან როლს ასრულებს ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

# შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი

შუასაუკუნეების ქართული პოეზიის მეფე-ქურუმი შოთა რუსთაველი-დასავლურ ქართული -- შუმერულ-ქალდეური, აღმოსავლურ-ქართული - კარდუხიაშური და სამხრეთ ქართული თუბალკაენის, თობალ-მოსოხის, თოგარმა-მეშეხის მოდგმის ხალხთა მიერ დაგროვილი უზარმაზარი სულიერი სიბრძნის შერწყმით ქმნის მსოფლიოს ხალხთა ეზოთერულ მთლიანობად გამაერთიანებელ პოემა „ვეფხისტყაოსანს“. „ვეფხისტყაოსანს“ ასახავს ქართველი ერის, მეტიც იბერიულ-კავკასიური მოდგმის მრავალსაუკუნოვან სულიერ მისწრაფებებს, რომლებიც აღგვიწერენ არამხოლოდ ჩვენი მშობლიური ერის და რასის, არამედ კაცობრიობის მრავალათასწლოვანი სულიერი ინიციაციის ეკალ-ბარდებიტ ფენილ გზას. ავთანდილი გონისმიერი და გულისმიერი ცნობიერების გამაერთიანებელი ბრძენი ინდივიდია, ტარიელი - ემოციურ წმინდა განცდებზე აღმოცენებული ფსიქოსოციალუი სწრაფვების მქონე უმამაცესი და თავზეხელარებული ინდივიდია. ნურადინ-ფრიდონი გახლავთ ერთგვარი ოქროს შუალედი სიმამაცესა და გონიერებას შორის. ავთანდილი იბერიას განასახიერებს, ტარიელ -კოლხეთს, ნურადინ - ფრიდონის ქალაქი მულღაზანზარი - შავი ზღვისპირა ლაზთა სამშობლო ქალდეა გახლდათ. ნესტან-დარეჯანი ზოგადსაკაცობრიო სატკივარით აღსავსე და მსოფლიო სევდის ნატიფი სურნელით გაჟღენთილ არსებას გვაგონებს, რომელსაც აიყვარული სამყაროს მმართველ ძალმოსილებად მიაჩნია. ნესტან-დარაჯი-მიჰრან - „ის ვინც ამ ქვეყნად არ არის“ - სწორად შენიშნავს ზვიად გამსახურდია. თინათინი მსოფლიო გონის ნაციონალური განსხეულებაა, რომელიც ერთნაირად ცხოვრობს სუბიექტური შეხედულებებითაც და ობიექტური რეალიებითაც. დაუშვებელია „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟთა შორის რომელიმე რომელიმეზე აღმატებულად მივიჩნიოთ - არაბთა მეფე როსტევანი, თინათინი, ავთანდილი, სარიდანი, ტარიელი, ნურადინ-ფრიდონი - ჰექსამურტს - „წმინდა შვიდეულს“ წარმოადგენენ - 7 სახოვან ქართველურ სულიერ განსხეულებებად გვევლინებიან. ფარსადანი დეგრადირებული და არიელიზირებული დრავიდის სახეა. ქაჯები, მათი დედოფალი თვითმკვლელი დავარი, როშაქი, დულადუხტი სიკეთეს განშორებულ და ბოროტების სიბრძნის მიერ უკუნში ჩანთქმულ ატლანტებს განასახიერებენ (ადამიანებს, რომლებიც ატლანტურ-კოსმიურ ატიქიას დაუპირისპირდნენ მისი თვითგანადგურების მექანიზმის მოშლის სახით). თუმცა მჯერა, ჩვენ ბაფომეტისგან განთავისუფლებულ ქაჯებთან ერთად გავიმარჯვებთ ლანბრეზე. კავკასია გააბრწყინებს მსოფლიოს „ვეფხისტყაოსანი“ ასტრონომიულ-კოსმოგონიური ტრაქტატია, რომელიც ქართველ ხალხს და მეტიც, ქართველურ მოდგმას საბოლოოდ კი კაცობრიობას გაამარჯვებინებს მამონაზე, თვით სულწაწყმედილ ეშმაკთანაც კი აღუძრავს ღვთის სიყვარულს. „ვეფხისტყაოსანი“ არის ცოდნაც, სიბრძნეც, რწმენაც და ჭეშმარიტების ძალიან მსხვილი მარცვალი სიმართლეც.

აღნიშნული პოემაც შეიცავსასტრალურ სიბრძნეს და კოსმიური ენერგიის საფუძველს-ეთიკურ მონიზმს. ამ პოემაში ნახსენები ციური სხეულები არ არიან პლანეტები. ჩემი აზრით ასე უნდა დავაჯგუფოთ ისინი: ზუალი -რწმენა, მუშთარი-ცოდნა, ასპიროზი - სიბრძნე, ოტარიდი - სიყვარული. თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი

ტაეპით თვით უფალი ჩვენი გვესაუბრება. ეს პოემა აერთიანებს მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენოლოგიას, ეზოთერიკას, ფილოსოფიას, თეოლოგიას, ასტრონომიას, ასტროლოგიას, ისტორიულ რეალობასა და მეტაფიზიკურ სინამდვილეს.

ამ პოემაში საოცარი ჰარმონიულობით ერწყმიან ერთმანეთს გენიალური რემინისცენციები (ავტორის, ან უკეთეს შემთხვევაში ავტორის მშობლიური ერის ან მეტიც საკაცობრიო სულიერების ავტორისეული აღქმის მხატვრულად ასახვის ნიმუში - სამივეს აერთიანებს ვეფხისტყაოსანი). დააკვირდით, სატრფოს - არა ხორციული მიჯნურის, არამედ ალტრუისტული სიბრძნის დაკარგვის გამო ტარიელი გზად თავდამსხმელ ლომ-ვეფხვს ხოცავს, მუსრავს ინდოთა მტერ ხატაელებს. ლომი, ჩემი აზრით, დასავლურ აგნოსტიციზმს განასახიერებს, რომელიც გონების ძალით იბრძვის ჭეშმარიტების შესაცნობად, ვეფხვი კი აღმოსავლურ ჰიმნოსოფისტიკას გამოხატავს, რომელიც გონისმიური ცნობიერებით ცდილობს ზემოაღნიშნული წადილის ასრულებას, ხატაელები და მათი მეფე რამაზი, ჩემი აზრით, განასახიერებენ არა დიად კარმედუკთა მემკვიდრე ცივილიზებულ ჩინელებს, არამედ კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ცივილიზაციის ჩრდილოეთით არსებულ ნომადური ბარბაროსული სამყაროს წარმომადგენლებს - ბიბლიური გოგ-მაგოგის  ხალხებს, რომელთა განადგურება დაუშვებელია, რადგან მათი სახით წარმოდგენილ ბოროტებასტან ბრძოლაში ხელახლა იწრთობა და ძლიერდება კავკასიური სულიერება, შესაბამისად მათი არსებობა და მათტან მუდმივი ბრძოლა, თუნდაც გარდამავალი უპირატესობით, ჩვენი სულის პანაცეაა - უკვდავების წყაროა. ცემი აზრით არაბთა მეფე როსტევანი, ინდოელთა მეფე ფარსადანი და მეფე სარდიონი ატლანტთა მოდგმის სიბრძნის მიერი მდინარების სამართავად მებრძოლ აზრისმიერ ტიტანებად ძალგვიძს სწარმოვიდგინოთ. „ვეფხისტყაოსანი“ გახლავთ პოემა, რომელმაც ატლანტთა ოკულტური მისტერიები მმეტაფიზიკური რეალიები, ესთეტიკური ფენომენები და პათეტიკური ასორანსები ერთიან აზრობრივ სივრცეში მოაქცია და ბიბლიის შემდგომ პირველმა დაუსახა კაცობრიობას გზა ბოროტებასთან მაადიული ბრძოლისა. „ვეფხისტყაოსანმა“, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ე. წ. ბნელ შუასაუკუნეებში ცივილიზებული კაცობრიობის ფიქრთა მდინარებას კალაპოტი შეუცვალა და  ჰუმანისტური მართლწესრიგისკენ მიმართა. ამ პოემამ ასახა მარსის ენიალიონიც (ომის ღმერთის ტაძარი- რომში), ათენის, მანგანის, ფაზისისა და გუნდეშაპურის აკადემიები (განათლება) და თავისუფლების სულის მაგ.  დიდგორის ეპოპეა. ანუ „ვეფხისტყაოსანმა“ -ერთ დიდ ტრიმურტად დასახა ბრძოლა სიბრძნე და თავისუფლების რწმენა „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“ - აცხადებს რუსთაველი. ნიშანდობლივია, რომ შოთა რუსთაველმა ისტორიაში პირველმა, ნიკოლაი კოპერნიკამდე რამდენიმე ასეული წლით ადრე მზის სისტემის ცენტრად მზე დასახა და არა დედამიწა, უარყო გეოცენტრიზმი და სათავე დაუდო ჰელიოცენტრიზმს. კვლავ ავიდა სიბრძნის მწვერვალზე მზის ღმერთ ჰელიოსის ვაჟ აიეტის, პრომეთესა და მედეას ქვეყნის შვილი შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს, კავკასიის მტელი მსოფლიოს სიბრძნის ნათლით გახსივოსნების გამომწვევ უმთავრეს ფაქტორთა ამხსნელი ნაწარმოებია. ალბათ ჩემი ერის განდიდების მანიაში არ ცამითვლის მკითხველი, თუ თამამად ვიტყვი - შოთა რუსთაველი არის მსოფლიო პოეზიის მეფე, რომელიც თავისი

სიბრძნის მისტიკური სიღრმით, ზნეობრივი იდეალებით, პატრიოტიზმით, სულიერებითა დ ყოვლისმომცველ ცოდნასთან შეზავებული ღვთიური ძალების რწმენით ნამდვილად ბევრად აღემატება „ილიადა და ოდისეის“ დამწერ ლეგენდარულ ჰომეროსს. შოთა რუსთაველის მშობელ ხალხს ღრმად მწამს არათუ სამყაროს აღსასრულამდე, არამედ ე.წ. აპოკალიფსის შემდეგაც გადაშენება არ უწერია.

## ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, კონსტანტინე

ილია ჭავჭავაძის მიერ გაჩაღებულმა ჭეშმარიტმა განმანათლებლურმა მოძრაობამ ქართული ეროვნული მეხსიერება გამოაღვიძა და მრავალსაუკუნოვანი მაჰმადიანური წნეხის შედეგად დაშლილი მენტალური მთლიანობა კვლავ ერთიან აბსოლუტად შეკრა. ერი და მითუმეტეს ქართველი ხალხი, ეპითეტებს დაუმსახურებლად არ არიგებს. ილიას - „თერგდალეულებთა“ ლიდერს, პეტერბურგში ნასწავლს, საქართველოსთვის მებრძოლს, გენიალურ მწერალს, არაჩვეულებრივ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართველობამ „ერის უგვირგვინო მეფე“ უწოდა. ილია დეგრადირებული, ადამიანის სახედაკარგული ქართველების ხელით მოკვდა, მაგრამ მისი სახელი უკვდავყო „კაცია ადამიანმა“, „გლახის ნაამბობმა“, „ელეგიამ“, „განდეგილმა“, „აჩრდილმა“, „ბედნიერმა ერმა““, „დიმიტრი თავდადებულმა“, „ქართლის დედამ“ და სხვა. ილია საქართველოს ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა. „საქართველოს ბულბულად“ სახელდებულმა აკაკიმ ილიასთან ერთად განვლო ქართველი ხალხის გამოსაფხიზლებლად უმძიმესი ცარისტულ რუსეთთან ბრძოლის ურთულესი პერიოდი, რომელშიც საქართველომ სწორედ ზემოაღნიშნული პიროვნებების დამსახურებით გაიმარჯვა.

აკაკი საქართველოს სიამაყეა, მისი შემოქმედებითი მარგალიტები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“, „ცოდნის ტაძარი“, „ჩემი თავგადასავალი“, „ბაში-აჩუკი“, საქართველოს სულიერი ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ეპოპეას ასახავენ, აკაკი ქართველთა გულია, რომლიდგანაც და რომელშიც იღვრება უდიდესი სითბო და სიკეთრ. აკაკის ხსოვნა იარსებებს მანამ, სანამ იცოცხლებს ქართველი ერი.

ვაჟა კავკასიური სულის ნაციონალური განსხეულებაა. ვაჟას შემოქმედება განმსჭვალულია უზარმაზარი კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ სულიერი სიბრძნით, რომელიც ვაჟას პერსონაჟთა სულიერების მაცოცხლებელი წყაროა. ვაჟა ბუნების მესაიდუმლე და გულთამხილავი გახლდათ. მისი პოემები და მოთხრობები: „ალუდა ქათელაური“, „სტუმარ მასპინძელი“, „გოგოთურ და აფშინა“, „მინდია გველის მჭამელი“ (ეს ნაწარმოები თავისი სიბრძნით აღემატება გოეთეს „ფაუსტს“), „შვლის ნუკრის ნაამბობი“ კავკასიურ მენტალიტეტს, ფსიქოსოციალურ სწრაფვებს, ალტრუისტურ მისწრაფებებსა და თეოგენიურ ზრახვებს გამოხატავს.

გალაკტიონ ტაბიძე XX საუკუნის ქართული პოეზიის კორიფეა, რომელიც ქალდეური სულის გასაოცარ მეტამორფოზას წარმოადგენს. გალაკტიონი იწოდებოდა „მარტოობის ორდენის კავალრად, რომლისაც ხალხის მასას, თვით მწერლებსა და პოეტებსაც კი არ ესმოდათ. გალაკტონის შემოქმედება აერთიანებს სასიყვარული განცდათა კოსმოგონიას, ეზოთერულ ძალმოსილებას, ფილოსოფიურ იდეალებს,

მეტაფიზიკურ შეხედულებებსა და მკვეთრი ინდივიდუალიზმით აღსავსე იდეურ მრწამსს გალაკტიონ ტაბიძემ ცოდნა, სიყვარული და ქმედება, როგორც ჭეშმარიტების შეცნობის სამი გზა გააერთიანა. გალაკტიონმა ერთმანეტს შეუხამა ესთეტიკა, პათეტიკა და ბელეტრისტიკა. გალაკტიონმა ვერ გაუძლო კომუნისტურ რეპრესიატა შედეგად ცოლის დაკარგვას, საბჭოთა სიბინძურესა და თანამოძმეთა გულცივობას. იგი ქალდეური სიბრძნის სიღრმეებში შეჭრამ ჭკუიდან შეშალა, ფსიქიკურად შეირყა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ღმერთმა ინება ქართველი და ისიც დიდი პოეტი გამხდარიყო ერთადერთი თვითმკვლელი, რომელსაც პარაკლისი გადაუხადეს.

მსოფლიო კლასიკოსი და ისტორიულ-ფსიქოლოგიურ რომანთა უბადლო მწერალი - კონსტანტინე გამსახურდია ქართველური კულტურის განვითარების თეოგენიურ კანონზომიერებატა ენიგმატური არსის შემცნობი უდიდესი ქართული მოაზროვნეა, რომლის სამმა მთავარმა ნაწარმოებმა „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენამ“, „დიონისოს ღიმილმა“ და „თვარის მოტაცებამ“ ქართველი ხალხის მრავალათასწლოვანი ოკულტური, ეროვნული და ისტორიულ-ფსიქოგენური მისწრაფებები პროზაულ ენაზე საუკეთესოდ ასახა. კონსტანტინე გამსახურდიამ წარუშლელი კვალი აღბეჭდა არა მხოლოდ მისი გენიალური შემოქმედების, არამედ ზვიადისა და მერაბის ზეპატრიოტებად აღზრდის გამო კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნა არ დაიკარგება, სანამ იარსებებს ქართველი ხალხი, კავკასია, ევროპა და სულიერებისკენ სწრაფვით აღსავსე კაცობრიობა.

## გოეთე, ეშენბახი, შილერი

გერმანულ-სკანდინავიური მოდგმა იბერიულ-კავკასიური რასის განშტოებად (სწორი სტრერლუსონის თანახმად) გერმანული კულტურა ასაზრდოებდა ევროპას საუკუნეების განმავლობაში. თავის მხრივ, გერმანული აზრისმიერი ბაზისი იკვებებოდა უძველესი ეტრუსკულ-კოლხურ-პელასგური იდეებითა და შეხედულებებით.

გერმანული ლიტერატურა ყველაზე ძლიერი და საინტერესო ევროპეიდული ფენომენია, რომელმაც ევროპა კავკასიურ ზნეობრივ იდეალებს აზიარა. უკიდეგანო სიბრძნის თიამათში მცურავ გემს ჰგავს უდიდესი გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის ვოლფრამ ფონ ეშენბახის სარაინდო ეპოსი „პარცეფალი“. ამ მხატვრულ ნაწარმოებში ერთმანეტს ოსტატურად ერწყმის რემინისცენცია, მეტაფორული გრადაცია და ჰიპერბოლიზებული დისელინსია (გადიადებული ბძენთა ფენომენი). ეშენბახის მსოფლხედვა ემყარება უძველესი მეტაფიზიკური სინამდვილისა და ისტორიული რეალობის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებულ ალტრუისტულ აბსოლუტს. ვოლფრამ ფონ ეშენბახის წიგნში ყოველი პერსონაჟ სხვადასხვა ერს განასახიერებს. თავად მთავარი გმირი - პარცეფალი ჩემი აზრით, კოლხეთს განასახიერებს. ამ რაინდის კდემამოსილი, ბრძენი და ღირსეული დედა -ჰადელაიდა კი ატლანტიდას, რომლის მემკვიდრეა კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ცივილიზაცია, ისევე როგორც პარცეფალია

შვიდი ჰადელაიდასი. ფაირეფიცი - ამ წიგნის ერთ-ერთი მთავარი გმირი განასახიერებს მცირე აზიასა და კავკასიაში დავანებულ

კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ სიბრძნისმიერ ნაკადს, რომელიც ეშენბახის თქმით სათავეს იღებს „ტაურონიტიდან" - ზვიად გამსახურდიას და ჩემი თვალთახედვით, თანამედროვე საქართველოდან, ვოლფრამ ფონ ეშენბახი კავკასიას თვლის მსოფლიოს ხალხთა (გაიხსენეთ პარცეფალი, ჰადელაიდა, ფაირეფიცი) სიბღზნისმიერ სივრცეტა გამაერთიანებელ ალტრუისტულ რეგიონად. ეშენბახი რაინდის ინსტიტუტის წარმოშობის ადგილად თანამედროვე საქართველოს თვლის. გერმანელი გჰენია აღფრთოვანებულია ჰადელაიდას, პარცეფალის და ფაირეფიცის ტრიმურტით. თავდაპირველად შეიძლება ითქვას ვოლფრამ ფონ ეშენბახი კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ სამყაროს მიიჩნევს ბოროტების წინააღმდეგ მრავალი ათასი წლის განმავლობაში თავგანწირვით მებრძოლ რაინდულ ორდენად.

იოჰან ვოფგანგ გოეთე გერმანული პოეზიის, მწერლობისა და ფილოსიფიის აპოთეგმაა (ზენიტია). გოეთე გერმანული, ლიტერატურული და ფილოსოფიურიაზროვნების მწვერვალთაგან ერთ-ერთი უმაღლესია. იოჰან ვოლფგანგ გოეთე ბრწყინვალედ იყენებს მეტაფორულ ტრადიციებს, რემინისცენციებს, ფილოსოფიურ ქარაგმებს, ლიტერატურულ ალეგორიებს, ეზოთერულ სისტემებსა და მხატვრულ-ესთეტიკურ ხედებს. გოეთეს ნაწარმოები „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი" ასახავს სიყვარულის გზით ჭეშმარიტების შესაცნობად ბრძოლაში დამარცხებული ახალგაზრდის ტრაგიკულ აღსასრულს. „არჩევითი ნათესაობა" აღგვიწერს გულწრფელი სიყვარულის, მყარი ცოდნის და აქტიური ქმედების ურთიერთმიმართების პრობლემას, რომელსაც იგი ხსნის სუბსტანციური ბალანსირების პრინციპის დაცვის სასიცოცხლო აუცილებლობის შეგნების საჭიროების გაცნობიერებით. „მცენარეთა მეტამორფოზები" ასახავს ადამიანის სულიერ ხედვატა გარდასახვათა კოსმიური ციკლის ბუნების ენიგმატური არსის ონტოლოგიურ, იმპლიციტურ თავისებურებებს გოეთეს შემოქმედების მწვერვალი „ფაუსტი" ასახავს კოლხურ-იბერიულ-ქალდეური სამყაროს მემკვიდრე გერმანული აზროვნების სტილს - ბრძოლას მეფისტოფელის წარმოდგენილ ბოროტებასთან, ოღონდ არც თუ რადიკალურად. ფაუსტი გერმანელი მინდია გველისმჭამელია. ვფიქრობ, გოეთეზე დიდი ზეგავლენა იქონია გენიალური ვაჟას საოცარი პოემის შექმნამდე დიდი ხნით ადრე გავრცელებული თქმულების - კავკასიური ანდრეზის - ხოგაის მინდიას ამბავმა - ადამიანი, რომელიც დაიღუპა, მაგრამ თავისი სიკვდილით დათრგუნა წყვდიადი. იგივე ითქმის ფაუსტზე, როგორც მინდიას სულიერ შვილზე. გოეთე ამბობდა: „ვალპურგის ღამე დგება და აუერბახის სარდაფში - ლაიფციგში ჩამალული ზეციური გრაალის თასის ბარბაროსთა ტყვეობისგან გამოსახსნელად ბრძოლის ახალი ეპოქა იწყება". ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება, რადგან მარადიული მინდიაც, ფაუსტიც, ვაჟაც, გოეთეც.

ფრიდრიხ შილერი უდიდესი გერმანელი მწერალი ფილოსოფოსი, რომელმაც შექმნა ლიტერატურის ესთეტიკურ ფენომენად აღქმის შლაიზენური ტეორია შილერი იქცა გოეთესთან და ეშენბახთან ერთად გერმანული ლიტერატურის ხომალდის ერთ-ერთ მესაჭედ. მოკლედ, დავსძენთ შილერი გერმანული სულია, არა ტროლი, არამედ ელფი -

კეთილი სული, რომლის ძალმოსილება კავკასიური სიბრძნის ნიადაგზე აღმოცენდა ანგლო ამერიკულ-გერმანული პოეზია.

გოეთესთან ერთად პოეზიის მოწმენდილ ცაზე მოკიაფე კაშკაშა ვარსკვლავად მესახება ჰაიზერ ჰაინე - პოეტი, რომელმაც მიუხედავად არაგერმანული (ებრაული) წარმოშობისა, მთელი ნიჭი და ცხოვრება გერმანიას მიუძღვნა. ჰაინეს პოეტური ქმნილებები კონკრეტულ საკითხთა ღრმა ეზოთერული ჭვრეტის უნარის არეკვლითა და უზარმაზარი სულიერი სიბრძნის გამომხატველი აზრისმიერი ნაკადების სინათლის სიჩქარით მოძრაობით გამოირჩევა. ჰაინემ გერმანული პოეზია ესთეტიკურ ფენომენთა, ტრაგიკულ პიროვნებათა ხვედრისა და საოცარ გმირთა თავგადასავლების სისტემატიზატორად აქცია. ჰაინე განიცდის ფინური ეპოსის - კალევალას, კერძოდ მისი გმირის - ვუინფოინენის გავლენას. ჰაინემ თავის პოეტურ ქმნილებებში გერმანელი ხალხი ზნეობრივ იდეალთა და სულიერ ხედვათა შემოქმედ დიად კავკასიელ ეთნოსად წარმოაჩინა. ჰაინემ წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში.

დიდი ინგლისელი დრამატურგი - უილიამ შექსპირი ბრიტანული ლიტერატურის ხერხემლის შემქმნელად ძალგვიძს მივიჩნიოთ. შექსპირი სულით და გულით კავკასიელია, მას იბერიული სულიერება აცოცხლებს და თან მის შემოქმედებას ასრულყოფილებს.

შექსპირის პიესები: „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“, ასევე ბრწყინვალე სონეტები საუკეთესოდ აღგვიწერენ ეტრუსკულ-კოხურ-პელასგური მსოფლმხედველობის - როგორხ მათი ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკის გამომხატველ იდეათა და შეხედულებათა ერთიანი სისტემის შემოქმედ დიად ერთა სულიერ ტრადიციებს. შექსპირი განიცდიდა „ვეფხისტყაოსნის“, ფირდოუსის „შაჰნამეს“ და ნიზამი განჯელის „ლეილ-მეჯნუნიანის“ მყარ გავლენას. შექსპირი იქცა აღმოსავლური სიბრძნის მდინარების ევროპეიდულ აზრისმიერ ნაკადთა ერთობლიობად მარადმქმნელ დიად შემოქმედად, რომელმაც დასავლური გნოსტიკური ცივილიზაცია და აღმოსავლური სოფიზმი ათასწლოვანი ძალზე მყარი ხიდით დააკავშირა როგორც ერთი სულიერ-გენეტიკური სათავისაგან შობილნი ორნი ძმანი.

ამერიკელი (გერმანულ-ინგლისური წარმოშობის პოეტები და დრამატურგები) სენდბერგი, მორისი, ფროსტი, რობინსონი, ელიოტი, მილი, გლენვილი, ბაგჰერსტი (ტრაგედიის სახელწოდებით „ფერექსისა და პორექსის ტრაგედია“ - ავტორი), რაიმონდ ლული, ნედ ნოენზი და სხვები. ზემოაღნიშნული მოაზროვნეები ქმნიდნენ ევროპული აგნოსტიციზმისა და აზიური სიბრძნის მიღწევატა გამაერთიანებელ ახალ ცივილიზაციას - ამერიკას. ამ პიროვნებათა მსოფლხედვა („მათი აზრთა დიდი ნაწილი ემთხვევა“- შრულტი) ემყარება ესთეტიკურ სუბსტრაქტივიზმს (ესთეტიკურ სუბიექტივიზმს) განხილულს ფილოსოფიური ობსტრუქტივიზმის (ფილოსოფიური ობიექტივიზმი) სიბრტყეში. სენდბერგის თქმით, სამშობლო ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. მორისი აღმერთებდა მშობლიურ ქვეყანას, რომელიც მისი თქმით მას ისევე სჭირდებოდა, როგორც ჰაერი. ფროსტის ხედვით არ არსებობს სიკეთე სიყვარულის გარეშე და პატრიოტიზმი ჰუმანიზმის გარეშე. რობინსონის აზრით, სიყავრული მით უმეტესი მშობლიური ხალხის სულიერების უმაღლესი გამოხატულებაა. ელიოტი ლიტერატიურას

ცხოვრებას აბსტრაქტულ მასწავლებლად მიიჩნევდა. მილი, გლენვილი და რაიმონდ ული აცხადებდნენ:"პოეზია ეს მატერიალიზმზე აღმატებულობის დამადასტურებელი აზრთა სივრცეა". ბაქჰერსტი გვმოძღვრავს: „სიყვარულის გარეშე ცხოვრება ჯოჯოხეთია". ნედ ნოენზის ვეთანხმები: „დედამიწაზე სამოთხე არსებობს, ის გულწრფელი სიყვაფულია". თავის მხრივ მე ვიტყოდი: ცხოვრება ჭეშმარიტი სიყვარულის გარეშე უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლს ჰგავს.

ანგლო-ამერიკულ-გერმანიკულმა პოეზიამ კაცობრიობას კიდევ ერთხელ შეგვახსენა და თვალნათლივ დაგვანახა სიყვარულის ყოვლისშემძლეობა და ყოვლის მომცველობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას! ანგლო-ამერიკულ-გერმანიკულმა პოეზიამ აირეკლა პროტოკავკასიური სულიერება და მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა ერთობლიობად გარდაქმისაკენ უბიძგა.

## ირანული პოეზია

ირანისა და სპარსეთის გაიგივება ძალიან დიდი შეცდომაა. სპარსეთი ინდოევროპული სახელმწიფოა, ირანი კი ბევრად ძველი ქვეყანაა - კულტურა, რომელიც კოლხურ-იბერიულ-ქალდეური სამყაროს შემადგენელი ნაწილი გახლდათ. ირანი - „იროანი" – „ცის ქვეყანა" ე. ი. კოლხეთის ცივილიზაციის სამხრეთული შტო. ირანული კულტურა კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ ტრადიციებს აერთიანებს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ სიმაღლეს იპყრობს ირანული პოეზია. ფირდოუსის „შაჰნამე" წმინდა კავკასიური სულიერებით გაჟღენთილი ძეგლია. მისი მთავარი გმირები -ზურაბი (ზუი რაბის - „ვინც იბრძვის", კოლხურად) და როსტომი (რას ტამა -გმირი) სახელები კოლხურად იშიფრება. ამ პოეტურ ქმნილებაში ერთმანეთს ოსტატურად ერწყმის სიმტკიცე, სიბრძნის ბაზისი და ცოდნისმიერი საფუძველი. აღნიშნულ პოემაში მუდმივ ხასიათს იძენს მშფოთვარე თავგადასავალი და მარადიული ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ. ამ პოემის რამდენიმე ვერსია არსებობს, ყველაზე ძველად აღიარებულში როსტომი - ვაჟი ზურაბისა, რომელიც მოულოდნელად იკარგება, სხვა თურანულ სამყაროში იზრდება შემდგომ ორთაბრძოლაში შეხვდება მეამბოხე სულის პატრონი (როსტომი - ურჩი ირანი) მამას ზუჰარაბს (კოლხეთს), მარცხდება მამასთან ჭიდილში, რადგან ის ვინც შობს ყოველთვის გაიმარჯვებს შობილზე, რადგან როგორც უფრო ბრძენსა და გამოცდილს ძალიან ღრმა კავშირი აქვს ცხოვრებასთან. ზურაბი არ კლავს როსტომს, ხვდება რომ მისი შვილია, ასევე არ ანადგურებს კოლხეთი ნამდვილ ირანს, ინდობს და ჩადენილი ცოდვის გამოსწორების, მონანიების საშუალებას აძლევს, რაც უფრო ძველი და დიდი გმირის (მე არ ვაკნინებს როსტომს და მის ვაჟკაცობას, მაგრამ მისტიკურ რეალობას თვალს ვუსწორებ) მხრიდან უდიდესი სულგრძელობის უდიდესი ნიმუშია. ფირდოუსი ცივილიზაციათა მშობელ უძველეს ატლანტურ კულტურას კარგად იცნობს და მის მემკვიდრე კოლხეთს ეზოთერულ მშობლად მიიჩნევს ნამდვილი ირანისა და არა სპარსეთისა. ჩემი აზრით, ფირდოუსის „შაჰნამემ" ირანელი ხალხის სულიერი კრედო მთელ მსოფლიოში გააცნო და საკუთარი ქვეყანა პოეტური ხელოვნების მექად გარდასახა.

## ნიზამი განჯელი -- „ლეილ-მეჯნუნიანი“

ირანელი პოეტი ნიზმი განჯელი სიყვარულს მიიჩნევს ერთგვარ განცდათა ნაზავად, რომელსაც ერთნაირად მალუძს ადამიანის ბედნიერების ზენიტში ასვლის უზრუნველყოფაც და უბედურების გზნებათა სულისშემძვრელ მორევში ჩანთქმაც. მეჯნუნს სიგიჟემდე უყვარს ლეილა, თუმცა იგი მარცხდება დროის მსახვრალ ცელთან ჭიდილში, იძირება სუფიცისტური ასკეზის ზღვაში და ცდილობს განერიდოს ამქვეყნიურ ამაოებას. მეჯნუნი სიყვარულთან ბრძოლას ამაო მცდელობის განმსჯელ ინდივიდს წარმოადგენს. ლეილა ვერ ივიწყებს მეჯნუნს, გრძნობა ორმხრივია,, მაგრამ გულის სიღრმეში დამარხული. „ლეილ-მეჯნუნიანი“ სიყვარულის ჰიმნია, რომელიც გვასწავლის რატომ უნდა შევიყვაროთ, როგორ გავიმარჯვოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შევეგუოთ მარცხს. სიყვარულთან ბრძოლაში, მიუხედავად უდიდესი დროებითი უბედურობისა, ორივე მხარემ გაიმარჯვა - ორივემ დაამტკიცა ერთმანეთისადმი წრფელი სასიყვარულო ლტოლვა. ნიზამი განჯელის თქმით სიყვარულისთვის ბრძოლა, თუნდაც ტრაგიზმში გადაზრდილიც კი, უდიდესი სიამოვნებაა, ოღონდ არა მაზოხიზმი, არამედ რაღაც მიუწვდომელი, მართლაც რომ აპოფატიკური ხელოვნებაა. (ხელოვნებაც შეიძლება გახდეს მიუწვდომელი, შეუცნობელი. საბოლოოდ სიყვარული გაგვამარჯვებინებს, გავივლით დუკას, სამუდაიას, ნიროგას და მაბას, აუცილებლად აღვმაღლდებით ბოროტებაზე - ასე მესმის განჯელის ხედვა).

## ომარ ხაიამის რობაიები

უდიდესი ირანელი პოეტი ომარ ხაიამი რობაიების წერისას აერთიანებს სუფიზმს, მედიტაციას, ღვინისა და ქალებისადმი ლტოლვას (ოღონდ არა ლოთობასა და მრუშობაში გადაზრდილს). ხაიამის თქმით - ჭეშმარიტებას ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც შესაძლოა მივაგნოთ. ხაიამის აზრით, ღვინო და ბოჰემა ბედნიერების წყაროა, რომლის დინების მიმართულებით ცურვას ედემთან მივყავართ. ომარ ხაიამის შემოქმედება ეგზისტენციალური უსასრულობაა. ხაიამი ჩემი აზრით ირანული პოეზიის დაულაშქრავი მწვერვალია. იგი რობაიებში ბედნიერების წყაროდ ასახელებს სიყვარულს, ცოდნასა დაობიექტუე ქმედებას. ომარ ხაიამი ქრისტიანობის მუსლიმი მხედარია, რომელმაც გაგვიკვალა გზა მსოფლიო გონის ღვთიური მადლით გაცისკროვნებისკენ.

## ჩინური პოეზია

ჩინეთი კარმელუკურ-აინურ-დრავიდული-(ქალდეურ-კოლხურ-იბერიული) ცივილიზაციის პირდაპირი მემკვიდრეა. ჩინელმა მოაზროვნეებმა გადაამუშავეს ზემოაღნიშნული სიბრძნე, რომლის ნიადაგზე ჩამოყალიბდა ჩინური კულტურა.

ჩინური მწერლობა, პოეზია და ფილოსოფია ერთიან სულიერ აბსოლუტად გადაიქცა. ჩინური პოეზია, ფილოსოფია და მწერლობა შორეული აღმოსავლეთის

სოფისტური მისწრაფებების სისტემატიზატორად გარდაისახა, რომელმაც აღმოსავლეთი ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის განვითარების პროცესის წარმმართველ ძალად აქცია.

დუფუ - ჩინელი პოეტი, რომლის ლექსები ასახავენ სასიყვარულო განცდათა კოსმოგონიას, ფილოსოფიურ იდეალებს, კოსმოლოგიურ საზრისებს, თეოლიგიურ პოსტულატებს, თეოსოფიურ იდეებსა და თეოგენიურ საწყისებს. აღნიშნული პოეტი სიყვარულს მიიჩნევს ყველაზე ამაღლებულ განცდად, რომელიც წარმოშობს ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვას, ანუ გულწრფელი სიყვარული აცოცხლებს პოეტურ სულს.

ლიბო - ჩინელი პოეტი, რომლის ლექსები ასახავენ ჩინელი ხალხის ფსიქოსოციაალურ მისწრაფებებსა და ეზოთერულ ზრახვებს. იგი მიიჩნევს „რა არის კაცობრიობა სიყვარულის გარეშე, თუ არა ქვეყანა დედაქალაქის გარეშე“. აქვე დავამატებ - უსიყვარულობა ადამიანს ცხოველად აქცევს.

ვანვეი - ჩინელი პოეტი, რომლის ლექსები ანთროპოსოფიის მისტერიულ საწყისებს ასახავენ. აქ ერთმანეთს ერწყმის იდეალიზმი და მატერიალიზმი, რეალია და იდეალი, სინამდვილე და ოცნება. ვან ვეი ოცნებატა ლურჯ იალქანთა გამშლელი ჩინელი პოეტია.
ჰენ მაონ ჟინი - ჩინელი პოეტი, რომლის პოეტური ქმნილებები გამოხატავენ აღმოსავლურ სულს, აღმოსავლურ ფსიქიკას, აღმოსავლურ იდეალიზმსა და აღმოსავლურ აღქმას პატრიოტიზმისას. იგი თავისი იდეებით ძალიან ახლოს დგას ქართველური სამყაროს უსასრულო სიბრძნესთან.

## ჩინური ფილოსოფია

ჩინურმა ფილოსოფიამ შუმერულ-ქალდეურ-კოლხურ-იბერიული მეტაფიზიკური იდეებისა და ფილოგენესტრიული (ზესულიერი) იდეალები ერთგვარ ნიადაგად გამოიყენა მსოფლიო გონის დასაუფლებლად ეპოქალური ბრძოლის წამოწყებისათვის. ჩინელმა ხალხმა ფილოსოფია ჩვენ წინაპართა მსგავსად აღიქვა სახელმწიფოსა და ერის განვითარების ორიენტირთა განმსაზღვრელ სულიერ ბატალიათა მამოძრავებელ აზრობრივ ძალმოსილებად. ჩინური ფილოსოფია აინურ-კარმედუკურ-კხამერული (კამბოჯაში ცხოვრობენ არამონღოლოიდები) იდეების სისტემატიზირებული ნაირსახეობაა. ჩემი აზრით ჩინურ ფილოსოფიის მისტიკურ რებუსთა ამოხსნა სრულიად ახალ საფეხურზე აღამაღლებს კაცობრიობას.

## ლაო-ძი „დაო-დენ-ძინი“

ლაო-ძი (დაახლ. ძვ. წ. VI საუკუნე) არ არის ფილოსოფოსის ნამდვილი სახელი. იგი „მოხუც მასწავლებელს“ ნიშნავს. იგი გახლდათ უდიდესი ფილოსოფოსი, რომელმაც დაწერა ნაშრომი „დაი-დენ-ძინი“ – „სიბრძნის გზა“, რომელშიც თვით ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზაც კი სულიერ სუბსტანციად მიიჩნია. და გმირია, რომელსაც ლაო-ძი

ფილოსოფიურ გამოცანათა ან ამოსახსნელად ან იდუმალების ბურუსში გასახვევად ან ეპოქასთან მისასადაგებლად იყენებს. ლაო-ძი ანტიფილოსოფიურ ფენომენად თვლიდა თვის სახელმწიოს. ჩინელი მოაზროვნის თქმით ხალხის წინამძღოლნი - ბრძენნი ფილოსოფოსები უნდა იყვნენ. ლაო-ძი ავითარებს ქალდეველი აგუბ ხირამის აზრს - „ფილოსოფოსთა გახელისუფლების გზით სამართლიანობის დამყარებაზე". ლაო-ძის იდეალების კვლევისას ასეთი აზრი მიჩნდება: ზოგადად იდეა ასახული აზრობრივი წვდომაა გაბატონებულ საზოგადოებრივ იდეალებთან მიმართებაში.

## კონფუცი

კონფუცი (ძვ. წ. II საუკუნე) ეწინააღმდეგებოდა ლაო-ძის ფილოსოფიას. ადამიანს მიიჩნევდა სულის, სხეულის და იზუს ანუ სამშვინველის ერთობლიობად. ემხრობოდა სახელმწიფოს, როგორც სამართლიანობის წყაროს და აუცილებლად მიიჩნევდა ფილოსოფიური პოლიტიკის წარმოებას. კონფუცი უდიდესი მოაზროვნე იყო. ჩემი აზრით, ჩინური ფილოსოფიის შესასწავლად აუცილებელია მსოფლიო გონის განსხვავებულ სახესხვაობათა შეცნობა. თუმცა ამ საკითხის კვლევისას ერთი ფრაზა მექმნება: „ყველა გზა კავკასიაში მიდის".

## მათემატიკური ოკულტიზმი

რა არის მათემატიკა - თუ არა ნუმეროლოგიურ საზღვრებში მოქცეული ინდუქციურ-დედუქციონისტური ფილოსოფია „მატერ-მატიკა" – „მეცნიერებათა დედა" ასევე იშიფრება ეს სიტყვა ბერძნულად. მათემატიკა შეისწავლის რიცხვებს, როგორც რთულ მათემატიკურ სტრუქტურებად აღქმულ არითმეტიკულ ანგარიშთა ფორმალურ შედეგთა სახით წარმოდგენილ რიცხვთა სამყაროს. მათემატიკა იყოფა ალგებრად, გეომეტრიად, პლანიმეტრიად, ტრიგონომეტრიად. თითოეული ათგანის მიზანი მათემატიკურ გამოთვლათა და სხვადასხვა დედუქციურ სიტუაციათა ანალიზური შესწავლაა. ეს მეცნიერება დიდ დახმარებას გვიწევს საკაცობრიო გონის მმართველ კანონზომიერებათა მისტიკური დანიშნულების შესწავლის პროცესში. მათემატიკური ოკულტიზმი მოიცავს ჰემატრიას - მათემატიკურ მნიშვნელობათა მქონე ლექსიკურ ერთეულთა შემსწავლელ მეცნიერებას. მაგალითად 1832 წლის შეთქმულება ლექსიკურად ცაიწერება ასე ჩყლბ. ჰემატრია - „ჰემეს მატრიო" - ჩემიაზრით ასე იშიფრება. ჰერმესის ღმერთების მაცნეს გზავნილებს ასახავს კაცობრიობისთვის. არსებობს მათემატიკური ობსტრუქციის ცნება, რომელიც არის ფილოსოფიური სუბსტრაქციის საფუძველი, ფილოსოფიური სუბტრაქცია თავის მხრივ ეგზისტენციალურ უსასრულობის სათავეს. ჰემატრიულ ლაზარეს რიცხვითი მნიშვნელობათა ჯამი უდრის 143-ს, რაც მაფიქრებინებს ძველ „ატლანტიდაში 3600 წლიანი კოსმიური ციკლის 143 წლიან პერიოდებად დაყოფის წესის არსებობას, ზოგადად ბიბლიის შესწავლის 3 ხერხი არსებობს: 1)მათემატიკური -

ჰემატრია, დანარჩენი ორი -ნოტარიკონი და თემურა ლექსიკოგრადული. ალისტერ კროულის თქმით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ჰემატრიას. მაგალითად, უდიდესი ბერძენი (პელასგი) მათემატიკოსები პითაგორა და თალესი ასაბუთებდნენ სულიერ რეინკარნაციათა ციკლის მათემატიკური მეთოდიკით აღწერის ხერხთა გონივრულობას. ისინი ოკულტური მნიშვნელობის რიცხვებად მიიჩნევდნენ 3-ს სამება-ჰაგია-ტრიადა, 9-ს - 9 ცა- 9 ანგელოზთა დასი, 12 -12 ქალდეური ტომი, 12 ზოდიაქოს ნიშანი, 12 ბრძენკაცი. მოკლეს განვმარტოთ რიცხვისა და ციფრის ურთიერთმიმართება. რიცხვი ციფრებისგან შედგება. მათემატიკური ეზოთერიზმის ჩემეული კონცეფციის მიხედვით ციფრი რიცხვთა შემადგენელი კომპონენტი კი არა რიცხვზე აღმატებული მათემატიკური პოტენციალია, რომელიც განსაზღვრავს რიცხობრივ მოცემულობას. მაგ. 3-31, 311, 3111 და ა. შ. ჩემი აზრით, შემოსაღებია ეზოთერულ განტოლებათა და ოკულტურ ამოცანათა ტიპები, რომლებიც დაგვეხმარებიან მისტიცისტური ფორმულების შედგენასა და ამოხსნაში. მათემატიკა უნდა დაუბრუნდეს პელასგიაში დამკვიდრებულ ოკულტურ საწყისებს, რომლებიც მას კვლავ ფილოსოფიის ლოგიკურ ქვეკატეგორიად გააერთიანებენ. ლოგიკა - როგორც არგუმენტის ატრუქტურის შემსწავლელი ფილოსოფიის ქვედარგი მათემატიკის დედაა. მათემატიკა, როგორც მეცნიერება შექმნეს ატლანტებმა, შემდგომ განავითარეს შუმერებმა, პელასგებმა და რომაელებმა. მაგ. პითაგორელები თვით რელიგიურ მისტერიებსაც კი ჰემატრიულ სიტყვათა შემადგენელი ასოთა მათემატიკური მნიშვნელობის მიხედვით სწავლობდნენ. მათემატიკა ატლანტიდაში ფილოსოფიის დედუქციონისტური ქვდკატეგორია იყო, რომელიც ფილოსოფოსებს სამყაროს შემეცნების გაიოლებაში ეხმარებოდნენ. ჩემი აზრით, პითაგორას თეორემად, სახელდებული პოსტულატი ჯერ კიდევ ძველ შუმერებში არსებობდა, უბრალოდ იგი განავითარა და სრულყო პითაგორამ. ბოლოს, ჰემატრია უნდა ვაქციოთ ჩვენი მოდგმის უძველესი ისტორიისა და ურთულესი ეზოთერთული მისიის არსებობის დამამტკიცებელ საშუალებად. სამყარო მათემატიკური სიმეტრიის კანონებს ემორჩილება. შესაბამისად სამყაროს განვითარების თავისებურებათა შეცნობა მათემატიკური მისტიციზმით გახლავთ შესაძლებელი.

## ლექსიკოლოგიური ეზოთერიზმი

ლექსიკოლოგია გახლავთ ლექსიკურ ერთეულთა შემსწავლელი მეცნიერება, რომლის სამშობლოდ ბერძნული (პელასგურ-ეტრუსკული სამყარო) მიიჩნევა (ლეიბნიცის თეორია). ლექსიკოლოგია იყოფა 3 მთავარ ქვეკატეგორიად: სემანტიკა, ონომასტიკა, სემიოტიკა. ლექსიკოლოგიაში საკითხს სწავლობენ სემასიოლოგიურად - სათაურიდან ამოსვლით.

რა არის სამკუთხედი? და ონომასიოლოგიურად - განმარტების მიხედვით სათაურის განსაზღვრა -რა არის სამკუთხა გეომეტრიული ფიგურა? პროფესიონალი ლექსიკოლოგების თქმით - ლექსიკურ ერთეულთა ლინგვისტური პოტენციალის სრულყოფილად შესასწავლად აუცილებელია სემიოტიკის, ონომასტიკის და სემანტიკის

მიღწევათა კუმულაციური (ერთობლივი) განხილვა. არსებობს სხვადასხვა ენაში პროფესიათა აღმნიშვნელი ერთგვაროვანი ლექსიკური წარმონაქმნები - პოლისემიური სინონიმები - იგივე ასტულარისეული სინონიმები (პროფესიული სინონიმები). რა არის ენა? - ენა გახლავთ სამყაროში ასებული თეოგენიური საწყისებისგან და თეოსიფიური საზრისებისგან შობილი კოსმიური ენერგიის სინსუალიტურად და ანაკრეონტული რწმენის სახით ასახვა ადამიანის ისტორიულ-სამართლებრივ მეხსიერებაში (ჩემი შეხედულება - შესაძლებელია ბევრი არ დაეთანხმოს).

ლექსიკოლოგია შეისწავლის პარადიგმატულ (ასოციაციურ) და სინტაგმატურ (დიატრიბუციულ) ურთიერთმიმართებებს ლექსიკურ ერთეულებს შორის. ლექსიკოლოგია გახლავთ „ლოგოსი" - ცოდნა ლექსიკურ ერთეულთა წარმოშობისა და განვითარების სოციალური ფაქტორებით და გამოწვეული ლინგვისტურ პროცესის თავისებურებათა შესახებ. ლექსიკოლოგია გახლავთ მეცნიერება ენობრივ ერთეულთა გარკვეული სახის კულტურულ-სოციალურ პროცესთა შედეგად ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული მოვლენების ჰიპოთეტური არსის შესახებ. ლექსიკოლოგიური ეზოთერიზმი ასახავს კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულში ჩაქსოვილ მისტიკურ მნიშვნელობას. როგორც ჯონ ქუინი იტყოდა - „ენა სოციალური ხელოვნებაა". იმანუილ კანტის თქმით კი „გონება ენაში სახლობს".

ლექსიკოლოგიის კვლევის ყველაზე საინტერესო საგანია იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი. (რომელშიც ერთიანდება დრავიდულიც, ბასკურიც და ა. შ.). ამ მხრივ აღსანიშნავია გერმანული ლინგვისტიკის საზომის - ვილჰელმ ფომ ჰუმბოლდტის კვლევა „ბასკური ენა", არნოლდ ჩიქობავას „ზოგადი ენათმეცნიერება", ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" X ტომი - „იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის შესახებ".

ლექსიკიოლოგიის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართველებმა - არნოლდ ჩიქობავამ, რომელსაც ეკუთვნის ფუნდამენტური შრომები ჩვენი მშობლიური ენათა ოჯახის შესახებ, ივ. ჯავახიშვილმა, ზურაბ ფოჩხუამ და სხვებმა.

ლექსიკოლოგიური ეზოთერიზმი აერთიანებს სოციალურ პროცესს, მოვლენის ასახვის შინაგან მძლავრ სურვილს, ინტელექტუალურ ბაზისს და გონისმიერი პოტენციალის გამოყენების დაუოკებელ წყურვილს. ჩემი აზრით, ლექსიკოლოგიური ეზოთერიზმი გამოხატავს კაცობრიობის მიერ საკუთარ ფსიქოსოციალურ მისწრაფებათა დაფიქსირების დაუცხრომელ სურვილს.

ენა შეიქმნა სოციალურ-ეროვნული პროცესებისა და მეხსიერების კომბინირების შედეგად. ენის შექმნა არა მარტო ადამიანის, არამედ სამყაროს განვითარების ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე აღმასვლის პროცესის დაწყებას ნიშნავს. ენის კვლევა გაგრძელდება კიდევ დიდხანს, ალბათ სამარადჟამოდ. ლექსიკოლოგიური ეზოთერიზმი კი ამ საბრძოლო არენაზე ჩვენი საომარი დროშის სახით იქნება წარმოდგენილი დროთა ცვლის მიუხედავად.

# ისტორიული მისტიციზმი

ისტორია გახლავთ კაცობრიობის ფიქრთა მდინარების აზბოქრებულ ტალღებზე მიმავალი გემი, რომელიც ჩვენს განვითარებას დიდად უწყობას ხელს. ისტორია ეს წარსულში ჩამოყალიბებული ობიექტური მოცემულობისა და ამ საფუძველზე შემნილი სუბიექტური რწმენის ნაერთია - თუმცა ისტორია არ არის მხოლოდ წარსული. წამიერად აწმყოც კი წარსულად იქცევა, მომავალი აწმყოს, აწმყო კი წარსულს ეფუძნება.

ისტორია გახლავთ შენი ერის, რეგიონისა და საბოლოოდ კაცობრიობის რწმენა, გარდაქმნილი წინაპართა მიერ დაგროვილი ცოდნის სიბრძნის ბრძმედში გამომწრთობ უმაღლეს ფილოსოფიურ ძალმოსილებად.

ჩემი აზრით, წარსულში გადადგმული სწორი ნაბიჯებისა და დაშვებული შეცდომების, ან ჩადენილი დანაშაულების გაანალიზების გარეშე ვერ ვიაზროვნებთ ობიექტურად აწმყოში და შესაბამისად მოვსპობთ ნათელი მომავლის პერსპექტივას. ისტორია არ არის მხოლოდ ისტორიულ-გენეტიკური მოცემულობის ან სუბიექტური რწმენის კაირელაცია - არამედ იგი ყველა ხალხის გამაერთიანებელი გონისმიერი ცნობიერების წიაღში შობილი უმძლავრესი ნაკადია. ისტორიას არ წარმართავს მრავალეროვანი კონგლომერატი, არამედ განსაზღრავს პატრიოტი და საკუთარი თავის ფასის მცოდნე ერი ან ერთა ალიანსი, რომელიც ებრძვის დროს და ჟამთა სვლას პანეროვნული ინტერესისამებრ აჩერებს ან აცქარებს. თავმოყვარე ერი აღმერთებს თავის ისტორიასა და კულტურას, პატივისცემით განისმჭვალება სხვათა ისტორიულ-კულტურული პროგრესისადმი და ცდილობს გამოცდილების მიღებას ან პირიქით, გაზიარებას. ისტორიას ქმნიან ძლიერი პიროვნებები, ოღონდ ხალხის ძალითა და სურვილით. ისტორიაში ბევრი უძლიერესი მონარქი დამარცხებულა, როცა ხალხის ფასის ცოდნა დაუკარგავს - მაგ. ლუი XVI .

ისტორია თითქოს ერთგვარი ხელოვნებაა, თითქოს ქრონოლოგიაზეა აგებული, მაგრამ ძალიან ძლიერ ფილოსოფიურ თავისებურებათა მატარებელი, ისტორია სიბრძნისმიერი ნაკადია, რომლის წყალობით ღირსებას ინარჩუნებ აწმყოში, ობიექტურად სწავლობ წარსულს და საოცრად ლოგიკურად გეგმავ ნათელ მომავალს. ისტორიის გაკვეთილები გახლავთ ერთგვარი გამოცდილება, რომელსაც სამწუხაროდ, მხოლოდ იშვიათი გენიოსები ეუფლებიან. ისტორიული მისტიციზმი შეისწავლის მსგავს პროცესთა ერთი შეხედვით სრულიად სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული სახით გამოვლენის კანონზომიერ მოვლენათა იდუმალ აზრს. ისტორიული მისტიციზმი წარსულის შეცნობის გზით, კაცობრიობის მტერთა განზრახვის ჩანასახშივე ცაკვლის სურვილს გვიღვიძებს, რადგან გვასწავლის ადამიანთა მტრების მიზანთროპების იდეურ მრწამსს, ცნობიერ ფსიქიკასა და კრედოს. მიზანთროპები - საზოგადოების მტრები ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან მანამ, სანამ კაცობრიობის ცნობიერ სამყაროში დიდი მენტალური გარდატეხა არ მოხდება და ადამის მოდგმა არ გაიგებს სიმშვიდის, ჰარმონიული თანაარსებობისა და მშვიდობის განუზომელ ფასს. ისტორიული ოკულტიზმი ეყრდნობა ემპირიას - თვითშემეცნებას და ვერიფიკაციას - ამ ცოდნის დამტკიცებას, პრაქტიკულად ხორცშესხმას. ჩემი აზრით, წარსულის უგულვმყოფელი ერი ვერასდროს მიიღებს

ღირსეულ მომავალს. ფესვებზე უარის მთქმელი ადამიანი ბოროტების ოკეანეში ჩანთქმულ და ჯოჯოხეთის კუპრში სახარშად განწირული დემონის მსახურ სულს ემსგავსება. ერის გახრწნა (რაც რომაელებს დაემართათ) წარსულის დავიწყებით, გარდასულ ამბავთა ირონიით მოხსენიებით და ეროვნულ გმირთა გამასხარავებით იწყება. ყველა მეცნიერებას აქვს ისტორია. ძლევამოსილია ისტორიის მუზა კლიო. კლიო, ასტრონომიის მუზა ასტერასი, ხელოვნების მუზა, კალიფსი ერთიანი სულიერი აბსოლუტის 3 სახეს - 3 თითქოს განსხვავებულ, სინამდვილეში აზრობრივად სწორ მთელს წარმოადგენენ. ციურ სხეულთა მოძღვრება, როგორც ისტორიული მისტიციზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, ხელოვნება, როგორც ისტორიული ოკულტიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწყისი, და ლოგიკა - როგორც ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ელემენტი, ქმნის აზრისმიერ ტრიმურტს. ისტორიის ფილოსოფი ჩემი აზრით ასე განისაზღვრება: ისტორია წარსულის, აწმყოსა და მომავლის მისტიკური ურთიერთკავშირის შემსწავლელი მეცნიერებებია, რომელიც გზას გვიკვალავს თეოსიფიურ, ფილოსოფიურ შეუცნობელი მწვერვალებისკენ.

## „ლიტერატურული ეზოთერიზმი“

ლიტერატურა გახლავთ გარკვეული იდეალისადმი მტკიცე რწმენის, კერძო იდეის ცოდნის, გარკვეული აზრის სიბრძნისმიერი საფუძვლის და კერძო საქმისადმი სიყვარულის გამაერთიანებელი ესთეტიკური ფილოსოფია. შემოქმედნი მრავალფეროვანი, მხატვრული მეთოდიკის, პატეტიკური რევერანსების, ეპითეტების, მეტაფორული გრადაციების, ჰიპერბოლიზირებული დისენსიების და შედარებების დახმარებით აღგვიწერს სამყაროსეული სიბრძნის სამი სვეტის - სიბრძნე, სიყვარული, რწმენა- შესაცნობად ბრძოლის ინდივიდუალურ სტრატეგიას. ყველა მწერალი ცდილობს დამოუკიდებლად დაძლიოს იმქვეყნიურ ამაოებასთან ბატალიისას წარმოქმნილი დაბრკოლებები, მაგრამ ყველას ამ მიზნის აღსრულება არ შეუძლია. ამიტომაც დამარცხდნენ გარეგნულად ცხოვრებასთან ბრძოლაში - ვიქტორ ჰიუგო, ემილ ზოლა, შტეფან ცვაიგი, რიუნოსკე აკუტაგავა და ა. შ. თუმცა მათ თავიანთ შემოქმედებით ქურაში მრავალგზის წვისა და დაგვის შემდგომ გენიალურ ნაწარმოებთა შექმნით საკუთარი სახელები ნამდვილად უკვდავყვეს.

მწერლობა და პოეზია ფილოსოფიასთან ერთად გახლავთ ერთგვარი ჰაგია-ტრიადა- „წმინდა სამება“ - რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს სამყაროსეულ გამოწვევათა დაძლევაში. ლიტერატურა გახლავთ საღად მოაზროვნე ადამიანის ცნობიერი სამყაროს სულიერი საზრდო და სიბრძნის უშრეტი წყარო. თითქოს ერთი და იგივე წიგნის რამოდენიმეჯერ წაკითხვისას ახალ-ახალ აზრებს აწყდები და ამ მძლავრი ინფორმაციული ნაკადების გასაანალიზებლად ობიექტივისტურ რეალიებთან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ბრძოლა გიწევს: შტეფან ცვაიგი ამბობდა: „ულიტერატუროდ ადამიანი ადამიანურობას ჰკარგავს და შურიან, ბოროტ, ყოვლისმკადრებელ მხეცს ემსგავსება“ - აბსოლუტურად ვეთანხმები დიდ გერმანელ კლასიკოსს - შტეფან ცვაიგს.

ლიტერატურა კაცობრიობას უფალთან აახლოვებს და ჭეშმარიტების გარკვეულწილად გათავისების საშუალებას აძლევს.

ლიტერატურული ეზოთერიზმი ითავსებს სიკეთის მონიზმის და ბოროტების არასუბსტანციურობის კონცეფციას. მაგალითად, ლიტერატურულ წიგნთა უმრავლესობაში სიკეთე ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას, ანუ ლიტერატურულ ასპარეზზე კეთილი საწყისი მუდამ აღმატებულია ბოროტების შხამით აღსავსე ანტიგონისმიერ საზრისებზე. ლიტერატურა საკაცობრიო გონის განვითარების ეტაპთა აღმწერი და ხშირ შემთხვევაში, ყველაზე ზუსტად გადმომცემი ოკულტური ნაკადია. ლიტერატურა ბერძნულად ასე იშიფრება „ინტერტესტიულის - „მარადიული სიბრძნე" - ლიტერატურა გახლავთ კაცობრიობის განვითარების პროცესის წარმმართველი ძალა ისტორიასთან და ფილოსოფიასთან ერთად. ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის იდეალების შერწყმით ჩვენ მივიღებთ ალტრუისტულ სამყაროს (სამყარო ბუნებით ალტრუისტულია, თუმცა ხარისხის ამაღლება თავად ადამიანმა უნდა შეძლოს). გაიგე ვინ ხარ შენ? რა მიზანს ემსახურები და რა მისია გაქვს ამქვეყნად? გაიაზრე რატომ გაჩნდი და რატომ უნდა განეშორო ამ მართლაც ხანმოკლე წუთისოფელს და შენ ზემოთ განხილული ტრიმურტის ნამდვილ სიბრძნისმიერ ფორმულად აღქმას შეძლებ. გაიაზრე წარსული, შეცანი აწმყო და იხილავ მომავალს.

"este iafe opetinus ederin desles" – " ცოდნა არასდროს არავისთვის არსად არ იკარგება" - ლიტერატურული ეზოთერიზმი რემინისცენციებს - ავტორთა მიერ სამყაროს ემპირიული თვითშემეცნების გამომხატველ მხატვრულ აზრისმიერ რეგალიებს ერთგვარ ესთეტიკურ „რეგიუმად" - სამეფო ძალაუფლებად აღიქვამს. თუ კაცობრიობა ივლის ლიტერატურული იდეალების ფილოსოფიური საზრისებისა და ისტორიული შეხედულებების კომბინაციის გზით მისი სწრაფი ტემპით განვითარება გარდაუვალი იქნება.

## „კავკასიური მებრძოლი სული"

უძველესი დროიდან კავკასიელები უძლიერეს და უმამაცეს მებრძოლებად ითვლებოდნენ. მაგალითად, კოლხები, იბერები და ქალდეველები ხშირად ლაშქრავდნენ წინა აზიისა და ევროპის ტერიტორიებს. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ პირველი საბრძოლო ხელოვნება და საომარი სტრატეგიის ჩანასახი კავკასიურ სამყაროში გაჩნდა. ჩვენი წინაპრები ამარცხებდნენ, იმორჩილებდნენ სარმატებს, სკვითებს, ალანებს, ხურიტებს, ხეთებს და ა. შ. კოლხას სამეფო იყო პირველი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა, რომელმაც კავკასია ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცედ გარდაქმნა, არეალად, რომელიც ცივილიზებული მსოფლიოსთვის ბარბაროსთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ბურჯი იყო. ფაქტობრივად, ძველი ბაბილონური, ხეთური და რომაული წყაროებით მტკიცდება რკინის ქართველურ ტომთა - ხალიბთა (აქედან შევიდა ბერძნულ ენაში რკინის აღმნიშვნელი სიტყვა „ხალიფუს" - ხალდეუფს - „ხალდე მმართველობს" - ჩემი აზრით ასე იშიფრება) და მოსინიკები (გერმანულ ენაში აქედან დამკვიდრდა რკინის

აღმნიშვნელი სიტყვა „Messing" – „მე ალმასი" - ესეიგი მათი იარაღი ალმასივით მჭრელი იყო).

ქართველური ტომები წარმოადგენდნენ იმ ისტორიულ გენეტიკურ ალიანსს, რომლის დამორჩილება უძველეს ეპოქაში ვერც ერთმა დიდმა დამპყრობელმა ვერ შეძლო. პროტოქართველებთან ბრძოლაში დამარცხდნენ ჩრდილოელი ბარბაროსები სარმატები, სკვითები, ალანები, ხეთები (კოლხები ხშირად არბევდნენ მათი ქვეშევრდომი ლაზური ტომის - ქასქების დახმარებით ხეთას). ძვ. წ. 1274 წელს ქადეშის ბრძოლაში 5 ათასმა კოლხმა ეგვიპტის ფარაონი ხეთთა ალყისგან გაათავისუფლა (ამ ბრძოლას უკავშირდება I სამშვიდობო ხელშეკრულება). დაახლოებით ძვ. წ. 1200 წელს 25 ათასმა კოლხმა დაამარცხა 20 000 ხეთი და აიღო ხეთთა დედაქალაქი - ხათუსა. ძვ. წ. XIX საუკუნეში კოლხეთის მეფე სავლაკმა სასტიკად დაამარცხა კოლხაში შემოჭრილი ეგვიპტის ფარაონის - სესოსტრივის (1778-1855 ძვ. წ.) ლაშქარი) კოლხთა ასიმილაცია ვერ შეძლეს ბერძნებმა, ვერ შეჰბედეს კოლხთა სამეფო ხელისუფლებას, ვერ დამკვიდრდნენ სამეფოს სიღრმეში და მეტიც - ბერძნული კოლონიები სინოპის ჩათვლით - კოლხთა გავლენის სფეროში აღმოჩნდნენ.

ზოგიერთი მეცნიერის არგუმენტირებული ვერსიით (კერძოდ, ეს ცნობები დაცულია ქსენოფონტის „ანაბაზისსა" და „კიროპედიაში") კიროსი ალბანეთში დაიბადა, შექმნა იმპერია, მაგრამ დამარცხდა და დაიღუპა მასაგეტთა აბაზგური ტომის დედოფალ-ტომისისთან. ძვ. წ. 446, 443 და 433 წლებში სამჯერ ტრაპიზონტთან და რამდენიმეჯერ ვანის ტბასთან კოლხებმა დაამარცხეს აქემენიანთა ირანის არმია, ძვ. წ. III საუკუნეში (ალბათ უფრო შუა ხანებში) კოლხეთის სამეფო სკეპტუხიებად დაიშალა (არა მაკედონიური ომების შედეგად) არამედ ამ პროცესის წყალობით წარმოიშვა პონტოს სამეფო, რომლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შავი ზღვის პირველი ლაზები წარმოადგენდნენ. ამ სამეფომ ძლიერების ზენიტს მიაღწია მითრიდატე VI ევპატოსის (დამპყრობლის) მმართველობისას - ძვ. წ. 111-63 წ.წ. მისი მამა მითრიდატეს ევერბეტი - ცოლის, ევპატოსის დედის - ლაოდიკეს შეთქმულებას ემსხვერპლა. შემდგომ მითრიდატემ შური იძია, დედა მის თანამებრძოლებთან ერთად საიქიოს გაისტუმრა. დაიწყო მკითრიდატულ ომთა ეპოქა, პონტოს ლაზმა (ჩემი აზრით ალექსანდრეს სარდალი მითრიდატე ლაზი იყო) მეფემ გაჟლიტა 20 ათასი რომაელი, მათ სარდლებს თავი მოჰკვეთა და პირში ადუღებული ოქრო ჩაასხა. დაიკავა კაბადოკია, პაფლაგონია, გალატია, ბითინია, გადავიდა საბერძნეთში, თუმცა ბერძენთა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და უკან გაბრუნდა. სამმა მითრიდატულმა ომმა უდიდესი ზიანი მიაყენა რომს, პონტოელი გოლიათი შვილის ღალატმა (თუმცა სამივე ომში ფაქტობრივად საბოლოოდ დამარცხდა) დაამარცხა, ვგულისხმობ, მას თვითმკვლელობა აიძულა.

იბერიის სამეფომ ძლიერების ზენიტს მიაღწია ფარსმან II ქველის მეფობისას, რომელიც მოხერხებულად იყენებდა ჩრდილოკავკასიელ მეომარ ტომთა გეოპოლიტიკურ ფაქტორს, არ ჰპატიობდა არც რომსა და არც პართიას თავხედობას, არბევდა მათ ტერიტორიებს. იგი არ ეახლა მცირე აზიაში ჩამოსულ, 40 მილიონი ქვეშევრდომის პატრონ ადრიანეს - იმპერატორს რომისას. ადრიანეს სიკვდილის შემდგომ გამეფდა ანტონიანე პიუსი, რომელმაც რომში მიიწვია მეფე. იგი ჩავიდა ოჯახთან ერთად რომში, ყველა გააოცა

საბრძოლო ვარჯიშებით რომაელებმა უპრეცედენტო პატივი სცეს - მარსის ტაძრის ენილიონის წინ ცხენოსანი ქანდაკება დაუდგეს და კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის უფლება მისცეს. კოლხეთის, პონტოსა და იბერიის სამეფოებმა კავკასიური დაუმორჩილებელი სულის სახელი ნამდვილად ძალიან შორს გასტყორცნეს.

## კოლხურ - იბერიულ - ქალდეური - საომარი ხელოვნება

კოლხებს, იბერებსა და ქალდეველებს შემუშავებული ჰქონდათ ატლანტურ საწყისთა მქონე საბრძოლო ხელოვნება - სპორტის, საომარი იარაღისა და უდრეკი სულის კომბინაცია მათი შექმნილია ე. წ. ხრიდოლი, რომელიც ჩემი და არამარტო ჩემი ხედვით მსოფლიოს ხალხთა ხელოვნებებს შორის ნამდვილად საუკუთესო ძალმოსილებაა. „ხრიდოლი“ ჩემი აზრით ასე იშიფრება „ხარუშუს დალასი“ - ანუ „ბრძოლა შენი სულისთვის“.ხრიდოლი იქცა კავკასიური საომარი ტაქტიკის განვითარების უმაღლეს საფეხურად, რომელმაც პროტოქართველური მოდგმა მეომარ ხალხთა ამფონერსულ (სულიერად მძლავრ) ერთობად შეკრა ამ საომარმა ხელოვნებამ გაგვამარჯვებინა III საუკუნეში გოთებზე, V საუკუნეში ბიზანტიელებზე, VI საუკუნეში სპარსელებზე, VIII საუკუნეში არაბებზე.

998 წელს მამლანზე, გერდა სკლიაროსზე, ნეჯამ- ალ -დინ - ილღაზზე, აბუ- ბაქარ ილფეღისიდზე, რუმის სულთან რუქნადინზე, ირანის სელჩუკიან მმართველებზე და ა. შ. ხრიდოლი აერთიანებს მტრის წამიერი შესწავლის საშუალებათა შეცნობას, მის შესაძლებლობათა გაანალიზებას, მისი მიზნებისა და მომენტალური სურვილების შეცნობას.

ხრიდოლში 3 ცენტრალური იარაღია - ხმალი, ფარი, ესტარა (რკინის შურდული). ხრიდოლის ფენომენს დღემდე სწავლობენ მეცნიერები, თუმცა, ჩემი აზრით, ეს ხელოვნება დაუსრულებელი სიბრძნის გზაა, რომლის გავლაც ადამიანურ გონებას არ ძალუძს. (ამ ხელოვნების ეზოთერული დანიშნულება მხოლოდ ქურუმებმა იცოდნენ).
სვანურ-მეგრულ-ლაზური საომარი ჭიდაობა - „ლაბარძგვანე“ ქართული ბრძოლის სტილის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. „ლაბარძგვანე“ - მტრის ხელით წაქცევასა და მისი საომარი თვალსაზრისით გაუვნებელყოფას მოიცავს. ამ სტილის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ლეგენდარულ კოლხ „ადმირალსა“ და სარდალს - აიეტის მსახურ სუბმარხიოსს - კარიანდელის ცნობით. სამწუხაროდ, ეს ხელოვნება საქართველოში მივიწყების პირასაა, მაგრამ ღრმად მწამს „ლაბარძგვანე“ კვლავ გარდაიქმნება ეზოთერული დანიშნულების ქართული ჭიდაობის პროგრესირების თვალუწვდენელ მწვერვალად.

„მენჩურუა“ - გახლავთ ქართული საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო სახეობა, რომელიც ითვალისწინებს საომარ დაპირისპირებას წყალში. ამ სტილს ჩვენი წინაპრები აქტიურად იყენებდნენ ჯერ ზღვით მოსული მეკობრეებისა და შემდგომ მაჰმადიან თუ ევროპელ მძარცველთა წინააღმდეგ. აღნიშნული ხელოვნება შემონახულია გარკვეული დოზირებით ფასავლეთ საქართველოში. ჩემი აზრით, „მენჩურუა“ ასახავს

ზოგადად კოლხურ- იბერიულ- ქალდეური მოდგმის ეგზისტენციალურ მისწრაფებას - „აკვატორული ლაშქრობებისადმი“.

ბრიტანეთის, ჯერ რომისა და კართაგენის გამოჩენამდე, ჰეგემონი წყალში, მეფე ზღვისა, სწორედ ჩვენი სამშობლო გახლდათ. ქართველი ზღვასთან, როგორც უსასრულო დაბრკოლებათა გამაერთიანებელ უმძლავრეს სიბრძნისმიერ ნაკადთა გამაკონტროლებელ გონთან ჭეშმარიტების შესაცნობად მებრძოლი ატლანტი რაინდია. ჩემი რწმენით, საზღვაო ბრძოლის ხელოვნება კვლავ აღორძინდება კვლავ აღორძინდება ჩვენს ქვეყანაში. ბერძენთა მიერ მითვისებული საბრძოლო ხელოვნება - „პანკრატიონი“ - ჩემი აზრით, ლაზური საომარი ტაქტიკისა და ოკულტური სტრატეგიული ხედვების ერთგვარი სისტემატიზატორია.

პანკრატიონი - „ყოველთა სამართავად“ - ასე იშიფრება ჩემი აზრით (პან კრატიოს), რაც ერთგვარი მისტიკური მიგნებაა. ლაზებმა ამ ხელოვნებით არაერთი მარცხი აგემეს თავად კავკასიური წარმოშობის გოთებს (ჩემი აზრით, ისინი კავკასიიდან ძვ. წ. VIII – VII საუკუნეებში კიბერიულ- სკვითურ- კიბერიულ შემოსევებს გაექცნენ) ბიზანტიელებს, ჩრდილოელ ბარბაროსებს, ათასი რჯულის პირატებს, თვით სასანიანთა ირანის ჯარებს და ა. შ. „პანკრატიონი“ დღემდე არსებობს და აუცილებლად იარსებებს სამარადჟამოდ. „პანკრატიონი“ - ეს მსოფლიოს ხალხთა ერთ სულიერ აბსოლუტად გარდამქნელი სიბრძნისმიერი მდინარების გამომხატველი საომარი ხელოვნებაა, რომელიც ასახავს ქართველური მოდგმის კრედოს.

## ქართველობის ბრძოლები
## ფარცხისის ბრძოლა -1073

1064 წელს საქართველოში - ბაგრატ III -ის მმართველობისას პირველად შემოიჭრა თურქ სელჩუკთა ლაშქარი სულთან ალფ-არსლანის მეთაურობით, თუმცა ვერც ქვეყნის დახარკვა და ვერც მეფის დატყვევება ვერ მოახერხა. მეორე ლაშქრობა შედგა 1068 წელს, ისევ შემოიჭრა ალფ-არსლანი, მაგრამ ქვეყანა ვერ დახარკა. თუმცა გააძლიერა არაბთა დროს წარმოქმნილი მუსულმანური საამიროები ამიერკავკასიაში. სულთანმა მალიქ-შაჰმა განძის ამირა-სარანგს (სხვა ვერსიით რანის -ათაბაგს) დაავადა საქართველოს დარბევა. მუსულმანთა 48 ათასიანი ურდო საქართველოში შემოიჭრა, ფარცხისთან შეება მეფე გიორგი II, დაამარცხა და განდევნა. ამ ბრძოლის შემდგომ თურქები გარკვეული ხნის განმავლობაში საქართველოს დაპყრობაზე ფიქრს ვერც კი ბედავდნენ. თუმცა მალიქ-შაჰმა და მისმა ვეზირმა „სიასეთ-ნამეს“ ავტორმა ნიზამ ალ მულქიმ გააძლიერეს ზეწოლა კავკასიაზე, დაახლოებით 1080 წელს იწყება „დიდი თურქობა“ - სელჩუკური ბარბაროსული რბევები.

# დიდგორი

დავით აღმაშენებელმა თანდთანობით ფეხი ამოუკვეთა თურქთ ქართველთა მიწებიდან და მეტიც - შეტევითი ოპერაციები დაიწყო. ერაყის სულთანს - მაჰმუდ მაჰმუდის ძეს ეახლნენ დავითისგან შევიწროებული თბილისელი და დმანისელი ვაჭრები დახმარების სათხოვნელად. სულთანმა ლაშქრობის მეთაურად ბაღდადის გამგებელი და მაიფარაგინის ციხის მფლობელ ნეჯმ-ად - დინილღახი დააწესა. ჩემი აზრით, თურქთა ლაშქარი ნამდვილად აღწევდა 600 ათასს, რადგან გოტიეს თქმით მათი მიზანი არა მხოლოდ დავითის დამარცხებაა, არამედ აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამეფოთა და სამთავროთა განადგურება. კოალიციურ ლაშქარს თურქებისა და არაბებისა ხელმძღვანელობდნენ ნეჯმ-ად- დინ იღაზი, ქალაქ პილის მფლობელი დურბეზ სადაყის ძე, სულთნის ძმა  (და არა ძე) მელიქ ტაფარის ძე, ქენ- თოღდი, თუღან არსლანი, და ყოვლისა სომხეთისა მაჰმადიანი ამირანი შემოვიდა საქართველოში, მოუახლოვდა დიდგორს ნიჩბისის ხევით, რადგან აქ ელოდნენ დავითის ჯარს. დავითმა სტრატეგია და ტაქტიკა დახვეწა. მისი ლაშქარი, სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეტის თქმით, შედგებოდა 40 000 ქართველისაგან, 15 000 ყივჩაღისაგან, 500 ალანისგან და 100 ჯვაროსნისაგან (გოტიე 200-ს ასახელებს). შემონახულია მეფის მიმართვა: „ეჰა, მეომარნო, ქრისტესანო! თუ მტრის დასამარცხებლად თავდადებით ვიბრძოლებთ, არათუ ეშმაკთა ურიცხვ მიმდევართ, არამედ თვით ეშმაკსაც დავამარცხებთ, განძლიერდით, დაე, ხორგებით შევკრათ უკანდასახევი გზა და მტკიცე გულით მტერს დაუნდობლად შევუტიოთ - ქართველებმა უკანდასახევი გზა ჩახერგეს. გოტიეს ცნობით ქართველთა რიცხვი 80 000 იყო, თუმცა არა მგონია სწორი იყოს. ქართველთა ჯარს  გამოეყო 200 მეომარი (გოტიეს თქმით ჯვაროსანი, ალ- ფარიკის თქმით ყივჩაღნი, ჩემი ხედვით ქართველნი, რადგან ისეთ მოსიას, რომელიც ქვეყნისთვის თავგანწირვას მოითხოვდა - მეფე უცხოელებს არ ანდობდა). ისინი სელჩუკთ  მოღალატეები ეგონათ, ისინი შევიდნენ თურქთა ბანაკში, მოულოდნელად  ხმლები იშიშვლეს და თურქთა ხოცვა დაიწყეს. დავითმა შეტევა დაიწყო. მთიდან დაეშვა უფლისწულ დემეტრეს ჯარი. თურქებთან 3 საათიანი ბრძოლის შემდგომ სელჩუკნი გაიქცნენ. 8 დღიანი (გოტიეს თქმით 3 დღიანი) დევნისას თურქებმა უდიდესი ზარალი ნახეს (გოტიეს თქმით დაიღუპა 400 000 თურქი და არაბი. ალ-ფარიკის თქმით დარბეულ იქნა მუსულმანთა ურიცხვი რაოდენობა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით 100 დან 1 კაციც არ დარჩენილა მოუკვლელი ან გაუქცეველი.
დავითმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მაჰმადიანი კოალიციურ ლაშქარზე. მომდევნო წელს თბილისი აიღო. 1122 წელს დიდგორის ომში თავში მიღებული ჭრილობით (20 მხედართან ერთად გაიქცა დიდგორის ველიდან) გარდაიცვალა ილღაზი.

საქართველო წინააზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც იმედის თვალით შეჰყურებდნენ ევროპელებიც, ბიზანტიელებიც, სლავებიც და მსოფლიოს ხალხები. დავითმა საქართველო ზესახელმწიფოდ გარდაქმნა.

## დემეტრე I ის სამხედრო ოპერაციები

დემეტრე თავგანწირვით იბრძოდა სახელოვანი მამის - თურქთა მძლეველის, ეკლესიის განმათავისუფლებლის, განმანათლებლისა და „ძლევაი საკვირველის“ შემოქმედი დავით მეფის გასაოცარი მემკვიდრეობის დასაცავად. საქართველოს გამაერთიანებელი დავით IV აღმაშნებელი 52 წლის ასაკში 1025 წლის 24 იანვარს (8 თებერვალს ) გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა დემეტრე I , რომელმაც განდგმარი დმანისი და ხუნანი ხელახლა აიღო, მუსულმანთა კოალიციის ჯარი დაამარცხა, 1130 წელს სძლია ხლათის სულთან ნასარალდინ სუკმან II-ს, დაამარცხა ღარასენთური ნორკბერდში, სძლია ერგიშ ამირსა და ერაყის სულთნის მაჰმუდის ვაჟს - ჯაგრიხანს. 1138 (ზოგიერთი ვერსიით 1139 წელს) მეფემ აიღო განჯა და მას კარიბჭე ჩამოეხსნა. დემეტრე I - მამამისთან ერთად დიდების შარავანდედით შეიმოსა კავკასიელ ხალხთა ისტორიულ-სამართლებრივ მეხსიერებაში.

## გიორგი III-ს ბრძოლები

გიორგი III-მ აღადგინა დავითის სტრატეგიული კურსი, დაიწყო შეტევითი ოპერაციები, მრავალჯერ დალაშქრა აზერბაიჯანი და სომხეთი, მაჰმადიანებს მოუგო ბრძოლათა უმეტესობა, აიღო სომხეთის ძველი დედაქალაქი - დვინი 1123 წელს დარუბანდი იხსნა ლეკთა თავდასხმებისგან და ლეკებსვე გამოსტაცა ქალაქი შაბურანი.

გიორგი III
მთავარი მიზნები

| | | |
|---|---|---|
| მაჰმადიანურ ქვეყნებზე გავლენის გამტკიცება | შიდა სტაბილურობის უზრუნველყოფა | ჩრდილო კავკასიელთა საბრძოლო რესურსის გამოყენება |

## შამქორის ბრძოლა

თამარის (გიორგი III-ის ერთადერთი ასული) მმართველობისას საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე ერთ-ერთი ჰეგემონის ტიტულს იმსახურებს. თამარის პირველი ქმარი გახლდათ ვლადიმირის სუზდალის მთავრის - ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი - იური. ქართველთაგან გიორგი რუსად სახელდებული, რომელმაც მრავალჯერ სძლია თურქთ, დალაშქრა ძველი პართიისა და მიდიის ტერიტორიები. ანტიზნეობრივი

ქცევების გამო იგი გააძევეს და თამარი შერთეს დავით სოსლანს - ბაგრატიონთა გაოხებული შტოს წარმომადგენელს. დავით სოსლანმა არაერთი ლაშქრობით თავზაი დასცა მუსლიმებს. 1195 წელს ირანის ილდეღიზიდი მმართველი აბუ-ბაქრი შეება და გააქცია ძმა - შირვანის მმართველი ამირ-მირმანი. მან თამარს სთხოვა დახმარება. შეიკრიბა ქართველთა ჯარი, რომელიც დაუპირისპირდა თურქთა, არაბთა, ავღანელთა და ინდოელთა კოალიციას (ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს გასანადგურებლად მუსლიმები ყოველთვის ერთიანდებოდნენ) – 400 ათასიან არმიას, რომელიც დავით სოსლანმა სასტიკად დაამარცხა, შამქორიც აიღო და აბუბაქარიც გააქცია. ქართვდელებმა კიდევ ერთხელ სძლიეს ისლამურ სამყაროს.

## ბასიანის ბრძოლა

1203 წელს (სხვა ვერსიით 1202 წელს) რუმის სულთანმარუქნადინმა რუმის, ერზინჯანის, აბულისტანის, დამასის (სირია) 400 ათასიანი ჯარით საქართველოზქ გამოილაშქრა. ქართველებმა 90 000 მეომარი შეკრიბეს. დიპლომატიური ხერხებით დააბნიეს თურქები, რომელიც სიმრავლით გათამამებულთ დარაჯიც არ ეყენათ. დავით სოსლანმა ღრმა რეიდი განახორციელა, წინიდან ზაქარია მხარგრძელმა, მარცხენა ფრთიდან (სხვა ვერსიით მარჯვენა ფრთიდან) ქართველთა ჯარებმა შეუტიეს. შეშინებული თურქები დამარცხდნენ და გაიქცნენ. დაჭრილმა სულთანმა არზრუმში შეასწრო და მომდევნო წელს გარდაიცვალა. საქართველომ აღმოსავლური და დასავლური მაჰმადიანური სამყარო წარმატებით დაამარცხა. საკუთარი ძლიერება განიმტკიცა და მუსლიმებს (უმრავლესობას მაინც) ქრისტეს წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი ჩაუკლა.

## ტრაპიზონის იმპერიის შექმნა

1204 წელს თამარისაგან დასაჩუქრებულ სასულიერო პირთა ბიზანტიის იმპერატორ - ალექსი ანგელოსის მიერ გაძარცვამ საბაზისო როლი შეასრულა, ქართულმა ჯარმა ერთმანეთის მიყოლებით აიღო ტრაპიზონი, ამასტრია, ჰერაკლია, სინოპი და დაიკავა მთელი დასავლეთ შავიზღვისპირეთი (შაითა მესხიას თქმით). თამარმა ტრაპიზონის ( ქალაქისა, რომელსაც მატიანეებში ლაზური სოფელი ეწოდება) იმპერატორებად დასვა ძმები დავით და იოანე (ალექსიუს) კომნენოსები, (რაც ჩემი აზრით დიდი შეცდომა და ლაზური მოსახლეობის ელინიზაციის ხელშემწყობი უმთავრესი ფაქტორი გახდა). კომნენოსები თამარისა და ლაშა-გიორგის მეფობისას საქართველოს ერთგულნი იყვნენ, ხოლო შემდეგ ჯალალედინის გამოჩენის შემდგომ გამწვავდა ბერძნულ და ქართულ დასთა პოლიტიკური ურთიერთბრძოლა. ტრაპიზონის იმპერატორთაგან ყველაზე ძლიერი იყო ანდრაინიკე დიდი, რომელმაც ლაზების ჯარით დაამარცხა თურქთა არმია, შეიჭრა მათ დედაქალაქში, ტყვედ იგდო მათი სულთანი და ტრაპიზონი დამოუკიდებელ სამეფოდ აღიარებინა. საბოლოოდ ტრაპიზონის იმპერია - 1461 წ. ოსმალეთის იმპერიამ გაანადგურა.

# თამარის ლაშქრობები 1207 – 1210 წ.წ.

1207 წელს, სხვა ვერსიით 1206 წელს ანისს აღდგომის დღესასწაულისას შემოესია არდებილის სულთანი, რომელმაც 12 000 სომეხი დახოცა. საპასუხოდ თამარის ჯარმა 1207 წელს რამაზანისას აიღო არდებილი, მიზგითებში დახოცა 12 000 მუსულმანი, მოკლა სულთანი და დაატყვევა მისი ცოლ-შვილი. ქართულმა საომარმა სულმა კვლავ გაიმარჯვა თურქულ ბარბაროსულ მიდრეკილებებზე, მიზნებზე, რომეიც მე-20 საუკუნის I ნახევარში ათათურქმა ოსმაეთთან ერთად წარსულს ჩააბარა და შექმნა ახალი სოციალურ-ეკონომიკური იმპერია - თურქეთის რესპუბლიკის სახით.

თურქი ხალხი დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთი ჰეგემონი იმპერიული ეთნოკულტურული კავშირით, რომელიც რესპუბლიკურ იდეალებზე დამყარებულ სოკულტურულ-ეკონომიკურ იმპერიას აშენებს.

1207-1208 წ.წ. ქართველებმა ზაქარია მხარგრძელის წინამძღოლობით იწყეს დიდი ლაშქრობა ხლათის სასულთნოს წინააღმდეგ. მათ აიღეს და დაწვეს ქალაქი არჯეში, დაიპყრეს ხლათის სასულთნოს დიდი ნაწილი და რომ არა ერთი მუსულმანთათვის ბედნიერი შემთხვევა, კერძოდ, მთვრალი ივანე მხარგრძელის ხლათელთა მიერ დატყვევება, ქართველები ხლათსაც აიღებდნენ. ზაქარია ძმისთვის თმის ღერის ჩამოვარდნის შემთხვევაში, ხლათის ძირიანად მოთხრით იმუქრებოდა. ხლათთან შეთანხმებით თამთა გაათხოვეს (მხარგრძელის ივანეს, სხვა ვერსიით ზაქარიას შვილი) სულთან ყიასედინზე. ივანეც გაათავისუფლეს ამ შეთანხმების დადებისთანავე). ხლათმაც იწვნია დავით ფერულის მჭრელობის ძალა. 1210 წელს ქართველმა სარდლებმა თამარს საკუთარი ძალმოსილების დასამტკიცებლად, ირანში ლაშქრობა შესთავაზეს და მეფეც დათანხმდა. ქართველთა და ლაზთა კოალიციურმა ლაშქარმა აიღო განჯა, ბარდავი, მიანმა, თავრიზი, ყაზვინი, ზენჯანი, აჰვრი - ანუ მთელი ჩრდილოეთ ირანი. მიანმის სულთანმა მოტყუებით 500 ქართველი მოკლა, მაგრამ ქართველებმა მას ქალაქიც გაუნადგურეს და თვითონაც მოკლეს. მიაღწიეს ირანის შუაგულს - რომ-გურს, ხორასანს, დაამარცხეს მარანდელები (თაყალდინ თმოგველის გმირობა) და ხორასნელნი. აქედან ინდოეთამდე ერთი დღის, სხვა ვერსიით, 3 დღის სავალი იყო, თუმცა ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ალაფის სიმძიმის გამო უკან გაბრუნება გადაწყვიტეს და ასეც მოიქცნენ.

ეს ლაშქრობა ქართველთა საომარი ხელოვნების ერთ-ერთი ზენიტია. გმირული ეპოპეა, რომელიც დავიწყების მდინარე ლუთეში არ ჩაიკარგება, სანამ იარსებებს ქართველი ერი, იბერიულ-კავკასიური რასა, ისტორიკოსთა კოჰორტა და საერთოდ ცივილიზებული კაცობრიობა.

# აინთა, კხამერთა და გუჯართა პროტოქართული ფესვები

თანამედროვე გენეტიკური კვლევებით დგინდება, რომ უძველესი სოციო-კულტურული გაერთიანება გახლდათ - ქსენი-ზანას, ქართული მითოლოგიით დალის კლანი (25 000 წლის წინ), რომელიც აერთიანებდა ფუტიელებს (ლაზებს), მენგურიელებს (თანამედროვე მეგრელებს), სუზეშლაელებს (ლაზ შუმერებს) და აზეშლაელებს (სვან ალაროდიელებს). მის შემდგომ გაბატონდა ვალდაის კლანი (17 000 წლის წინ). ჩემი ხედვით, სწორედ ამ დროს დაიწყეს ჩვენმა სახელოვანმა და ბრძენმა წინაპრებმა მსოფლიო სხვადასხვა კუთხეთა შეაწავლა - კოლონიზაცია. მაგ. ჩინელი და ვაპინი (იაპონელი) ისტორიკოსების თქმით, დღევანდელი იაპონიის 4 მთავარი კუნძულის - ჰოკაიდოს, ხონსიუს, კიუსიუს და ოკინავას უძველესი მოსახლეობა გახდნენ კოლხთა იდენტური ანთროპოლოგიური მონაცემების - ქერა თმა, ცისფერი თვალები და ა. შ. მქონე აინები. აინები ეთაყვანებოდნენ ცას. (გაიხსენეთ აიეტი და ანმაჩე) და მზეს (კოლხეთი მზის ღმერთ ჰელიოსის ქვეყანაა). მათ მთავარ ღმერთს ჰიუძენ დაიდეძინი უწოდებს ქალხუას - ნებისმიერი, თუნდაც ახალბედა ლინგვისტი დაადასტურებს ამ სიტყვის ტერმინ „კოლხას" ლინგვისტურ გარდასახვად აღქმის თეორიის სისწორეს.

ისევე როგორც პელაზგებმა - ბერძნული, ეტრუსკებმა - რომაული, კარმელუკებმა - ჩინური, დრავიდებმა - ინდური, ასევე აინებმა შექმნეს იაპონური მითოსი, ლიტერატუტრა და პანეროვნული მსოფლმხედველობა. მეცნიერები არასწორად მიიჩნევენ იაპონელებს მზის ხალხად. დააკვირდით აინურ წარმოდგენებს - ცა და მზე მძლავრ ურთიერთგავლენას განიცდის, წარმოიდგინეტ რა არის ცა მზის გარეშე ან მზე ცის გარეშე - ორივე ურთიერთბალანსირებადი სუბსტანციაა. აინი, ჩემი აზრით, ასე იშიფრება - „აი ნაი" – „კოლხეთისთვის წამებული. იაპონელები ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან მოყოლებული, უმოწყალოდ ჟლეტდნენ აინებს. თუმცა მიუხედავად იმ ფაქრისა, რომ 20 000 -ღა დარჩნენ, ისინი წარმართავენ და ავითარებენ თანამედროვე იაპონელი ხალხის გონსა და ცნობიერ სამყაროს.

აინები წმინდა სისხლის კავკასიელები არიან, რომლებიც ასრულებდნენ ატლანტ ქურუმთა მოთხოვნებს სამყაროს ყოველი კუთხის ოკულტურ სპარესზე არსებულ ფსიქოსოციალურ და ეზოთერულ ძალმოსილებათა შესწავლის, ათვისების შესახებ. აინები, ჩემი აზრით, კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ცივილიზაციის ყოვლის მომცველი ხის გრძელი ტოტია.

კამბოჯისა და ლაოსის ძირძველი მოსახლეობა არ იყვნენ მონღოლოიდები, რომელთაც შექმნეს უძველესი კამბოჯურ-ლაოსური ლიტერატურა და რელიგიური მისტიკა. კხამერები თავიანთი გასაოცარი სიბრძნით და ყოვლისმომცველი ცოდნით შურს და სიძულვილს აღძრავდნენ შემდგომ მოსულ, განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ უიღრულ-კიდარიტული წარმოშობის მონღოლოიდურ ტომთა მეხსიერებაში. ჩემი აზრით, კხამერი ხალხი ატლანტური ოკეანის ერთ-ერთი ზბოქარი ტალღაა, რომელიც ანგრევს ბოროტების ხომალდებს, ხოლო მის მეზღაურთა სულთ სიკეთის ქმნის დაუოკებელ წყურვილში არეკლილ ჭეშმარიტების ელექსირს აზიარებს. კხამერების კულტურა საუკეთესო ნიადაგია დასავლური გნოსტიკური ცივილიზაციისა

და აღმოსავლური სიბრძნის ამბივალენტურობის (მსგავსება-განსხვავების) საკვლევად. პოლპოტი დაუნდობლად ებრძოდა კხამერებს, თუმცა მათი განადგურება ვერ შეძლო, რადგან სანამ იარსებებს სამყარო, კავკასიელი კხამერი ხალხის კულტურაც უკვდავი იქნება.

გუჯარები - ინდოეთში მცხოვრები ქართველური ტომია, რომლებიც ყველაზე გავრცელებული ვერსიით, თემურ-ლენგის მიერ გადასახლებული 30 000 კახელის შთამომავლები არიან. თუმცა გუჯარები ბევრად მეტნი არიან. ჩემი აზრით ისინი დრავიდული ტომების ალოგლეტეგენური (სულიერ - გენეტიკური) სტრუქტურის უძველესი ქართველური ელემენტებია, რომელთაც XIV საუკუნის ბოლოს შეერწყნენ თემურ-ლენგის მიერ გადასახლებული ქართველნი. არნოლდ ჩიქობავამ დაამტკიცა დრავიდული და გუჯარული ენების იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახთან დაკავშირების მართებულობა.

ჩემი აზრით, ინდური (დიდოური) კულტურა დრავიდ გუჯართა შექმნილია, რომლებიც ინდუსებს ერთგვარ მოძღვრებად მოევლინენ. და ბოლოს, ჩემი აზრით დრავიდულ გუჯარული სამყარო ინდოელი ხალხისთვის ერთგვარი პანაცეაა, რომელიც აცოცხლებს, ასაზრდოებს და ავითარებს ზემოაღნიშნული ხალხის ცნობიერ სამყაროს - გონებასა და სულიერებას.

## ბასკები, კორსიკელები, სარდინიელები

ბასკები საკუთარ ქვეყანას უწოდებდნენ - „ეუსკარიოს სკალდუნ“- რაც - „სიბრძნის ამომავალი მზის ქვეყნიდან - აია კოლხეთიდან წასულს“ ნიშნავს. ბასკური კულტურა ევროპეიდული ცნობიერების მშობელი, აზრისმიერი წყაროა, რომელიც ასაზრდოებს ევროპული ცივილიზაციის მმართველ ისტორიულ-გენეტიკურ მოცემულობებსა, ობუქტივისტურ რეალიებს და სობიექტივისტურ რწმენებს. ბასკი - „ბასკვა“ - ინდიკო კვეკვესკირის განმარტებაა, რაც კოლხურად ნიშნავს „შეკვრას“ და მართლაც ბასკეთი ერთ მუშტად კრავდა დასავლურ კულტურებს შობილთ კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ აზრობრივი ნაკადების მოძრაობის ასპარეზად ღვთის მერ შექმნილ ატლანტური უნივერსალური ცოდნის აბობოქრებული ოკეანისგან.

ბასკური მითოსი შეიქმნა კოლხური კოსმოგონიის, იბერიული ალუზიისა და ქალდეური მისტციზმის კომბინირების შედეგად. ბასკები თავისუფლებისთვის მებრძოლი დიადი ხალხია, რომელთა მწერლობა, ოდენცერიზებული (კეთილიზებული) ფილოსოფია, თეოლოგია და მისტიკა დღემდე აცოცხლებს ევროპეიდულ ზნეობრივ იდეალს.

ბასკთა ისტორიულ- გენეტიკური კოდი
მისტიკური ასპექტებით

სიყვარული — ცოდნა — ერთგულება

## სიბრძნისმიერი ბასკური ტრიმურტი

კორსიკელები უძველეს კულტურის შემოქმედი ხალხია, რომლებიც საკუთარ ქვეყანას და ენას უწოდებ ქართს . ეს ერი გერმანულ ტომტა გამოჩენამდე თანამედროვე საფრანგეთის ისტორიის მამოძრავებელ ძალად ძალგვიძს მივიჩნიოთ. კორსიკელებს ჰქონდათ ოკულტური მსოფლმხედველობა, ძალიან ძლიერი ცნობიერი და ურთულესი არაცნობიერი ფსიქიკის ასევე სამყაროს შესახებ კონცეპტუალურ ხედვათა მოწესრიგებული სისტემა, რომელიც დღემე ასრულყოფილებს ევოპელთა იდეებს - სამყაროსეული საიდუმლოებების შესახებ. კორსიკამ აჩუქა საფრანგეტს, ევროპას და მსოფლიოს ნაპოლეონ ბონაპარტი, რომლის მამა კარლო ბუონაპარტე დედა კი ლეტიცია რამოლინო გახლდათ - ორივე კორსიკელი კავკასიელი იყო. ნაპოლეონი კავკსიელი გენიაა, რომელიც დამარცხთა ამქვეყნად, მაგრამ გაიმარჯვა და დიდების შარავანდედით შეიმოსა იმ ქვეყნად.

კ ო რ ს ი კ ა

ძალა — ჭკუა — მისტიკა

სარდინია ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანია, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ისტორიულ პროცესში, „სარდინიან“ - ე.ი „ჩემი მშობელი დედის სიტკბო“ - ქალდეურად ასე იშიფრება - ზეგრძნობადი“ ინტუიციური შემეცნებით და რაციონალურ ნარატიულ წყაროებზე დამყარებული ეფემერული აზრებით. სარდინიული ფოლკლორი , ლიტერატურა და ფილოსოფია როგორც ესთეტიკურ ხედვათა სისტემა კოლხურ-იბერიულ-ქალდეური კულტურის გავლენით ევროპეიდული ჰაგია-ტრიადას - „ბასკვა, ქართ, სარდინ“- უმნიშვნელოვანეს წევრად ჩამოყალიბდა.




## საქართველოს კოსმიური მისია

ლაზი ხალხის ეროვნული სიმბოლო - ბირჯღალი - ასახავს ჟამტა სვლას, დროთა მდინარების უწყვეტობას, ზეკოსმიური ენერგიულ სივრცეთა თეოსოფიური გადაკვეთის გამომხატველი ოკულტური სიმბოლიკის ცენტრალურ საკრალურ ლოგოგრამას. საქართვლო ეზოთერული ქრისტიანობის, ისლამური, ბუდისტური ჯაინისტური ესქატოლოგიის, ელინური ფილოსოფიის და ქალდეური მისტიციზმის მიხედვით, გახლავთ „შუგარასი“, „გოკურაკუ“ „ედემი“, „იდონი“ „ჰესპერიდთა ბაღ“ - რომლის ტერიტორიაზე პერიოდულად მიმდინარებს კოსმიური ენერგიისა და ადამიანური გონის ეზოთერული მისტერია. ზოგადად, კავკასია თვით ატლანტია ტიტანთა სამშობლოა, კავასია მსოფლიო ისტორიის ძაფის გორგალთა მყარი ღერძია, რომლის გარშემო მონოლითური სიმტკიცით ერთიანდებიან სხვა ერები. კავკასია ვთაებრივ საიდუმლოებათა საუფლოა, სიბრძნის უშრეტი წყარო, სასიყვარულო განცდათა სწრაფი მდინარე, უნივერსალური ცოდნის ოკეანეა. ჩემი ინტუიციური ხედვით სამყაროს შემქმნელმა - მადლისმიერმა გონმა - უფალმა ჩვენს ქართველურ მოდგმას დააკისრა ურთულსი, თითქოს შეუსრულებელი, მაგრამ ამავე დროს ძალზე რეალური სულიერი მისია - თეოგენიურ საწყისთა, კოსმიური სივრცეთა და თეოსოფიურ საზრისთა გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებული ეზოთერული ენერგიის კაცობრიობის ისტორიულ-სამართლებრივ მეხსიერებაში ასახვის პროცესის სწორად წარმართვის გზით სიკეთის ბოროტებაზე მარადიული გამარჯვების უზრუნველყოფისა. ქართველი ხალხის სულიერი ინიციაციის გზა - არა მსოფლიო ომზე ან სისხლის ღვრაზე, არამედ ბოროტ საწყისთან ბრძოლის სამარადჟამო მისიის გამომხატველი იამბრეს (სატანის) წინააღმდეგ გამართულ ახალ ეპოქალურ ცვლილებტა მომასწავებელ რაგნაროკზე - „ღმეთების - კეთილი და ბოროტი საწყისების ურთიერთბრძოლისახალ სტადაზე“ გადის. საქართველო არის კაცობრიობის მზრუნველი დედა, ანი და ჰოე კულტურისა, ალფ და ომეგა საკაცობრიო ცივილიზაციისა.

საქართველოს კოსმიური მისია გახლავთ საკაცობრიო გონის დაცვა მატერიალისტური აზროვნებისგან, რაციონალისტური შხამისგან და ე.წ. პრაგმატისტური აზრისმიერი ბაცილებისგან. ქართველ ხალხში ვხედავ ძალას, რომელიც დაამარცხებს

კოსმოპოლიტურ ლევიათანს და დაამყარებს ახალ, მსოფლიო თანასწორობაზე დამყარებულ წესრიგს, რომელიც შობს დიად პიროვნებებს, კოლოსალურ მოაზროვნეებს და საოცარ პატრიოტიზმს.

## საქართველოს სულიერი მისიის განხორციელების 7 გზა



## მეცნიერების „ჰაგია ტრიადა“

- ლოგიკა
- მსჯელობა
- აბსტრაქცია

## სულიერების „ჰაგია ტრიადა“

- სიკეთე
- სიყვარული
- კეთილმოსურნეობა

## რელიგიის „ჰაგია ტრიადა“

- სიბრძნე
- ცოდნა
- ფიქრი

## სამყაროს „ჰაგია ტრიადა“

- თეოგენია
- კოსმოგონია
- თეოსოფია

## საქართველოს კოსმიური მისიია „ჰაგია ტრიადა“

- ბოროტებასთან თავდადებული ბრძოლა
- სულიერი სრულყოფისკენ სწრაფვა
- სიბრძნის, რწმენის გაცნობიერება, ცოდნასთან შეთანხმებით

## საქართველოს კოსმიური მისიია „ჰაგია ტრიადა“

- ალტრუისტული სულიერება
- ჭეშმარიტი სიყვარულის შესაცნობად დაუცხრომელი სურვილი
- ჰიმნოსოფისტიკა (არაიოგა), არამედ რწმენის, სიბრძნის და ცოდნის ერთმანეთის საფუძვლებად გარდასახული ურთიერთბალანსირებადი სუბსტანციების ღვთიური ბუნების შესწავლა

# კოლხები ბერძნულ ეგვიპტურ და ინდურ მითოსში

ჰეროდოტე აღნიშნავს „კოლხები ეგვიპტელები არიან, მრავალი მსგავსება აქვთ ენაში, კულტურაში და ყოფაში. მაგ. ერთნაირად ამუშავებენ სელს, ატარებენ წინადაცვეთას, რომელიც მათი დამკვიდრებულია, მაგრამ უნდა ითქვას , კოლხებმა მეტი იციან ეგვიპტის შესახებ, ვიდრე ევიპტელებმა კოლხებზე. ეგვიპტელთა თქმით: „ისინი (კოლხები) სესოსტრისის (ძვ.წ. 1878-1855წწ) ლაშქრის ნარჩენები არიან" - ჩემი ხედვით, კოლხები კი არ არიან ეგვიპტელები, არამედ ეგვიპტელები არიან კოლხები. ეგვიპტე კოლხურ-იბერიულ-ქალდეური ცივილიზაციის ნაწილია. საერთოდ, უძველეს მსოფლიოში სამი პოლუსი არსებობდა სიბრძნისა - ევროპა, აზია და აფრიკა, რომლებმაც გაანათლეს ამერიკა და ავსტრალია. ეს პოლუსები ერთი ატლანტური სიბრძნის ხის 3 ტოტი გახლდნენ (უძველესი სიბრძნისმიერი „ჰაგია ტრიადა"). ეგვიპტურ მითოსში ზღაპრული სიმდიდრის და ბედნიერების მიწაა - „პუნტი" სწორად ნიშნვს პეტრე ქოჩაკისძე - კოლხა, კოლხეთი და მისი საგანმანათლებლო „ცოდნის მიერ - სიბრძნისმიერი" ცენტრი პუტი, ფუთი, ფოთი, ფაზისი, პუნტში ხშირად აგზავნიდნენ ექსპედიციებს (სავაჭროდ და მის შესასწავლად) - კაა,რამონი, იეტა, ქალი, ფარაონი - ჰატშეპსუტი და სხვები. ეგვიპტური სამი მთავარი ღმერთი - პტახი, თოთი და ოსირისი გერმანელი ბოტანიკოსის, მოაზროვნის კურტ იოაჰიმ შპრენგელის თქმით - კოლხური წარმოშობისაა. ჩემი აზრით, ერთიან მისტიკურ სიბრტყეშია განსახილველი ეგვიპტური პირამიდა და შუმერული ზიქურატი - „ღვთის ნაკვალევი", რადგან ისინი ერთიანი ეზოთერული ენერგიით იკვებებიან და ერთ მისტიკურ მისიას ემსახურებიან. კოლხურ-იბერიული-ქალდეური კულტურის ზეგავლენას მოწმობს - „ამენეჰმეტი - „მიცვაებულთა წგნი', რომელშიც ქალღმერთი ანუბისი ადამიანისგულს (უფლისმიერ, გრძნობად ცნობიერებას და ბუმბულს - სიმსუბუქის სიმბოლო). ეს ფაქტი ატლანტური - გულისმიერი ემოციური ფსიქოსოციალური აზროვნების სტილის ეგვიპტეში არსებობას ამტკიცებს. ჩემი აზრით ეგვიპტური მითოსის შესწავლა საუკეთესო გზაა კოლხურ-იბერიულ-ქალდეური კულტურის და ეგვიპტის იმპერიის სულიერ-გენეტიკურ კავშირთა თავისებურებების დასადგენად. ბერძნული პანთეონი - პელაზგების (კოლხთა მონათესავე ხალხი) შექმნილია. კოლხური ღვთაებებია : ურანოსი - რწმენა, კრონოსი - სიბრძნე და ზევსი - ცოდნა, ათენა - ლოგიკა, დემეტრა - ნაყოფიერება, აფროდიტე - ესთეტიკა, ჰეფესტო - სამყაროს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მუდმივი ზრუნვა, ჰერა - ოჯახური ურთიერთობების სიმბოლო, გეა - მიწის აბსტრაქცია, ჰერმესი - ღმერთთა ესეიგი ჭეშმარიტების მაცნე, არესი - „იყო ის" - ომის ღმერთი და ა. შ. სკილაქს კარიანდელის, აპოლონიოს როდოსელის, ეპიკურას, ჰერაკლიტეს და სხვათა მტკიცებით, ელინური აზროვნება პელასგური სიბრძნის ნიადაგზე აღმოცენდა. ცნობილი ფაქტია: კრონოსი (სიბრძნე)ყლაპავდა შვილებს (ცოდნას) რადგან ეშინოდა ძალაუფლების დაკარგვის, განრისხებული კრონოსისგან გერაესის (ზევსის დედის) თხოვნით ახალშობილ ზევსს (რომლის მაგივრად მან ქმარს ქვა გადააყლაპა) იცავდნენ ლეგენდარული მებრძოლები - „კორიბანტის" – „ღვთის მხედრები" - კორიბანტები , რომლებიც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" მიხედვით, კოლხეთიდან იყვნენ. შემთხვევითი არ გახლავთ პრომეთეს კავკასიონის მთაზე მიჯაჭვა (ბერძნებს სამშობლოში

არ ჰქონდათ მთა, თუნდაც პარნასი ან ოლიმპო?) პრომეთე ზევსმა მიაჯაჭვა კავკასიონზე, როგორც მშობლიურ სიბრძნის სვეტს (პრომეთესთვის) და კოსმიური ენერგიების გადამკვეთ ბუნებრივ ძეგლს. არ გახლავთ შემთხვევითი პრომეთეს ტყვეობისგან პელასგი (კოლხი) გმირის - ჰერაკლეს მიერ გამოხსნა. ეს ეზოთერულ სტიქიათა მამოძრავებელი მშფოთვარე თავგადასავალია „არგონავტთა ლაშქრობა კოლხეთში" ასახავს პელასგი (კოლხი) ხალხის მიერ კაცობრიობის მენტალური წარმოდგენის III კულტურული ხანისგან IV კულტურულ პერიოდზე გადაყვანას. ელინური ეზოთერიზმი მიმდევრების - ორფეიკების (ელინი სუფისტემის) თანახმად, გაანალიზე 3 სუბეშლაილურ-აბეშლაილურ-დიოსპოლისის (ორსახოვანი სიბრძნე და ცოდნა - ეგვიპტე)ელევსინი (ულევი ბრძენნი - საბერძნეთი და კაბირების არგონავტები ეზიარნენ ფეაკთა კუნძულზე - მედიტერიანული) მისტერიები და შენ ჩასწვდები კაცობრიობის განვითარების ნეროცესის ინიგმატური არსის მისტიკურ სიღრმეებს. ინდური მითოსი - დრავიდული ესქატოლოგიური წარმოდგენებისგან სოზილი ზესულიური ფენომენია, მაგალითად 3 მთავარი ღმერთი - ბრაჰმა, შივა, კრიშნა - უდავოდ დრავიდული წარმოშობისაა (ნუ დაგვავიწყდება დრავიდული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიეკუტვნება). „ბრაჰმა - „მამათამამა" - ანუ ღმერთთა შემქმნელი - ჩემი აზრით ასე იშიფრება. „შივა" - სამყაროს შინაგანი არსი - გარდამავალი რგოლი სიკეთესა და ბოროტებას შორის. „კრიშნა" - სიბრძნის ღმერთი მაგ. ბოდჰი სატვები ჯეცონგპას მიხედვით - კავკასიელები იყვნენ. ფოვას მედიტაციური პრაქტიკი დანიშნულების ადგილი - თუშიტა აშკარად კავკასიურ ასოციაციებს აღძრავს. სარასვატი ჩანდრა,კალი, განეშა, დურგა,პარვატი - აშკარად კირამისული (ზეკავკასიური) ღვთაებებია, რადგან ისინი ბოროტებასთან საბრძოლველად იყენებდნენ კოლხურ-იბერიულ-ქალდეურ სიბრძნეს.

ინდურ პოემებში - „მაჰაბჰარატა" – „გინდა შეიცნო", რამაიანა - „რამარ აია ნ" - რამას აინური საქმენი, „საგარანგანასუტრადაჰრა" - სამაჰასანგუს გენუ სტურუს დაჰრა" - შეიცანი სამყარო და მასზე ამაღლდები"! ჩემი აზრით სწორია ჰეგელის სიტყვები: „მსოფლიო ისტორიას წარმართავს კავკასიური რასა, სული აბსოლუტურ მთლიანობის მხოლოდ კავკასიელის შინაგან სამყაროში აღწევს". ასევე ზვიად გამსახურდიას მიერ გამოთქმული რევოლუციური თეორია - პირინეიდან შუაგულ ინდოეთამდე მიწების ერთი რასით განსახლების შესახებ.

ინდოეთის ნამდვილი სახელია - დიდოეთი, რომელიც ინდუსთა გაბატონების შემდგომ თითქოს გქრა და შეიქმნა სახელი - „ინდოეთი" - რაც სულიერი წოდებაა, რომელიც არ აღნიშნავს გეოგრაფიულ არეალს, არამედ გამოხატავს კონკრეტულ სივრცეში სულიერების მაღალ ხარისხს ანუ „ვეფხისტყაოსნის" ინდოეთი არის ჭეშმარიტი ინდოეთი - კავკასია - როგორც სულირების სავანე.

ჩემი თვალთახედვით ოდესღაც მსოფლიო ერთან ისტორიულ-სულიერ-გენეტიკურ ერთობას წარმოადგენდა, რომელიც კაცობრიობად ჩამოყალიბდა - ოღონდ ერებად დიფერენციების გზით. ეგვიპტური, ბერძნული და ინდური მითოსი გახლავთ ძალმოსილება, რომელიც კოლხური სულის აპოფატიკური მწვერვალის დასაპყრობად ბრძოლის გზებს გვისახავს.

# კოლხური მედიცინა

მედიცინა კოლხების მიერ შექმნილი მეცნიერებაა და მისი სახელი კოლხთა ლეგენდარული მეფის - მზის ღმერთ ჰელიოსის და კავკასიელ ნიმფა ასტეროიდას ვაჟის - აიეტის და იდაისის შვილის - აფსისტესა და ქალკიოპეს დის - მედეას სახელს უკავშირდება. მეტიც, ბერძნულ წყაროთა მიხედვით კოლხებში სდა პირველ რიგში მედეა (მამიდა ლასიანემ ასწავლა) ატარებდა ურთულეს ოპერაციებს - ორგანოთა გადანერგვა, გაახალგაზრდავება და ა.შ. საოცარი მაგიის დახმარებით, ეს ცოდნა სამწუხაროდ დაიკარგა.

მედეა - „მა-დია" (ზ. ცხვიტარიას მიგნება) – „მე დედა" იდაიასა, ლასიანეს და კირკესგან ნასწავლი სიბრძნის გამოყენებით ადუღებულ წყლით სავსე ქვაბში ხარშავდა ასო-ასო აქნილ კაცს და იქედან გაახალგაზრდავებულს ამოიყვანდა (განრისხებულმა ასო-ასო აკუწული ათამანტი აღარ გააცოცხლა და დაღუპა). მედეას ინოვაციაა სისხლის გადასხმა, რომელიც მითიური დედისა და მამიდისგან ისწავლა, მეტიც მედას ცხვრის სისხლით შეეძლო ადამიანის სისხლძარღვთა მწყობრში მოყვანა. ბერძნულ, შუმერულ და ინდურ წყაროთა მიხედვით კოლხა იყო ჯადოსნური საიდუმლოების მისტიკური ცოდნის წყარო. კოლხ ჯადოსნებს შეეძლოთ წვიმის, თოვლის გამოწვევა, მზის, მთვარისა და ვარსკვლავთა დაბნელება. მედეას მითიური მამიდას - ირკეს სვანურად ჰქვია - ლიკირკე - „მეტამორფოზთა ბორბალი", რომელიც აერთიანებს მანტრაიანის (მიზეზის) ტანტრაიანას (მიზნის) და ფალაიანას (შედეგის) ბორბლებს. მედეა იყო კოლხეთის სულის ეპოქალური გარდასახვა - კირკეს, ლაზიანეს და იდაისის მემკვიდრე. ცნობილი ამბავია, რომ პელასგ იასონს მედეამ პრომეთეს სისხლზე აღმოცენებული მცენარეებისგან დამზადებული მალამო უცხო, რომელმაც იგი ასმაგად გააძლიერა. კოლხების მედიცინა აერთიანებდა ოკულტიზმს, მაგიას, ლოგიკას, მეტაფიზიკას, ფილოსოფიას და ასტრალურ სიბრძნეს. ტიბეტელ ბერთა თქმით ისინი უკვე ათასობით წელია ცდილობენ შეისწავლონ კოლხური მედიცინა, მაგრამ მუდმივად მარცხდებიან. კოლხურმა მედიცინამ შვა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერება, რომელიც უძველესი ატლანტური სიბრძნისმიერი სულიერებით გახლავთ ნასაზრდოები.

# კოლხურ-იბერიულ-ქალდეური სულიერების ჩემეული სქემატური ნახაზი



კავკასიის თეოგენიური მისია

კავკასიის თეოგენიური მისია გახლავთ კოსმიური სტიქიის იდეური კონტროლი




კოლხური კულტურა
სულიერება
რწმენა
სიბრძნე
ცოდნა
ალტრუიზმი
იბერიული ცვილიზაცია
ქალდეური სიბრძნე


ატლანტიდა
ლემურია
ეზითერული
კვლევა
სუბეშლაეთი
მენგურია
აჰმადნაგარი
თეოგენიურ
საწყისთა
ასიმეტრიული
შერწყმა
პაციფიდა
ჰიპერბორეა
ქართველი
ერი
პატალეპუტრა
პალინგა
ვიჯაიანგარი
გუჯარათი
კავკასია
პირინეი
აპენინი
ბენგალია

## სიბრძნის პენტაგრამები



მსოფლიო გონი

1. რელიგია
2. სიყვარული
3. სიბრძნე
4. ცოდნა
5. ჰუმანიზმი
6. სიმამაცე
7. მისტიფიკაცია
8. გონება
9. მეხსიერება
10. ცნობიერი სამყარო
11. აზრობრივი სივრცე
12. ალოგლეტეგენიურ (სულიერ ენერგიათა მართვის კონტენპლაციური ხელოვნების დაუფლების უნარი

ოკულტურენერგიათა ქაოტურ მოძრაობას ასახავს

ქართველური სულიერება



ქართული კულტურა



# კოლხურ-იბერიულ-ქალდეური სამართალი
# 7 განმარტება

ფილოსოფიური იდეალებისა და მეტაფიზიკური დოგმატიკის ერთობლიობა

ობიექტივისტური რეაიებისა და სუბიექტივისტური რწმენის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებული ემპირიულ-ანალიტიკური მოცემულობა

აზრობრივი სივრცის განმავითარებელი გონისმიერი სუბსტანცია (სამართალი მათი ხედვით ფილოსოფიური ხელოვნებაა)

სოციონომიური ცნებების ერთობლიობა

აზროვნების ფორმა

რასისტენციის (მეხსიერების) წარმომქმნელი ფენომენოლოგიური სისტემა

ადამიანთა განზოგადებული ბედისწერა

## ქართული ლიტერატურის სქემა

- მისტიკური რემინისცენციები
- ჰიპერბოლიზირებული დისეხსიები (გაკერპებული მოვლენები და ცნებები)
- მეტაფორული გრადაციები

## ქართული ფილოსოფიის სქემა

### ფილოსოფია

- ნეგატიური მსჯელობა, ნეგატიური თეორია
- თეოგენიურ საწყისთა ბუნების სოფისტურ სიბრტყეში განხილვა
- თეოსოფიურ საზრისთა თვითწარმოქნადი ბუნების შინაგანი იდუმალებით მოცულ ინტელიგიბილურ (უფორმო, ფორმაზე აღმატებულ) არსთა შესწავლა
- ეზოთერულ იდეათა მოწესრიგებული სისტემის შექმნა
- ესთეტიკისა და პათეტიკის გაერთიანების კონცეფცია

# პანდექტისტიკა




ოკულტური ემპირიის ტალღოვანი ბუნების მენტალური თვისებების გამომხატველი სქემატური ნახაზი

# სამართლის  7 მთავარი პრინციპი

- სამართლიანობის პრინციპის დოზირებულად (ზომიერად) დაცვა, რადგან სამართალი ვერადროს იქნება აბსოლუტურად სამართლიანი
- საყოველთაობა ყველა ადამიანის უფლების დაცვა
- დეონტური ლოგიკის იმპლიციტურ საფუძველთა ექსპლიციტურ სახეთა შესაბამისად გამოყენება
- იურიდიულ სილოგიზმის არა ხალხის (როგორც ზოგიერთი მეცნიერის წერს), არამედ სამართლიანობის სამსახურში ჩაყენება
- ალტრუისტული სულიერების პრაქტიკულად ხორცშესხმა
- ცივილიზირება საზოგადოებისა
- წესრიგის დაცვა


იურისპრუდენცია
ინდუქციური აბსტრაქციონულობა და დედუქციური კონკრეტიკა
ტელეოლოგიური განვრცობა - ექსტენზია
"in dupio Pro Libertate
„ვიბრძოლოთ ნამდვილი თავისუფლების მოსაპოვებლად“ პუფენდორფი
„განმარტეთ სიტყვების ნახევარი სწორად და თქვენ ნახევარ უბედურებას ააცდენთ მსოფლიოს“ მონტენი
სუბსუმფცია
იურიდიული რესტრიქცია

## საეკლესიო მწერლობის დარგები

ეგზეგეტიკა (სულიერების უტილიტარიზება)

ჰომილეტიკა „ჰომოლუსიონ“ „ჰომილიატის“ ჰომილეტე-მოსწავლე ჰომილეო-ვასწავლი „გესტაფეი“-ერთარსი ღმერთის ნების გადმომცემი მწერლობა

აპოლოგეტიკა უფლის სადიადის მეხოტბე და სიკეთის სუბსტანციის ბუნების შემსწავლელი დარგი

ეპტოპიკა → ეპოქალურ სულიერ ხედვათა ერთიან აზარბროვ ნაკადად გამაერთიანებელი მწერლობა

აპოკრიპტიკა → მისტიკური ქრისტიანული ხედვების შემსწავლელი და გამაანალიზებელი მწერლობა

ჰიმნოგრაფია → პოეზიის (უმეტესად) სახით წარმოდგენილი ოდები ღვთისა და სიდიადის შესახებ

ჰაგიოგრაფია → მატვილთა (წამებულთა) ცხოვრების აღმწერი მწერლობა

# 7 უდიდესი იმპერია

- კოლხა
- იბერია
- ბაბილონი
- რომი
  აქ ერთიანდება
  ბიზანტიაც
- ქალდეა
  ხალდეა
  საბარეა
- ირანი
- ატლანტიდა

# გერმანელი მოაზროვნეები

- იოჰან ვოლფგან გოეთე
- იმანუელ კანტი
- გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი
- ფრიდრიხ შილერი
- ლუდვიგ ფოიერბახი
- ბერტოლდ ბრეხტი
- ჰაინრიხ ჰაინე
- არტურ შოპენჰაუერი
- ვოლფრამ ეშენბახი

# მისტიციზმის დიდოსტატნი

- შოთა რუსთაველი (გენიალური მისტიკოსი - ჩემს მოსაზრებას ადასტურებს მისი ყოველი ტაეპი)
- ალისტერ კროული
- ვაჟა-ფშაველა (კავკასიური პანთეიზმის ეროვნული განსხეულება)
- ედუარდ შიურე
- ელენა ბლავაცკაია
- ნოსტრადამუსი
- გრაფი კალიოსტრა
- გიორგი გურჯიევი

# ფილოლოგიის მიზნები

- ლიტერატურული სულის შეცნობა
- სიკეთის მონიზმის დასაბუთება
- ეროვნული სულის განხილვა საკაცობრიო აზრობრივ სიბრტყეში
- ხალხთა შორის ძმობის გაღვივება
- ელენა ბლავაცკაია
- ავტორთა და მათ მკითხველთა მსოფლხედვის ამბივალეტურობის შეწავლა
- ბოროტების არასუბსტანციურობის დამტკიცება

## ფილოსოფიის მიზნები

- ადამიანთა მიერ სამყაროს შესაცნობად ბრძოლის წარმართვა
- ჭეშმარიტების როგორც სამარადჟამოდ მიუწვდომელი სიმართლის ძება პირად მოთხოვნილებათა საკაცობრიო გონისმიერ სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანის გზით
- გონისა და მადლის ურთიერთმიმართების ამოცანის ამოხსნა
- ადამიანთა შინაგან სამყაროში არსებული ღვთიური ნაპერწკლის ერთიან მსოფლიო ეგზისტენციურ კოცონად აგიზგიზება, რომლის ცეცხლი გაანათებს თვით ჯოჯოხეთის უკუნესაც კი...
- თითოეული ადამიანის სულიერი და ინტელექტუალური სრულყოფა

## ბიბლიის 7 საიდუმლო თავი

- ეფუთი ძვ.წ .7000წ
- ძინისტანცები ძვ.წ. 3250წ
- ტოშპა ძვ.წ. 6250 წ
- ნებრაჰის წიგნი ძვ.წ. IV ათაცწლეულის II ნახევარი
- ტაბუ ძვ.წ. 3676 წ
- კვირბები ძვ.წ. 3950 წ.
- მარგალითი ძვ.წ. 4205 წ.

## სამყაროს შემეცნების მეთოდიკა

მეტაფიზიკა (მეტერას იესტეს ზოლიტეს) „ის რაც არასდროს იცვლება. თუმცა ფორმით განსხვავებულად ბრუნდება ჩვენს ცნობიერ სამყაროში ეპოქალური ხედვით

ლინგვისტიკა ენის როგორც ღვთიური გონის ა და მადლის გადმოცემის

ლოგიკა არგუმენტის სტრუქტურულ კომპონენტთა შემსწავლელი მეცნიერება

თეოლოგია (ღვთისმეტყველება)

ფილოსოფია (სამყაროს შეცნობაზე)

ლიტერატურა (ზნეობის ესთეტიკური სრულყოფა)

ისტორიოგრაფია (წარსულის შესწავლა)

## ფილოსოფიური ქვა

1. განსხვავებულ აზრთა ურთიერთშერწყმის სისტემატიზირებული სახე

2. ტრანსმუტაციის სიმბოლო მატერიალიზმსა და ალტრუიზმს შორის

3. კოსტულატთა ნაერთი რომელიც შეიმეცნებს სამყაროს კანონს

4. საკაცობრიო სულიერების განმავითარებელი ეგზისტენციალური საზრისების ერთობლიობა

## ურთ  ერთ ბალანსირებადი სუბსტანციები
## სიყვარული ცოდნა

სიყვარული ცოდნაა სამყაროს მართვის სტილის, ღვთის სიდიადისა და კონკრეტულ ადამიანში აღმოჩენილი პოზიტივისტური პრედიკატების განმსაზღვრელი სიკეთის მარცვლისა. ცოდნა კონკრეტული სფეროს, საგნის ან ცნების (აზროვნების ფორმა, რომელშიც ასახულია შესასწავლი ობიექტის არსებითი თვისებანი - ჰეგელი)სიყვარული სხვაგვარად მას ვერ შეიძენ და მითუმეტეს განავითარებ. ანუ არ არსებობს სიყვარული ცოდნის გარეშე და ცოდნა სიყვარული გარეშე. სუბსტანციათა ტრიუმვირატი - სიბრძნე, რწმენა, ცოდნა: რწმენა ზებუნებრივ ძალათა არსებობის მტკიცე აზრია - ეს უკვე სიბრძნის მაცვალია. სიბრძნე - სამყაროსადმი თავის მონდომება ერთგვარი აზრობრივი ასკეზია და იდეური იზოთეოზისია, ეს უკვე საკუთარი ძალის და ღვთის რწმენაა. ცოდნა გარკვეული საგნის ინტერესის მაღალი ხარისხის რწმენა და ამ საგნის შესახებ დაგროვილი სიბრძნისმიერი ბაზისია, აქ ერთიანდება რწმენა და სიბრძნე. არ არსებობს რწმენა სიბრძნის , სიბრძნე რწმენის და ცოდნა ოროვეს გარეშე. ჩემი ხედვით, თუ გვსურს ამოვხსნათ (არა ჭეშმარიტება, რომლის მიგნება ჩვენი გონით ირეალურია), არამედ სამყაროსეული საიდუმლოებების გარკვეული ნაწილი, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ ფილოსოფიის, თოლოგიისა და მეტაფიზიკის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულ ეზოთერულ რებუსთა ამოხსნა სრულიად ახალ გზაზე დააყენებს კაცობრიობას.

## ცისა და მიწის შეერთება
## დურანქი

1. ღვთიური საწყისი
2. ადამინური გონი
3. მაკროკოსმოსი (აბსტრაქციული საზოგადობა)
4. მეზოკოსმოსი (ეთნოკულტურული ერთობა)
5. გონისმიერი უნივერსუმი

დასკვნითი სქემა

ფილოსოფია - თეოლოგია - ეზოთერიკა

ლიტერატურა

| |
|---|
| მხატვრული<br>პალუნდამეტუმი |

## ბოლოთქმა

*ამ მოკრძალებულ ნაშრომში ვცადე გადმომეცა სამყაროს არსი, ჩემეული ჭეშმარიტება ანუ ჭეშმარიტების ჩემეული დეფინივია, ჩამომეყალიბებინა ფილოსოფიის, თეოლოგიისა და ეზოთერიკის ურთიერთმიმართების პრინციპი, აღმეწერა ატლანტთა, ტიტანთა მოდგმის კოსმიური მისია, გამეანალიზებინა კოლხურ- იბერიულ-ქალდეური მოდგმის რასისტენციული მეხსიერების სტრუქტურა, შემესწავლა მსოფლიოს სხვადასხვა ცივილიზაციათა პროტოქართველურ სამყაროსთან კავშირისა და ქართველურ ტომთა წარმოდგენების არსი. მეტნაკლებად სრულად ვიმსჯელეთ ფილოსოფიის, თეოლოგიისა და ოკულტიზმის დანიშნულებაზე, ასევემათემატიკურ ოკულტიზმზე - ჰემატრიაზე, ლექსიკოლოგიურ ეზოთერიზმზე, ისტორიულ მისტიციზმზე, ლიტერატურულ მისტიკად მონათლულ კლეოპეტივიზმზე, სამყაროს თეოგენიურ-კოსმოგონიური წარმოშობის პროცესის მმართველ ისტორიულ-ფილოსოფიურ კანონზომიერებებსა და სილამაზის სიმეტრიულ კანონზე.*

*ჩემი რწმენით ეს ნაშრომი დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს ზემოაღნიშნულ საკითხთა გარშემო გარკვეული სახის არგუმენტირებული მსოფლხედვის ჩამოყალიბების პროცესში.*

*ნაშრომი სახელწოდებით „ფილოსოფიურ-თეოლოგიურ-ოკულტური ძიებანი“ დიდ დახმარებას გაუწევს ახალგაზრდობას, განსაკუთრებით ისტორიის ბატალიათა შეცნობაში.*

*ეს ნაშრომი ისახავს პროტოკავკასიური ცივილიზაციის ეზითერულ დანიშნულებას. “de incidentibus in fluide” - არქიომედე - ინდივიდუალურობა შენშია - ნაშრომის წარმატებულწივნად შეფასება ან უარყოფა თქვენთვის მომინდვია.*

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. რუდოლფ შტაინერი - „ეზოთერიკა“
2. შრილა ბჰაქტირავატა პრაბჰუპადა - „მეცნიერება თვით რეალიზაციის შესახებ“
3. ზვიად გამსახურდია - „საქართველოს სულიერი მისია“
4. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი - ბასკური ენა
5. არნოლდ ჩიქობავა - „ზოგადი ენათმეცნიერება“
6. ივანე ჯავახიშვილი - „ქართველი ერის ისტორია“
7. ბანალ ოპი - „ინდუსური სამართლის ეგზისტენცია- დჰარმაშას ტრები და ნიბადჰაზები“
8. ნონოს პანოპლოლელი - „დიონისიადა“